# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 23 დეკემბერი 2000 №248 (1270) | ფასი 50 თეთრი


1990 28 დეკემბერი

სარბიელის 10 წელი

2000 28 დეკემბერი

## დემეტრაძეს არ დასცალდა



**ჩავიდა** გიორგი დემეტრაძე სან სებასტი-ანში და კონტრაქტს ისე მოაწერა ხელი, მწვ-რთნელი არ ენახა — პერიკო ალონსოს გუნდი მალაგაში წაეყვანა. „სოსიედადი“ „მალაგასთან“ 3 დამარცხდა და შინ დაბრუნდა, მწვრთნელს ახალ ფეხბურთელს გაცნობის საშუალება ჰქონდა(?), მაგრამ...

— ალონსოს გუშინ, ჩემი და „სოსიედადის“ პრეზიდენტის ერთობლივი პრესკონფერენციის შემდეგ უნდა შევხვედროდი, თუმცა უამინდობის გამო გუნდმა მალაგიდან სან სებასტიანში დრო-ულად ჩამოფრენა ვერ მოახერხა. მერე კი გავიგე, რომ ალონსო პოსტიდან თავისი ნებით წასულა. ეს ამბავი ორიოდ საათის წინ მითხრეს.

— კლუბში მის მემკვიდრეზე არაფერი უთქ-ვამთ?

— ჯერ, არაფერი. ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცი. ისე კი, გუშინდელი პრესკონფერენციისას პრეზიდენტმა ლუის ურანგამ პირდაპირ თქვა, ალონსოს გათავისუფლებას არ ვაპირებო.

ასე, ეს გვითხრა გუშინ „სოსიედადის“ ახალშე-ძენილმა ქართველმა თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ, სან სებასტიანში რომ შევეხმიანეთ. გუშინვე ბასკთა პრეზიდენტმა ლუის ურანგამ ალონსოს განთავისუფლების თაობაზე თავად განაცხადა. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ურანგა ორი კვირის წინ საკუთარ გადადგომაზე საუ-ბრობდა და თუმცა აზრი არ შეუცვლია, წასვლა მარტამდე გადადო.

საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა პერიკო ალონსოს სან სებასტიანური კარიერა — ამ კლუბის ყოფი-ლმა ფეხბურთელმა მწვრთნელის პოსტზე ორი წელიც ვერ გაძლო. შეგახსენებთ, რომ ოქტომბ-რის ბოლო მან ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი(?) კაცი ხავიერ კლემენტე შეცვალა.

გასულ ოქტომბერში, „სოსიედადი“ მე-18 ადგილ-ზე იყო, ახლა კი ბოლოზე ჩაუშვა ღუზა. ალო-ნსოს გადადგომის მიზეზიც ესაა. ლუის ურანგამ მას მადლობა გადაუხადა, დიდი პატივისცემით მოიხსენია მწვრთნელის პროფესიული და პირო-ვნული თვისებები. თავად ალონსომ კი განაცხადა, რომ მწვრთნელობას სამუდამოდ (!) შეეშვა.

ალონსოს ოფიციალური დამშვიდობება კლუ-ბთან გუშინ დილით შედგა, მისი მემკვიდრის ვი-ნაობაზე კი ჯერ არაფერი თქმულა.

**გიორგი დარჯანია**

# საქართველოს ნაკრები რეგიონულ ლიგაში?!

## ეძებეთ ფეხბურთელები განცხადებით! ფედერაცია ამას დაგიფასებთ



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი წლეულს ბოლოჯერ შეიკრიბა

**გუშინ** საქართველოს სპორტის სახელ-მწიფო დეპარტამენტმა სფფ-ის აღმასკომის ათასწლეულის ბოლო სხდომას უმასპინძლა.

დეპარტამენტში მისულ ჟურნალისტებს სა-სიამოვნო სიურპრიზი დაგვხვდა, სფფ-ის პრე-ზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ტრადიცია და-არღვია და დიდსულოვნად დაგვრთო ნება, აღმასკომის მუშაობას დავსწრებოდით.

ჩვენგან განსხვავებით, სხდომას აღმასკო-მის ქუთაისელი და ბათუმელი წევრები ვერ დაესწრნენ, დასავლელები რიკოთის უღელ-ტეხილზე უამინდობამ შეაბრკოლა.

მუშაობამ ორიოდ საათს გასტანა და ტრა-დიციული პრესკონფერენციით დაგვირგვინდა. სხდომაზე პირველი სიტყვა ეროვნული ნაკ-რების მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს ერგო, მისი მეწყვილე დავით ყიფიანი დარბა-ზში არ იმყოფებოდა.

ძოძუაშვილს სათქმელი ჰქონდა — რაღა თქმა უნდა, დადებითად შეაფასა ეროვნული ნაკრების წლევანდელი შედეგები და სრული მხარდაჭერის შემთხვევაში სამომავლოდაც წარმატებებს დაგვპირდა. სფფ-ის ჩინოსნე-ბმაც მადლობა გადაუხადეს ნაკრების მწვრთ-ნელს გარჯისთვის და გზა დაულოცეს მომა-ვალ ათასწლეულში.

ეროვნული ნაკრების შემდეგ ახალგაზრ-დულის ჯერიც დადგა. მსმენელთა წინაშე მოხსენებით ახალგაზრდული ნაკრების თავ-კაცი მურთაზ ხურცილავა წარსდგა. ხურცი-ლავამ თავისი გუნდის შედეგები უარყოფითად შეაფასა და ზოგადად ამის მიზეზებზეც ისაუ-ბრა: „ჩვენი ჩავარდნის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელე-ბმა ცუდად ითამაშეს. ლიტვა-იტალიაში მინი-მუმ სამ ქულას ვგეგმავდით, ბოლოს კი ხელ-მოცარულნი დავრჩით, გუნდმა ვერ ითამაშა. ინგლისთან ამხანაგურ მატჩში განადგურებამდე 13 შეხვედრა არ წაგვეგო, ინგლისში კი მეტო-ქემ საფეხბურთო გაკვეთილი ჩაგვიტარა.

შესარჩევ მატჩებში დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ფეხბურთელები ერთობ მოუმზადებელნი მოვიდნენ კლუბებიდან. ერთა-დერთი, რითაც კმაყოფილი ვარ, ის არის, რომ ნაკრები ლიტვაშიც და იტალიაშიც აგებდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ბოლომდე იბრძო-ლა. იცით რომ გაცხოველებულ ძიებაში ვართ, ამას წინათ განცხადება გამოვაქვეყნეთ პრესა-ში, რომ ნაკრებებისთვის 1979 წელს დაბადე-ბულ კანდიდატებს ვეძებდით. 24 ფეხბურთელი გამოგვეხმაურა, გავსინჯეთ ეს ხალხი და იმა-ზე უარესები აღმოჩნდნენ, რა კონტინგენტიც დღეს გვყავს. მხოლოდ ორი ფეხბურთელი და-ვიტოვეთ, კიდევ გამოვცდით ამხანაგურ მატ-ჩებში და ვნახოთ, რა გამოვა. თებერვალსა და მარტში უკრაინელებს და აზერბაიჯანელებს გავეჯიბრებით, ამ მატჩებს ნაყოფიერად გამო-ვიყენებთ მომზადების თვალსაზრისით და მერე საქმეს მივხედავთ. დაკარგული არაფერი გვაქვს, ორი საშინაო შეხვედრა თუ მოვიგეთ, ჯგუფი-დან გასვლაც სავსებით რეალურად გვესახე-ბა. მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ“ — განაცხადა ხურცილავამ.

ძოძუაშვილის კითხვაზე, თუ რომელ ფეხბურ-თელებს გამოყოფდა ეროვნული გუნდის კანდი-დატებად, ხურცილავამ უპასუხა, რომ ასეთებად ლომაია, კვარაცხელია და ქემოკლიძე ესახება.

მურთაზ ხურცილავას პიროვნებას დიდ პა-ტივს ვცემთ, მაგრამ მოკრძალებით მაინც შევ-კადრებთ, რომ ნაკრების კანდიდატებს განცხა-დებით ძებნა კი არა, კარდაკარ სიარული და პოვნა სჭირდება.

ხურცილავას მოსაზრებას აღმასკომმაც მხა-რი დაუჭირა, სფფ-ის ჩინოსანთა ჩათვლით ყვე-ლამ უარყოფითად შეაფასა ახალგაზრდული ნაკრების წლევანდელი შედეგები. ასეთ დროს ცივილურ საფეხბურთო ქვეყნებში რაც ხდება, თავადაც კარგად მოგეხსენებათ — ორიოდე თბილი, გამოსამშვიდობებელი სიტყვა და ქუდის დახურვა... მაგრამ მივყვეთ აღმასკომის მსვ-ლელობას.

16-წლამდელთა და 18-წლამდელთა ნაკრებე-ბის შეფასება ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და ამ გუნდების კურატორმა ალექსანდრე ჩივაძემ ითავა:

იხილეთ მეორე გვერდი

# საფრანგეთმა ფიფას მეთოფე დაუმიზნა

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი იყო ზინედინ ზიდანი;

ფიფას ვერსიით მსოფლიოს წლის ფეხბურთელად გამოცხადდა ზინედინ ზიდანი...

მაშ რაღა გამოცნობა უნდოდა კითხვას, ვინ გახდებოდა საფრანგეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელი?

„ძალიან ბედნიერი ვარ, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად რომ დამასახე-ლეს, თუმცა ვაღიარებ, რომ ზიდანთან ჭიდილი ძნელი და ამავდროულად სასიამოვნოც იყო“ — თქვა ტიერი ანრიმ.

„ფრანს ფუტბოლის“ მიერ გამოკითხულ სპეციალისტთა რჩეული სწორედ „არსენალის“ თავდამსხმელი გახდა.

საფრანგეთმა მეთოფე ირჩია.





ირაკლი მეძმარიაშვილი და ვალერი ჩოლარია



მერაბ ჟორდანია და ალექსანდრე ჩივაძე

დასაწყისი პირველ გვერდზე

# საქართველოს ნაკრები რეგიონულ ლიგაში?!

— შოთა ჭეიშვილის და თენგიზ სულაქველიძის ალმასკომის სხდომაზე მოწვევა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ. 18-წლამდელებს ძალიან ძლიერი მეტოქეები შეხვდათ ქვეჯგუფში, ესპანეთიც და ხორვატიაც ამ ასაკში გრანდებად ითვლებიან. უეფას წესით, ჩვენ უნდა მოგველაპარაკა მეტოქეებთან მიმოსვლით მატჩებზე და თუ ვერ შევთანხმდებოდით, მაშინ თავად უეფა იტყოდა ბოლო სიტყვას. შეთანხმება არ მოხერხდა და ევროპის ფეხბურთის მესვეურებმაც შესარჩევი ეტაპის ჩატარება ხორვატიაში გადაწყვიტეს. ნაკრებმა სრულფასოვანი შეკრებები გაიარა ბულგარეთსა და იტალიაში. მთავარ მწვრთნელ შოთა ჭეიშვილს გუნდის მოსამზადებლად ყველანაირი პირობა ჰქონდა. ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ის გახლდათ, რომ ნაკრების ლეგიონერი ლადო ახალაია თავისი დაუდევრობით ვერც იტალიაში შეუერთდა გუნდის საწვრთნელ პროცესს და ხორვატიაშიც ვერ შეძლო ჩასვლა საპასპორტო პრობლემების გამო.

შეკრება და ხელშეწყობა არც 16-წლამდელთა ნაკრებს დაჰკლებია. თენგიზ სულაქველიძის გუნდს შედარებით იოლი ჯგუფი შეხვდა, მართალია, ჩვენებმა ალბანელებს სძლიეს, მაგრამ რუმინეთთან გვარიანად შერცხვნენ და ქვეჯგუფში ჩარჩნენ. აქედან გამომდინარე, სულაქველიძის, ისევე როგორც ჭეიშვილის, მოღვაწეობა არადამაკმაყოფილებლად მივიჩნიეთ და ისინი თანამდებობებიდან გათავისუფლებულნი არიან — აი, ეს თქვა ბატონმა ვიცე-პრეზიდენტმა.

ვიდრე 18-წლამდელთა და 16-წლამდელთა ნაკრებების ახალ მწვრთნელებს წარმოგიდგენდეთ, ურიგო არ იქნება, მცირე კომენტარი გავუკეთოთ ჩივაძის განაცხადებას.

რა თქმა უნდა, ორივე ნაკრები სუსტად გამოვიდა შესარჩევ ციკლში. ჭეიშვილის და სულაქველიძის საუბედუროდ, მათ გუნდებს მხოლოდ ორ-ორ ოფიციალურ მატჩში მოუხდათ გამოსვლა, ისევე როგორც ხურცილავას გუნდს. სამივე ნაკრებში მონაგარი ერთნაირია, აკი უარყოფითად შეფასდა სამივე მწვრთნელის მუშაობა, მაგრამ თანამდებობიდან ორი მათგანი გაათავისუფლეს, ერთი კი დატოვეს. რატომ?

ამ კითხვით პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიას მივმართეთ. დაგვეთანხმა ბატონი პრეზიდენტი, სამართლიანი შენიშვნააო, მაგრამ ხომ ნახეთ, ხურცილავამ თქვა, თავს არ დავზოგავთ, მიზნისთვის ვიბრძოლებთო და ამიტომაც მივეცით შანსიო.

მომხდარიდან და ჟორდანიას პასუხიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი დასკვნა გვრჩება — დიდი უსამართლობა იყო, გუშინდელ სხდომაზე ჭეიშვილი და სულაქველიძე რომ არ მოიწვიეს. არა მგონია, მათ ხურცილავაზე ნაკლებ შეძლებოდათ თავის მართლება და სათავისო არგუმენტების მოყვანა, მაგრამ როგორც ჩანს, დამრჩენ-წამსვლელთა ვინაობა ალმასკომამდე კარგა ხნით ადრე იყო გადაწყვეტილი.

და კიდევ, ჩივაძე ბრძანებს, რომ 18-წლამდელთა შემთხვევაში მეტოქეებს ჯგუფური ეტაპის ჩატარების პირობებზე ვერ შეუთანხმდნენ. საოცარია, პირველად გვესმის ამის შესახებ. იქნებ მეხსიერება გვღალატობს და ვერ ვიხსენებთ ხორვატებთან და ესპანელებთან მოლაპარაკებებით გადატვირთულ ნაკრების კურატორს.

ლადო ახალაიას „დაუდევრობას“ რაც შეეხება. სფფ-ის ჩინოსნებს მისი უცხოური პასპორტის გამოსაცვლელად ერთ კვირაზე მეტი დრო ჰქონდათ, მაგრამ ის, რაც ხშირად ერთ დღეში გაკეთებულა, ამ შემთხვევაში ათ დღეში ვერ მოესწრო. ბოლო მომენტამდე სფფ-ის პრესატაშე ირწმუნებოდა, ახალაიას პასპორტის გამოცვლა პრობლემა არ არის, ლადო გუნდს ხორვატიაში შეუერთდებაო.

ახლა კი აღზევებულებსაც გაგაცნობთ. მომავალი წლიდან უკვე 19-წლამდელთა და 17-წლამდელთა ნაკრებებს შესაბამისად გელა გომელაური და კობა ჟორჟიკაშვილი უხელმძღვანელებენ.

— უდიდესი ნდობისთვის დიდ მადლობას გიხდით. ვეცდები, იმედები არ გავუცრუო გულშემატკივარს. მომავალ წელს შესარჩევ ჯგუფში მეტოქეებად ინგლისი და უნგრეთი გვყავს, ტურნირი ინგლისში ტარდება და მჯერა, თავს არ შევირცხვენთ. გპირდებით, მუშაობას პატიოსნად და პროფესიონალურად წარვმართავთ — თქვა 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გელა გომელაურმა.

ეს პიროვნება დღემდე საფეხბურთო კლუბ „ვალენსიას“ მწვრთნელობდა, მანამდე „ოლიმპიკსა“ და „ნორჩ დინამოელშიც“ უმუშავია. გომელაური „პატიოსნად და პროფესიონალურად მუშაობისთვის“ თავისი პროექტითაც წარსდგა ალმასკომზე. ამ პროექტს სფფ-ც მხარს უჭერს და იმაში მდგომარეობს, რომ 19-წლამდელთა ნაკრების ძირითადი ბირთვი (რომელიც, რაღა თქმა უნდა, „ვალენსიას“ ბაზაზე იქნება ჩამოყალიბებული) ცალკე გუნდად უკონკურსოდ გამოვიდეს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში. გუნდთან მუშაობის მეტი საშუალება მექნებაო, განმარტა გომელაურმაც. ამაზე სხდომაზე მყოფმა ვლადიმერ გუცაევმა (რომელსაც ძოძუაშვილმაც აუბა მხარი) პროტესტი განაცხადა, ნაკრების კანდიდატ ჩემს ფეხბურთელს რეგიონულ ლიგაში რატომ გავუშვებ, ამას არც ერთი კლუბი არ დათანხმდებაო. მერაბ ჟორდანიამ იქვე განმარტა, ის 19-წლამდელი, რომელიც უმაღლესი ლიგის გუნდში ვერ მოხვდება, რეგიონულ ლიგაში მიიღებს სათამაშო პრაქტიკასო.

სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარის, ომარ გოგიაშვილის არ იყოს, საკვირველია, როგორ უნდა დააკმაყოფილოს ფეხბურთელმა ნაკრების დონე, თუ უმაღლესი ლიგისას ვერ აკმაყოფილებს? სხვაც უამრავი კითხვა ჩნდება, მაგრამ მოდით, დავფიქრდეთ, ვის აძლევს ხელს ამგვარი მარტივი გამოსავალი? რაღა თქმა უნდა, მწვრთნელებს, გამარტივებული და სარფიანი მუშაობისთვის და ფეხბურთის ფედერაციასაც, რომელიც სავალდებულო უცხოურ შეკრებებს კი გადარჩება, მაგრამ არა გვგონია, კლუბის შესანახმა და შეკრებებისთვის საჭირო წლიურმა თანხამ ადრინდელს არ გადააჭარბოს.

ერთი სიტყვით, თავის მოტყუებაა იმაზე ფიქრი, რომ ამით ნაკრების სათამაშო დონე აიწევს. ელემენტარულია, ნაკრების ფეხბურთელების ერთად თავმოყრა კი არა, ძიება და ძლიერ კლუბებში დასაქმებაა საჭირო. აბა, თავად განსაჯეთ, საქართველოს რეგიონული ლიგიდან წასულმა თუნდაც 3-4 ლეგიონერით გაძლიერებულმა გუნდმა ევროპაში რა უნდა გააწყოს. მოკლედ, ეს პროექტი, რომელიც სამომავლოდაც გვარიან შეხლა-შემოხლას გამოიწვევს, ვლადიმერ გუცაევის არ იყოს, ველოსიპედის გამოგონებას ჰგავს.

ახალი ფორმატით 17-წლამდელებს, როგორც გითხარით, კობა ჟორჟიკაშვილი უხელმძღვანელებს. მანაც მადლობა გადაუხადა ალმასკომს ნდობისთვის და პრეზიდენტს დაჰპირდა, თავს არ დავზოგავო. ჟორჟიკაშვილი ჩვენში უპრეტენზიო, საქმის მკეთებელ კაცადაა ცნობილი. მას შემდეგ, რაც კობა 14-წლამდელთა მწვრთნელად დაინიშნა, წელიწადნახევარზე მეტია. ისიც თავდაუზოგავად შრომობს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადის და ნიჭიერ ყმაწვილებს არჩევს. თუ მას მუშაობისთვის ყველა პირობა შეექმნა და არჩეულ გზას არ გადაუხვია, მისგან წარმატებაც არ იქნება მოულოდნელი.

მორიგი მომხსენებელი ალმასკომის სხდომაზე სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი გია ისიანი გახლდათ. მან მოკლედ ისაუბრა უეფას ახალ დადგენილებაზე — კლუბების ლიცენზირების საკითხზე. ეს თემა ერთობ ვრცელია, გარკვეული ანალიზიც სჭირდება და ამაზე ერთ-ერთ უახლოეს „სარბიელში“ ვისაუბრებთ, მანამდე კი იმას გეტყვით, რომ ალმასკომმა სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარედ ერთხმად დაამტკიცა პროფესიით იურისტი არჯევან ლომიძე.

დაბოლოს, ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე მერაბ ჟორდანია და სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია წარდგნენ.

— საშემოდგომო ეტაპი მთლიანობაში დაბალ დონეზე წარიმართა, კლასზე ლაპარაკი ჯერჯერობით ზედმეტია, მა- გრამ ჩემპიონატის დაბალი დონე იმ- დი გამიჩინა, რომ კლასიც ამაღლდე- — ასე დაიწყო მერაბ ჟორდანიამ.

**— სამთავრობო სხდომაზე ქალაქ- მერის ვანო ზოდელავას თამამი განც- ადების შემდეგ შეგვიძლია ჩავთვალ- თუ არა, რომ საქართველოს ნაკრ- 28 მარტს „ეროვნულზე“ ითამაშებ-**

— ამის შესახებ მაქვს ინფორმაც- ზოდელავას არ შევხვედრივარ, მაგრ- როგორც ვიცი, ჯერჯერობით მერი- არა აქვს იმის საშუალება, რომ სტად- ონზე მთლიანად გამოცვალოს განათ- ბა, მაგრამ ნაკრები 28 მარტს ალბ- მაინც „ეროვნულზე“ ითამაშებს, რად- თბილისში ზოდელავას ძალისხმევ- საზღვარგარეთიდან ჩამოიტანენ და ე- თჯერადი გამოყენებისთვის დაამონტ- ჟებენ პროჟექტორებს, შემდეგ კი ყოვ- ლივეს უკან დააბრუნებენ.

**— „ლოკომოტივ“ — ხიზანიშვილ- ფიქტიური კონტრაქტის ასლი თუ- დაუგზავნეთ ფიფას?**

*ვალერი ჩოლარია:* — როგორც- ჩვენ დრო 27 დეკემბრამდე გვაქვ- შინწინ „ლოკომოტივს“ წერილი გა- გზავნეთ, სადაც ვთხოვეთ, კონტრაქ- ინგლისურად გადაეთარგმნათ. მათ- ნოტარიუსით დამოწმებულ თარგმ- როგორც კი მივიღებთ, მაშინვე გა- ზავნით ფიფას.

*მერაბ ჟორდანია:* — ორივე მხარ- თავ-თავისი პრეტენზიები აქვს. როგ- იცით, მათ შევხვდით და გავესაუბ- ამ დღეებში ზურაბ ხიზანიშვილის მ- კიდევ ერთხელ შევახვედრებ „ლოკომო- ტივის“ წარმომადგენლებს.

პრესკონფერენციის ბოლოს ვალ- ჩოლარიამ საქართველოს ეროვნ- ნაკრების ახალი „ლოტოსეული“ ფ- მის ესკიზები წარმოგვიდგინა. ორ- ირი სამოსი (შავი, შინდისფერი, თ- და თეთრ-წითელი) ნაკრებს მარტ- თვეში ჩამოუვა.

დაბოლოს, გუშინდელ ალმასკ- სხდომას საქართველოს სპორტის ს- ლმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომა- რე ირაკლი მეძმარიაშვილიც ეს- რო, ერთი ეგაა, მასში არ ჩარეულ-

**ბაადა ძგანტაძი...**



ჩვიდმეტწლამდელთა მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი



ცხრამეტწლამდელთა მწვრთნელი გელა გომელაური

## ინგლისი

XIX ტური

ტოტენჰემი 1:1 საუთჰემპტონი
1:0 ტომპსონი (33), 1:1 ტეისენი (61)

### პირველი დივიზიონი

XXIV ტური

კრისტალ პალასი 2:3 ბლექბერნი
სტოკპორტი 2:2 ჯილინგემი

### მეორე დივიზიონი

XXII ტური

ბრისტოლი 3:2 როტერსი
კოლჩესტერი 3:2 ოქსფორდი
პორტ ვეილი 0:2 როტერჰემი

### მესამე დივიზიონი

XXII ტური

ბრაიტონი 2:0 ექსეტერი
მენსფილდი 1:1 კარლაილი
შრიუსბერი 0:1 საუთენდი
იორკი 0:2 ბლეკპული

## იტალია

სერია A. XII ტური

ბარი 1:2 ლაციო
0:1 მიხაილოვიჩი (40), 0:2 რავანელი (63), 1:2 ანდ... რსონი (83 პ)

რომა 0:0 იუვენტუსი
გაძევება: დავიდსი (90, იუვენტუსი)

## თურქეთი

XVIII ტური

რიზე 2:0 გენჩლერბირლიგი
ადანა 2:2 ისტანბული
ანკარა 2:0 სამსუნი
ფენერბაჰჩე 4:0 ქოჯაელი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
საშემოდგომო ეტაპი

# №9 გორდა

# დიდი შოტლანდიელის ხსენება და გაწბილება

**ვერავინ** იტყვის, რუსთავში ფეხბურთი საქართველოს სხვა ქალაქებზე ნაკლებად უყვართო. სტადიონიც ჩინებული აქვთ რუსთაველებს, მაგრამ გუნდისა აბა, რა მოგახსენოთ. უკვე ზედიზედ მეხუთე სეზონია, „გორდა“ ოდენ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის. თავისებურ ტრადიციად იქცა ისიც, რომ კლუბს სეზონის დაწყებისას ყოველთვის უჭირს ყოველწლიური, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდაც. წლეულს „გორდას“ ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ გამოუჩნდა პატრონი და სფფ-ის ხაზინაში შესატანი ფული — კლუბის პრეზიდენტი თბილისელი ბიზნესმენი, თემურ ბუილიშვილი გახდა.

შედეგების მხრივ ვერც მდიდარი ტრადიციებით დაიკვეხნის „გორდა“. რუსთაველებმა პირველი და მესამე ეროვნული ჩემპიონატი მესამე ადგილით დაამთავრეს — აი, ასეთი გახლავთ „გორდას“ მიღწევები. აგრეთვე გუნდმა წარმატებით იასპარეზა 1993-1994 წლების საქართველოს თასის მეოთხე გათამაშებაში, როცა ფინალამდე მიაღწია და „დინამოსთან“ დამარცხდა.



„დინამო“ — „გორდა“ 2:0. ალექსანდრე ბურნაძე და ლაშა სილაგაძე რევაზ ქემოკლიძეს (№2) და ირაკლი ვაშაკიძეს (№3) მეურვეობენ

სამაგიეროდ, რუსთავის „გორდაში“ ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელს გადაუდგამს პირველი ნაბიჯი, რომლებიც შემდეგ წარმატებით გამოდიოდნენ და გამოდიან სხვა ქართულ თუ უცხოურ კლუბებში, საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში. ყოველივე ეს, წესითა და რიგით, საკმაოდ მაცდური პერსპექტივა უნდა იყოს ფეხბურთში ფულის ჩადების მსურველებისთვის, მაგრამ რატომღაც ასე არ ხდება.

რახან მეთერთმეტე ეროვნულისთვის გუნდს როგორც იქნა, საშველი დაადგა და პატრონი გამოუჩნდა, მწვრთნელები და ფეხბურთელებიც ამაღლებული განწყობით შეხვდნენ სეზონის დაწყებას. „გორდას“ პირველი წარმატების ამბავი მეხივით გავარდა — რუსთაველებმა შინ იმ დროისთვის ჯერ კიდევ იტალიურად ნაწრთობ „ბათუმს“ სძლიეს. არადა, „გორდა“ შესვენებამდე აგებდა მატჩს, მაგრამ მერე სამი უპასუხო ბურთი გაუტანა ზღვისპირელებს, აქედან ორი შეცვლაზე შესულმა ალექსანდრე კიტეიშვილმა შეაგდო. ამას მოჰყვა მეტად გახმაურებული, 6:0 წაგებული მატჩი „ლოკომოტივთან“. მითქმა-მოთქმა ბევრი იყო, თუმც დასაბუთებულად ვერავინ ამტკიცებდა, უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე „სლოვანთან“ შერცხვენილმა რკინიგზელებმა ასე რატომ გაანადგურეს მეტოქე. „გორდამაც“ მყისვე აჩვენა, რომ „ლოკომოტივთან“ ასეთი მარცხი მთლად კანონზომიერი არ იყო და შინ კიდევ ერთი ზღვისპირელი, არანაკლებ სახელოვანი ფოთის „კოლხეთიც“ გააკრა ბეჭებზე. რუსთაველებს ისევ შემცვლელის, გიორგი მიშველიძის ბოლო წუთებზე გატანილმა გოლმა იმის საბაბი მისცა, რომ გუნდის თავკაცი იასონ ალადაშვილი, ბათუმელთა ძლევის შემდეგ, ხელმეორედ შერაცხეს ფერგიასონად. თუმც დიდი შოტლანდიელი სერის ხსენება მას მერე „ფოლადზე“ აღარ ყოფილა.

მომდევნო ხუთი მატჩი იასონ ალადაშვილის შეგირდებმა ფრედ ითამაშეს. მათგან აღსანიშნავია ის, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ დაუგეგმავი ორი ქულა დაკარგა „ფოლადზე“. მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ „გორდამ“ ხუთი შეხვედრა უკვე ზედიზედ წააგო, თუმც აქედან სამი ისეთ მეტოქეებთან დათმო („ტორპედო“, „დინამო“ და „ლოკომოტივი“), რომ დიდად ვერ გაკიცხავდა კაცი. დასანანი იყო მარცხი ბათუმში — „გორდა“ ხომ ბოლო წუთებამდე მედგრად უმკლავდებოდა მეტოქეს. აი, შინ, ბოლნისის „სიონთან“ კი აშკარად შერცხვა „გორდა“ — სტუმრებმა ყველა კომპონენტში აჯობეს რუსთაველებს. წაგებათა სერიას მოჰყვა სოსო ფილიას მისვლით გონსმოსულ „კოლხეთთან“ სტუმრად მოპოვებული ქულა. მერე კი მეტად პრინციპული გამარჯვება გორის „დილასთან“, რომელიც „გორდას“ დარად გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია და თასის წლევანდელი გათამაშების მერვედფინალიდანაც გამოთიშა იასონ ალადაშვილის გუნდი. საშემოდგომო ეტაპის ღირსეულად დაგვირგვინება კი ვერ შეძლეს რუსთაველებმა — შინ განწირულ აუტსაიდერ „იბერიას“ ვერ მოუგეს, თანაც აღსანიშნავია, რომ სამტრედიელებმა ჯერჯერობით ორად ორი ქულა მხოლოდ ერთ გუნდ, რუსთავის „გორდასთან“ მატჩებში მოიპოვეს.

მეთორმეტე ეროვნულში პირველი ეტაპის „გორდას“ მომდევნო შეხვედრების კალენდარს თუ გადავხედავთ, რუსთაველებს საკმაოდ მძიმე მატჩები ელით. სტუმრად არგავარდნისთვის უშუალო კონკურენტებთან, თსუ-სთან და „სიონთან“ მოუწევს პაექრობა, აგრეთვე ზედა ოთხეულში მყოფ „ვიტ ჯორჯიასთან“. შინ კი მხოლოდ ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს, „ტორპედოს“ და „დინამოს“ უნდა უმასპინძლოს. ერთი სიტყვით, სამშვიდობოზე გაღწევისთვის „გორდას“ მეტად რთული გზის გავლა მოუწევს.

ფინანსური პრობლემების გამო „გორდა“ მეთოთხმეტე ეროვნულისთვის შემადგენლობის მხრივ ვერ გაძლიერდა. დიდი დანაკლისი იყო ძმების, ვარლამ და გია კილასონიების, აგრეთვე დავით ინასარიძის გუნდიდან წასვლა.

წლეულს რუსთაველთა ძირითადმა მეკარემ, 21 წლის გიორგი ნიკურაძემ საშემოდგომო ეტაპის ყველა მატჩი ჩაატარა. ის ერთობ არასტაბილურია, ხშირად იბნევა მარტივ სიტუაციებში, თუმც ბრწყინვალე აღნაგობა და გრაცია აქვს, არცთუ იშვიათად საძნელო ბურთებსაც იგერიებს და საერთო ჯამში ნიჭიერი მეკარის რეპუტაციაც აქვს. ვერავინ იტყვის, რომ „გორდამ“ ესა თუ ის მატჩი მის გამო წააგო.

დაცვაში ძირითადად ხუთ ფეხბურთელს უწევდა თამაში. ამ რგოლში ლიდერი ალექსანდრე ბურნაძეა, თუმც ტრავმებმა შეაწუხა და თავის საუკეთესო სეზონსაც ნამდვილად ვერ ატარებს. რამდენიმე შეხვედრაში გამოირჩეოდა პავლე ბექაური. ეს ტანმორჩილი მცველი ხშირად მაღალი ბურთების გამომტანი იყო გორდას საჯარიმოდან და მისი მისადგომებიდან. ოდნავ მოუმატა თამაშს 22 წლის ხვიჩა მჭედლიძემ, დავით ბერიძე და მიხეილ გაბელაია მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდნენ, თუმც თავიანთი შესაძლებლობების ბოლომდე წარმოჩენას ნამდვილად ცდილობდნენ. ნომინალური მცველია ლაშა სილაგაძე, მაგრამ საქმეს დასჭირდა და რამდენჯერმე ფაქტობრივად ფორვარდად ითამაშა. ჩვენთან რატომღაც არ ტარდება თვის ან სეზონის საუკეთესო გოლების კონკურსი, თორემ ლაშა სილაგაძის მიერ „მერანის“ კარში მაკრატელათი ულამაზესად გატანილი ბურთი ნაღდად საუკეთესო იქნებოდა, საშემოდგომო ეტაპისთვის მაინც.

მოედნის ცენტრში ხშირად მოიკოჭლებდა „გორდა“, რასაც სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ ნახევარდაცვა საერთო ჯამში მაინც ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე. „გორდას“ არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც გუნდის თამაშს წარმართავდა. კახა ალადაშვილი, მამუკა მელაძე, ზურაბ ლაბაძე, სპარტაკ ბაჩილავა, სანდრო ბუკია — ეს ფეხბურთელები წარმოადგენენ „გორდას“ ხერხემალს და მათ ფაქტობრივად თანაბარი შესაძლებლობები აქვთ.

ძალიან გაუჭირდათ რუსთაველებს წინა ხაზში. ამ რგოლში გამორჩეული ფიგურა გორგი მიშველიძეა, რომელიც „გორდაში“ საშემოდგომო ეტაპის საუკეთესო მოთამაშედაც მიგვაჩნია. მას მოედნის სიღრმიდანაც ძალუძს პრობლემები შეუქმნას მეტოქის დაცვას, დროულად იღებს სწორ გადაწყვეტილებებს, არც ისე ძლიერი დარტყმა აქვს, მაგრამ ზუსტი. რამდენიმე შეხვედრა კარგად ჩაატარა ალექსანდრე კიტეიშვილმა, რომელიც ბურთის ფლობასა და დრიბლინგშია გამორჩეული. 22 წლის ბიძინა ივანიჩიანმა ერთხანს სიმფეროპოლის „ტავრიაში“ გადაწყვიტა თამაში, მაგრამ უკრაინაში ჩასული ისევ უკან გამობრუნდა და იმის გამო, რომ სათანადო ფორმაში ვერა და ვერ ჩადგა, დიდი სარგებლობაც არ მოუტანია გუნდისთვის. საშემოდგომო ეტაპის ბოლოს „გორდას“ „ლოკომოტივიდან“ დაუბრუნდა ფორვარდი არმაზ ჯელაძე, რომელსაც ლატვია და საუდის არაბეთიც აქვს მოვლილი. თუმც ეს 27 წლის თავდამსხმელიც უვარჯიშებლობის გამო დიდად ვერ შეეხიდა „გორდას“.

სამომავლოდ გუნდის ასავალ-დასავალი არცთუ მკაფიოდაა გარკვეული. პრეზიდენტს გვერდში არავინ ამოუდგა, „გორდაში“ ფაქტობრივად ერთი კაცის ფული ტრიალებს და ენთუზიასტური შემართებაც არ იგრძნობა.

**დავით თავართქილაძე**

## გორდა 2000-01

| ტურის № მეტოქე | ანგარიში | სად | მეგოლე |
|---|---|---|---|
| 1 ბათუმი | 3:1 | შ | კიტეიშვილი 2, ალადაშვილი |
| 2 ლოკომოტივი | 0:6 | ს | |
| 3 კოლხეთი | 1:0 | შ | მიშველიძე |
| 4 დილა | 2:2 | ს | მელაძე, ივეჩიანი |
| 5 მერანი | 2:2 | შ | სილაგაძე, მიშველიძე |
| 6 იბერია | 0:0 | ს | |
| 7 ვიტ ჯორჯია | 0:0 | შ | |
| 8 თსუ | 1:1 | შ | მიშველიძე |
| 9 ტორპედო | 0:2 | ს | |
| 10 სიონი | 1:2 | შ | ირემაშვილი (ა.კ.) |
| 11 დინამო | 0:2 | ს | |
| 12 ბათუმი | 0:1 | ს | |
| 13 ლოკომოტივი | 0:1 | შ | |
| 14 კოლხეთი | 0:0 | ს | |
| 15 დილა | 3:0 | შ | მელაძე, მიშველიძე, ივეჩიანი |
| 16 მერანი | 0:2 | ს | |
| 17 იბერია | 0:0 | შ | |

| სახელი გვარი | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| მამუკა მელაძე | 17 | 2 | 4 | 0 | 0 |
| გიორგი მიშველიძე | 17 | 4 | 1 | 0 | 0 |
| გიორგი ნიკურაძე | 17 | -22 | 2 | 0 | 0 |
| პავლე ბექაური | 16 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ალეკო კიტეიშვილი | 16 | 2 | 1 | 0 | 1 |
| ზურაბ ლაბაძე | 16 | 0 | 3 | 0 | 0 |
| კახა ალადაშვილი | 15 | 1 | 1 | 0 | 1 |
| ალეკო ბუკია | 15 | 0 | 0 | 1 | 1 |
| მიხეილ გაბელაია | 15 | 0 | 3 | 0 | 0 |
| ლაშა სილაგაძე | 15 | 1 | 3 | 0 | 1 |
| ბიძინა ივეჩიანი | 13 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით ბერიძე | 12 | 0 | 2 | 0 | 0 |
| სანდრო ბურნაძე | 11 | 0 | 2 | 0 | 2 |
| სპარტაკ ბაჩილავა | 10 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ხვიჩა მჭედლიძე | 7 | 0 | 3 | 0 | 1 |
| მიხეილ სახვაძე | 5 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ზაზა პატარიძე | 4 | 0 | 1 | 0 | 0 |
| არმაზ ჯელაძე | 3 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ლევან კაპანაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კახა ოსკანაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შოთა ფოჩხუა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |

## საუკეთესო მოთამაშე

### გიორგი მიშველიძე

18.02.73

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1991 | სამგორი | C | 7 | 3 |
| 91-92 | სამგორი | E | 10 | 0 |
| 92-93 | სამგორი | C | 24 | 4 |
| 93-94 | იმედი (რუსთავი) | C | 22 | 23 |
| 94-95 | აზოტი | B | 26 | 7 |
| 95-96 | აზოტი აკადემია | B | 26 | 13 |
| 96-97 | კოლხეთი 1913 | A | 6 | 0 |
| | მეტალურგი | A | 5 | 0 |
| 97-98 | მეტალურგი | A | 10 | 2 |
| 98-99 | გორდა | A | 9 | 2 |
| 99-00 | გორდა | A | 22 | 2 |
| 00-01 | გორდა | A | 17 | 4 |



### ადგილი ტურების მიხედვით



| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 25 | 43 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 32 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | -15 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | -19 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 11 თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | -15 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | -32 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | -16 | 1 |

# ზამერი, კალაძე, ხიზანიშვილი... როგორ იცავენ თავს ქართველები?

*...ცხადაძე-შელიას ეპოქა შეჩერდა, ბოსკამპმა ხაზზე გაამწკრივა ჩვენი მცველები, ნაკრებში დაცვის ხაზის შემდუღებელი არ ჩანდა, დაცვა გუნდის ერთ-ერთი სუსტი წერტილი გახდა.*

*როგორი მცველების იმედად დავრჩით, რა შეიცვალა გუნდის ამ სათამაშო რგოლში, ვინ ვისზე უკეთ გამოიყურება დღესდღეობით... გახსოვთ „დინამო", რომელმაც დიდ გამარჯვებას მიაღწია? სწორედ ამ გუნდის ნიჭიერი და ერთ-ერთი უძლიერესი მცველი გახლდათ თამაზ კოსტავა, რომელიც ახლა ამავე კლუბის ბავშვთა სკოლაში მოღვაწეობს, თუმც მანამდე, ალექსანდრე ჩივაძის თავკაცობისას, ეროვნულ ნაკრებშიც მუშაობდა თანაშემწედ და მასთან ინტერვიუც, ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისთვის.*

**— ფეხბურთი ბოლო დროს მეტად სწრაფი ტემპით ვითარდება. თქვენი თვალთახედვით, როგორი მეტამორფოზა განიცადა დაცვის ხაზმა?**

— დღეს მცველი მარტო დაცვით ფუნქციებს აღარ ასრულებს. კარგი, თანამედროვე მცველი ცდილობს, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, შეტევაში ჩაერთოს. შეტევის ფლანგებზე ხდება გაორება — ფლანგურ ნახევარმცველებს მცველები აქტიურად ეხმარებიან. საქართველოს ჩემპიონატში კი მცველებს აშკარად აკლიათ პირველ რიგში ფუნქციონალური, მერე ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადება.

**— ბოსკამპის საქართველოში მუშაობისას მეტად აქტუალური გახდა მცველთა ერთ ხაზზე განლაგებით თამაშის თემა...**

— არ მინდა, ვინმე დავაკნინო, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ბოსკამპმა თავისი შრომითა და ცოდნით ჩვენში დიდი საქმე გააკეთა. დღესდღეობით ხომ ყველა დიდი გუნდი მცველთა ერთ ხაზზე განლაგებით, უკან დაწეული დამზღვევის გარეშე თამაშობს და აქტიური ფეხბურთის სათამაშოდ ეს სქემა ზედგამოჭრილია. ასეთ შემთხვევაში მცველები პერსონალურად არ მეურვეობენ ფორვარდებს, მთელი მატჩის განმავლობაში არ დასდევენ მათ, რაც საშუალებას აძლევთ, პერიოდულად განთავისუფლდნენ და შეტევაში ჩაერთონ. ფორვარდს კი ის მოთამაშე მეურვეობს, რომელიც კონკრეტულ მომენტში მასთან ყველაზე ახლოს იმყოფება.

**— გასაგებია, მაგრამ ბოსკამპი ხომ ამით ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ფაქტობრივად ავანტურისტული ფეხბურთის თამაშისკენ უბიძგებდა.**

— საქმე, იმაშია, რომ დაცვის ასეთი განლაგებით თამაში მართლაც დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ამისთვის მცველთა სათანადო მომზადებაა საჭირო და, რა თქმა უნდა, მაღალი დონის შემსრულებლები.

**— ოთხი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატი ფაქტობრივად ლიბერომ, მათიას ზამერმა მოიგო. ნუთუ ისე მკვეთრად შეიცვალა ფეხბურთი ამ ოთხ წელიწადში, რომ ლიბერო საჭირო აღარ არის?**

— მართალია, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატი მართლაც ლიბეროდ მოთამაშე მათიას ზამერმა მოიგო. თუმც ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ გერმანელებს განსაკუთრებით უყვართ ლიბეროთი თამაში, ეს მათი თავისებური ტრადიციაცაა. ოთხ წელიწადში დიდად არა, მაგრამ ნელნელა შეიცვალა მოთხოვნები — მცველებს უფრო მეტი სისწრაფე, გამძლეობა და ორივე ტაიმის განმავლობაში გამუდმებული მუშაობა მართებთ.

**— თვლით, რომ თანამედროვე ფეხბურთში ზამერი დაიკარგებოდა?**

— რა თქმა უნდა, არა, არავითარ შემთხვევაში. მე ასე შევაბრუნებდი კითხვას — დაიკარგებოდა მიშა მესხი თანამედროვე ფეხბურთში? მიშა მესხი დღეს კიდევ უფრო უკეთესი ფეხბურთელი იქნებოდა, რადგან ის ყველაფერს სისწრაფეში აკეთებდა. მათიას ზამერიც ასეთი ფეხბურთელის ტიპია — შრომისამტანი და ვთვლი, რომ ასეთი მოთამაშე დღესდღეობით უფრო კარგადაც წარმოაჩენდა თავს.



თამაზ კოსტავა თბილისში რამდენიმე წლის წინ გამართული უეფას ერთ-ერთი სემინარისას

**— მცველთა რაოდენობაზეც ვთქვათ, როგორ მიგაჩნიათ, ოპტიმალური ვარიანტი მაინც რამდენი მცველით თამაშია?**

— გააჩნია მწვრთნელს და მის მიერ შერჩეულ ტაქტიკას. სამი მცველის გამოყვანით გუნდი აქტიურ თამაშის ჩვენებას ლამობს, ხანდახან, სტუმრად ოთხი მცველითაც თამაშობს. დღეს ძირითადად ასეთი ტენდენციაა, თუმც მოწინავე გუნდების უმეტესობა მაინც უფრო სამი მცველით თამაშს ამჯობინებს. მაგრამ ამავე დროს არიან გუნდებიც, რომლებიც ოთხი მცველით თამაშს ანიჭებენ უპირატესობას. ვთქვათ, იტალიური კლუბები — „მილანი" და „ლაციო".

**— საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კი ოთხ მცველზე ნაკლებით არასდროს უთამაშია. ბოლო ორ შეხვედრაშიც ასე იყო, თანაც კვლავ ლიბეროთი ვითამაშეთ და არა, ერთ ხაზზე განლაგებული მცველებით. რა არის ეს, ნაბიჯი უკან?**

— არა, ეს უბრალოდ, მწვრთნელთა ჩანაფიქრი და მონახაზია. მათ კარგად უწყიან, რა სტილის და შესაძლებლობის ფეხბურთელები გვყავს. ჩვენი ნაკრების ბოლო ორმა თამაშმა გვიჩვენა, რომ გუნდმა სწორი ფეხბურთი ითამაშა. ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ამით ნაკრებში გარდატეხა შეიტანეს — დაცვის ხაზი და საერთოდ გუნდი გაცილებით უკეთ ათამაშდა. რაც შეეხება მცველთა ხაზზე განლაგებას, ვთვლი, რომ ეს დოგმა სულაც არ არის. ყველა მწვრთნელს თავისი სტილი აქვს და ეგებ იოჰან ბოსკამპსაც ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე.

**— საუკეთესო თანამედროვე ქართველ მცველად ალბათ კალაძეს მიიჩნევთ...**

— დიახ, ის ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც მთელი 90 წუთის განმავლობაში შეუძლია დაცვაშიც იდგეს და შეტევებშიც ჩაერთოს. კარგად თამაშობს თავით, აქვს უნარი, დააზღვიოს პარტნიორები. მისი პატარა ნაკლი კი ის არის, რომ ორივე ფეხით თანაბრად კარგად ვერ თამაშობს.

**— ისიც ხომ არა, რომ ლიდერის თვისებები არ გააჩნია?**

— ალბათ, გახსოვთ, როცა მე „დინამოში" ვთამაშობდი, მაშინ ჩივაძე იყო ლიბერო და ის ოთარ გაბელიასთან ერთად თამაშისას კარნახობდა პარტნიორებს. როცა ჩივაძე მიდიოდა წინ, მის ადგილს სულაქველიძე იკავებდა, როცა მე ვერთვებოდი შეტევაში, ჩემს პოზიციას სვანაძე ან დარასელია იჭერდნენ. დღესდღეობით კი ეს მწვრთნელებმა უნდა გათვალონ.

**— ახლა ძალიან დაწინაურდა ზურაბ ხიზანიშვილი...**

— ის მართლაც ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია, ემჩნევა, რომ უზომოდ არის ფეხბურთზე შეყვარებულ...
მას ძალიან სწრაფად ... წილად ...
რმატებები ... ფე-
ხბურთელმა მაღალ დონეზე უნდა ით...
მაშოს. ზურაბ ხიზანიშვილი ტექნიკურ...
მცველია, აქვს ბურთის ართმევის ც...
ღნა, ოღონდ ეგ არის, ცოტა სისწრაფ...
ში უნდა მოუმატოს.

**— საქართველოს ეროვნულ ჩემპი...**
**ონატში მოთამაშე მცველებიდან ვის გ...**
**მოარჩევდით?**

— პირველ რიგში ლევან სილაგაძ...
მისი თავდადებული თამაშითა და ნიჭი...
„ლოკომოტივის" დაცვა უფრო საიმ...
დო გახდა. სილაგაძის დამსახურება ის...
ცაა, რომ ვალერი აბრამიძემ საგრძნ...
ბლად მოუმატა. როცა შენს უკან სილ...
გამისნაირი საიმედო კაცი დგას, თამაშ...
გიადვილდება და საშუალება გეძლევ...
უფრო დაოსტატდე.

საშემოდგომო ეტაპზე „ლოკომოტ...
ის" შემდეგ ყველაზე კარგი დაცვა თბ...
ლისის „დინამოს" ჰყავდა. კარგი მონ...
ცემები აქვს გიორგი შაშიაშვილს, სა...
ედოდ თამაშობს რევაზ ქემოკლიძე გა...
ოვყოფდი არჩილ სახვაძესაც. ის მხ...
ლოდ ბურთის ართმევაში მოიკოჭლებ...
სხვა მხრივ ძალიან დამაჯერებლად გ...
მოიყურება, რადგან „დინამოს" შეტ...
ვათა უმრავლესობა სწორედ სახვაძ...
თი იწყებოდა და ვითარდებოდა.

საერთოდ ვთვლი, რომ კარგი მცვე...
ლებით ქართული თანამედროვე ფე...
ბურთი ღარიბი არ არის, თუმც უნი...
რსალური, ფლანგებზე და ყველგან ერ...
თნაირად კარგად მოთამაშე მცველი ნ...
ღდად არ მეგულება.

**— შელიასა და ცხადაძეზე ხელი უ...**
**და ავიღოთ? აღარ გამოადგებიან ის...**
**ნაკრებს?**

— ეს ფეხბურთელები ადრე ჩვენი ნა...
კრების დაცვის ხერხემალს წარმოად...
ნდნენ და საქმეს კარგად ართმევდნენ თა...
ვს. მერე მოგეხსენებათ, ტრავმებმა და...
ია მათ ხელი, ნაკრებში ახალი თაობა მ...
ვიდა. სამომავლოდ კი ვნახოთ, თუ კა...
გუნდებში მოხვდებიან და სათანადო დო...
ნეზე ათამაშდებიან, ასაკის გამო მათ ხ...
ლი არ უნდა ვკრათ. ახლა ისეთი ტე...
დენციაა, რომ 35 წლის ფეხბურთელე...
იც კი გამოდიან სხვადასხვა ნაკრებშ...

**— თქვენი პროგნოზით, მცველთა ...**
**რაოდენობით და განლაგებით დ...**
**რისპირდება საქართველოს ნაკრებ...**
**მინეთისას 28 მარტს?**

— ორი გასვლითი მატჩის შემ...
ჩვენ ახლა უკვე შინ გვიწევს თამ...
და რუმინეთთან შეხვედრაში საქარ...
ლოს ნაკრების ძალა ხელის გუ...
გადაგვეშლება, ყველაფერი ნათლად ...
მოჩნდება. ჩვენ ხომ მხოლოდ მატ...
მოგებაზე უნდა ვიფიქროთ და, ალ...
სულ სხვა თამაში იქნება ვიდრე ლ...
იატლიასთან.

მცველთა რაოდენობისა და განლ...
ბის შერჩევა კი უშუალოდ მწვრთნ...
ბის პრეროგატივაა. პირადად ჩემი პრ...
გნოზით კი დაცვის ხაზი ისეთივე ...
ბა, როგორც პირველ ორ შეხვედ...

**დავით თავართქილ...**



რომის ლაციოელი ალენ ბოქშიჩი (მარცხნივ) და კიევის დინამოელი კახა კალაძე



ქართველი ზურაბ ხიზანიშვილი და ლიტველი ვალდას ივანაუსკასი

# კლემენტე შამპანურს გემოს გაუსინჯავს

## სტრასბურში მანდილოსნებს პატივს არ სცემენ



სტრასბური — მეცი. ტრიბუნიდან ნასროლ მაშხალას მეცელი სილვენ მარშალი დაჰყურებს. მსაჯმა ერიკ პულამ კი, გეყოთ თამაშიო, თქვა.

## საფრანგეთი

### XXII ტური

**ბორდო 0:2 ნანტი**
0:1 მოლდოვანი (25), 0:2 კარიერი (90)

**რენი 2:0 სედანი**
1:0 გურვენეკი (34), 2:0 ლუკაში (62)

**პარი სენ ჟერმენი 0:0 ტრუა**

**ლიონი 2:1 სენტ ეტიენი**
1:0 ანდერსონი (4), 1:1 ალექსი (70), 2:1 დელმოტი (90)

**ოსერი 3:2 ლანსი**
1:0 გივარში (3), 1:1 დიუფი (14), 2:1 გივარში (34), 3:1 მექსე (48), 3:2 სიბიერსკი (74)

**ტულუზი 1:1 გენგამი**
0:1 ფიორეზე (46), 1:1 ლიბრა (79)

**ლილი 1:0 ბასტია**
1:0 ვალოი (69)

**მარსელი 2:1 მონაკო**
0:1 სიმონე (15), 1:1, 2:1 ვეა (32, 58)

**სტრასბური 1:0 მეცი**
1:0 ლიუბოია (61)
*მატჩი 68-ე წუთზე ჩაიშალა*

**საუკუნის** ბოლო მატჩში „მონა-კოს" თავკაცის კლოდ პუელის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. თუ მისი გუნდი ...ვ წააგებდა, წესით, პუელი თანამ-...ობას უნდა დამშვიდობებოდა და მი-... ადგილი იტალიელ არიგო საკის ...კავებინა. „მონაკო" დამარცხდა, მწვ-...ნელი კი არ შეცვლილა და ამას ...ი მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, საკიმ ...ჯა სახელმწიფოში ჩასვლა არ ისუ-...; მეორეც — გუნდის კაპიტნის მარ-... სიმონესგან (რომელიც მონაკოური ...ვისუფლებით ტკბება), დამოძღვრი-...ა ფეხბურთელებმა პუელს მხარი ...უჭირეს და კლუბის პრეზიდენტმა ...-ლუი კამპორამაც გადამჭრელი ზო-...ის მიღება დროებით გადადო.

...თუ სათავადოს გუნდში საქმეები არე-...ია, სამაგიეროდ, მეზობელ „მარსელ-..." ახალი მთავარი მწვრთნელის ხავი-... კლემენტეს მეშვეობით ნელ-ნელა ...ლაფერი ლაგდება. „რაც მე მოვედი, ... გამართული სამივე მატჩი მოვიგეთ, ...თაც უზომოდ კმაყოფილი ვარ. დღეს ...გებას ნამდვილად ვიმსახურებდით. ...ლოს ცოტათი კი გაგვიჭირდა, მა-...ამ ეს იმის ბრალი იყო, რომ მატჩის ...ის შემობრუნებას დიდი ენერგია და-...ხარჯეთ. ალკოჰოლს არასოდეს ვსვამ, ...რამ ახლა ერთთვიანი განშორების ...მდეგ შინ დაბრუნებას ერთ ჭიქა შამ-...პანურით ალვნიშნავ" — განაცხადა მო-...ელთა დამარცხების შემდეგ ბასკმა ...ვრთნელმა.

...თამაში მასპინძელთა უპირატესობით ...იწყო. მათ ობრის კართან რამდენი-მე სახიფათო მომენტი მალევე შექმნეს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, მონაკოელებმა კი ანგარიში კარში პირველივე დარტყმით გახსნეს: ელუამ ბურთი ჟიულის მიაწოდა, ამან ერთი შეხებით სიმონეს გადააწოდა და იტალიელმაც შემოტრიალებით დაურტყა ტრევიზანს, რომელიც უძლური აღმოჩნდა. „მარსელს" ანგარიშის გასათანაბრებლად დაახლოებით 15 წუთი დასჭირდა — სებასტიან პერესის მშვენიერი დიაგონალური პასის შემდეგ თავი ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ გამოიჩინა.

გამარჯვების გოლიც ვეამ გაიტანა, ოღონდ მეორედ მისი ასისტენტობა ფლორიან მორისმა იკისრა. ექსლიონელი ტრავმის გამო რამდენიმე თვეს უთამაშებელი იყო. „მონაკოსთან" კლემენტემ იგი მეორე ტაიმში ჩართო მატჩში და მორისმაც ხუთ წუთში საგოლე პასი მიაწოდა პარტნიორს. შეხვედრის ბოლოს სტუმართა შტურმს გოლი არ მოჰყოლია და გათამაშების ცხრილში მათ „მარსელმა" გადაასწრო.

„ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ და საუკუნის ბოლო ლიდერები ვართ" — სიხარულს ვერ მალავდა „ნანტის" კაპიტანი და კარის დარაჯი მიკაელ ლანდრო ბორდოში მოგების შემდეგ. მისი ნამდვილად გვესმის, რადგან გარდა იმისა, რომ „ნანტი" პირველ ადგილზე გადავიდა, პირველ წრეში სასტიკი მარცხისთვისაც (0:5) აიღო რევანში.

მასპინძლები საკმაოდ ინერტულები იყვნენ, რაც მათმა დამრიგებელმა ელი ბოპმა დაღლილობასა და უზომოდ გადატვირთულ კალენდარს დააბრალა. არადა, „ბორდო" შინ 9 სექტემბრის შემდეგ არ დამარცხებულიყო, „ნანტთან" კი საკუთარ სტადიონზე უკვე 18 წელი არ წაეგო. სტუმრებმა უკეთ დაიწყეს და ეს ანგარიშზე 25-ე წუთზე აისახა — და რომას ჩაწოდების შემდეგ მოლდოვანმა ბურთს თავის დაჰკრა და რამეს მისი დაჭერის მცირედი შანსიც არ დაუტოვა. „ბორდოს" ხასიათი დიდად არ გაჰფუჭებია, რადგან წლეულს „პარკ ლესკიურზე" უკვე ოთხჯერ აგებდა, მაგრამ სამჯერ მაინც შეძლო გამარჯვება.

ყველაზე სახიფათო პაულეტას დარტყმებით დამთავრებული შეტევები იყო. პორტუგალიელს 32-ე წუთზე ძლივძლივობით აუღო ლანდრომ, ხუთიოდ წუთში კი მისი თავური შემდეგ ბურთი ხარიხას მოხვდა.

შესვენების შემდეგ სტუმრები მთლიანად ანგარიშის შენარჩუნებაზე გადაერთნენ და მეტოქის ნახევარზე იშვიათად გადადიოდნენ, თუმცა მასპინძლებიც უფხოდ ირჯებოდნენ და ანგარიში ვერაფრით გაათანაბრეს. მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ერიკ კარიერმაც გაიტანა და 18-წლიანი შესვენების შემდეგ „ნანტმა" ბორდოში მოიგო.

ესაო, ისაო, სტრასბურის სასამართლოში ვიჩივლებო, ხშირად გაიგონებთ დღეს. ჰოდა, ასეთი ცნობილი ქალაქის მცხოვრებნი მანდილოსნებს სულ არ სცემენ პატივს. „სტრასბურისა" და „მეცის" შეხვედრის 68-ე წუთი მიმდინარეობდა. წინ მასპინძლები იყვნენ დანიელ ლიუბოიას მიერ 61-ე წუთზე გატანილი გოლით. თითქოს მსაჯებთან რა პრეტენზიები უნდა ჰქონოდათ ადგილობრივ ქომაგებს, მაგრამ...

ერთ-ერთი ვაიგულშემატკივრის (აწ უკვე პატიმრის), ნასროლი მაშხალა შეხვედრის გვერდით მსაჯს, ნელი ვიენოს ყურის ძირში აუფეთქდა. „მან წონასწორობა დაკარგა და წაიქცა. ყური ოდნავ დაუზიანდა და არც გული წასვლია, მაგრამ შოკში იყო და მეც გადავწყვიტე, მატჩი შემეწყვიტა" — განაცხადა შეხვედრის მთავარმა არბიტრმა ერიკ პულამ. ქალბატონი ნელი საავადმყოფოში გააქანეს და მის ჯანმრთელობას საფრთხეც არ ემუქრება. სამაგიეროდ, მოსალოდნელია, რომ „სტრასბურს" ტექნიკური წაგება ჩაეთვალოს და მის სტადიონსაც რამდენიმე მატჩით დისკვალიფიკაცია მისცენ.

### გაგი გურული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 22 | 12 | 3 | 7 | 38:28 | 39 |
| ლილი | 22 | 10 | 7 | 5 | 24:15 | 37 |
| სედანი | 22 | 10 | 6 | 6 | 31:23 | 36 |
| ბორდო | 22 | 9 | 8 | 5 | 29:20 | 35 |
| ლიონი | 22 | 8 | 10 | 4 | 29:19 | 34 |
| გენგამი | 22 | 9 | 6 | 7 | 25:25 | 33 |
| რენი | 22 | 9 | 5 | 8 | 24:20 | 32 |
| ბასტია | 22 | 9 | 5 | 8 | 25:22 | 32 |
| ლანსი | 22 | 8 | 7 | 7 | 27:24 | 31 |
| ტრუა | 22 | 8 | 7 | 7 | 25:28 | 31 |
| პარი სენ ჟერმენი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:31 | 30 |
| ოსერი | 22 | 8 | 5 | 9 | 24:28 | 29 |
| მარსელი | 22 | 8 | 3 | 11 | 23:27 | 27 |
| სენტ ეტიენი | 22 | 7 | 6 | 9 | 30:31 | 27 |
| მონაკო | 22 | 7 | 5 | 10 | 30:32 | 26 |
| მეცი | 21 | 5 | 7 | 9 | 16:25 | 22 |
| ტულუზი | 22 | 4 | 7 | 11 | 21:30 | 19 |
| სტრასბური | 21 | 4 | 5 | 12 | 16:40 | 17 |

### მეორე დივიზიონი

24-ე ტური: აიაჩო — ლე ავრი 3:0; ანჟერი — კანი 1:3; ბოვე — ლორიანი 1:3; კაენი — გენიონი 2:1; შატორუ — კრეტეი 0:1; მარტიგი — მონპელიე 0:1; ნიცა — ლავალი 3:0; ნიორი — ვალანსიენი 1:1; ნიმი — ნანსი 1:2; ლე მანი — სოშო 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონპელიე | 24 | 13 | 9 | 2 | 36:18 | 48 |
| სოშო | 24 | 13 | 8 | 3 | 42:15 | 47 |
| ლორიანი | 24 | 13 | 8 | 3 | 36:21 | 47 |
| ნიორი | 24 | 11 | 8 | 5 | 38:24 | 41 |
| ლავალი | 24 | 12 | 5 | 7 | 28:22 | 41 |
| ნანსი | 23 | 11 | 6 | 6 | 30:16 | 39 |
| შატორუ | 24 | 9 | 8 | 7 | 30:24 | 35 |
| კრეტეი | 24 | 8 | 7 | 9 | 25:26 | 31 |
| ლე ავრი | 24 | 6 | 12 | 6 | 28:27 | 30 |
| ლე მანი | 24 | 6 | 12 | 6 | 25:24 | 30 |
| ნიმი | 24 | 7 | 8 | 9 | 33:37 | 29 |
| გენიონი | 24 | 7 | 8 | 9 | 25:33 | 29 |
| კაენი | 24 | 7 | 8 | 9 | 24:33 | 29 |
| ნიცა | 24 | 8 | 3 | 13 | 25:37 | 27 |
| კანი | 24 | 6 | 7 | 11 | 29:39 | 25 |
| მარტიგი | 24 | 4 | 12 | 8 | 20:30 | 24 |
| ვალანსიენი | 24 | 5 | 8 | 11 | 20:27 | 23 |
| აიაჩო | 24 | 6 | 5 | 13 | 17:29 | 23 |
| ბოვე | 23 | 4 | 10 | 9 | 20:29 | 22 |
| ანჟერი | 24 | 3 | 8 | 13 | 22:42 | 17 |

### თასის ოცდამეთორმეტედფინალის წილისყრა

შოლე (V) — ლა როშ-სიურ-იონი (II); კონკარნო (V) — ფონტენეი (VI); ლიონი — კაენი (II); ლავალი (II) — ანჟერი (II); ტუარი (III) — პარი სენ ჟერმენი; მონმორიონი (VII) — სანი (VI); ბეიე (VI) — ვანი (V); ოსერი — ლილი; ლიბურნი (IV) — გრენობლი (III); აიაჩო (II) — სენტ ეტიენი; სეტი (IV) — კანი (II); ვალანსი (III) — მონაკო; შატორუ (II) — ტულუზი; ანნეი (VI) — ბასტია; ლიუნელი (V) — კარკასონი (V); ისუარი (VII) — ბორდო; დიეპი (IV) — მეცი; ლამბრი (VII) — ამიენი (III); პასი-სიურ-ერი (III) — ნანტი; მარკ-ან-ბაროელი (VII) — ვალანსიენი (II); ამნვილი (VI) — ბულონი (IV); ლანსი — ტრუა; სენტ-ომერი (VI) — შერბური (VI); ნანსი (II) — სტრასბური; შალონ-სიურ-საონი (VI) — რეიმსი; რენი — გენგამი; ვანდევრი (VI) — ლევალუა (IV); მონსორო (VI) — სენ-ჟორჟი (V); ლე მანი (II) — აიაჩო (II); ტარბი (VI) — მარსელი; კლერმონი (III) — სოშო (II); კალე (V) — სედანი

*მატჩები გაიმართება 2001 წლის 20-21 იანვარს*

# კოლოსკოვს ტორპედო-ზილი დიდი თეატრი ჰგონია?

**ცხოვრება** იცვლება. საქართველოში არა, მაგრამ სხვაგან ნამდვილად იცვლება. ყოველ ახალ დღეს ახალი მოთხოვნები მოაქვს და ადამიანებიც მუდმივად სიახლის ძიებაში არიან, ცდილობენ მაჯისცემას არ ჩამორჩნენ. თუმცა, ვინ როგორ, სხვა საქმეა. ფულის შოვნასაც ყველა თავისებურად ცდილობს.

აი, მაგალითად — ფიფამ გადაწყვიტა ფასიანი ქაღალდები გამოუშვას, რომლითაც ფიფასთან და საერთოდ ფეხბურთთან დაკავშირებულ სიმბოლიკისა თუ ატრიბუტიკის კომერციულ უფლებებს გაიპიროვნებს. ამბობენ, ეს ქაღალდები გაისად ზაფხულში ამოქმედდებაო. ამგვარად, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატამდე წლით ადრე ფიფა ჩემპიონატებს შორის დახარჯულის ანაზღაურებას ეცდება.

და კიდევ. ეს სიახლე არანაირ კავშირში არაა სატელევიზიო უფლებებსა და რეკლამებთან. ფეხბურთის მმართველები აქედან ცალკე და არც თუ მცირე შემოსავალს ელიან.

იაპონელებმა და კორეელებმა დაადგინეს, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბილეთი საშუალოდ 150 დოლარი ეღირება, რაც ოთხი წლის წინანდელზე სამჯერ — საფრანგეთში ბილეთებს საშუალოდ 50-56 დოლარად ჰყიდდნენ.

ყველაზე იაფ ბილეთს გულშემატკივარი 60 დოლარად შეიძენს, ცენტრალურ ტრიბუნაზე მეოთხედფინალის ცქერა 300 დოლარი დაჯდება, ნახევარფინალისა — 495, ხოლო ფინალის — 750.

ახლა კი ვნახოთ, როგორ აპირებენ რუსები ქვეყნის ჩემპიონატის სატელევიზიო უფლებათა გაყიდვის პრობლემის მოგვარებას და კლუბების სალაროების შევსებას. ამას წინებზე საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი საზოგადოების წინაშე ახალი იდეით წარსდგა: კლუბებს ფული ტელევიზიამ კი არა, სახელმწიფომ გადაუხადოს და ბიუჯეტში სამისოდ რამდენიმე მილიონი უნდა გამოიყოსო. უფრო საინტერესო ისაა, რომ დუმაში ამ საკითხზე საგანგებო მოსმენა გაიმართა და დეპუტატების უმრავლესობამ კოლოსკოვს დაუჭირა მხარი...

ასეთი „რევოლუციური განცხადებები" ქართველებისთვისაც არ არის უცხო. ჩვენი მწვრთნელებისგან არა ერთხელ მსმენია: ხალხი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს აღარ ესწრება, ბიჭებსაც გული აქვთ გატეხილი და უსახური ფეხბურთიც ამის ბრალიაო. იმას კი აღარ კითხულობენ, რატომ აღარ დადის ხალხი სტადიონებზე. ავიწყდებათ, რომ დღეს ფეხბურთი შოუ-ბიზნესი უფროა, ვიდრე სპორტის სახეობა. თუ „ხალხს ასიამოვნებ", სტადიონიც გაივსება და ფულსაც იშოვი, მაგრამ თუ შენი „ზეიმი" არავის სჭირდება, გახვრეტილ თეთრსაც არავინ გადმოგიგდებს. კოლოსკოვის განცხადება კი დაახლოებით იგივეა, ვთქვათ, რომელიმე ცნობილი მომღერლის პროდიუსერი რომ დუმაში მივიდეს და ამ მომღერლის ბიუჯეტის დაფინანსება მოითხოვოს, კონცერტებზე ხალხი აღარ დადის და ფული შემოგვაკლდაო. თანაც სათავისო არგუმენტად თქვას: ეს მომღერალი ხალხს სიხარულს ჩუქნის და მძიმე ყოფას დროებით მაინც ავიწყებს, ამიტომ ფული მოგვეცითო. ცხადია, ასეთ პროდიუსერს ყურს არავინ ათხოვებს.

შესაძლოა, კოლოსკოვს იმის იმედი აქვს, რომ დასავლეთში ელიტარული კულტურა დოტაციებისა და სპონსორების ხარჯზე არსებობს, მაგრამ ჩვენი რუსი კოლეგების თქმით, მას ავიწყდება, რომ უსახური რუსული ფეხბურთი და ელიტარული კულტურა აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია. ეს იგივეა, „ტორპედო-ზილი" რომ დიდ თეატრს შევადაროთ. თურმე, ამას წინებზე დედაქალაქური ცსკა-ს ერთ ხელმძღვანელს უთქვამს, ფეხბურთი და ჰოკეი „კულტურის" არხზეც ვაჩვენოთ — სპორტიც, მართალია ფიზიკური, მაგრამ კულტურააო...

ამათ რუსული მედია შემდეგ ექსპერიმენტს სთავაზობს — ვაჩვენოთ რუსული ფეხბურთი „კულტურის არხზე", ოღონდ ოპერისა და ბალეტის დარად რეპორტაჟი უკომენტაროდ გადმოვცეთ და მიკროფონები მინდვრის კიდეებზე და მწვრთნელების სიახლოვეს დავამონტაჟოთ, მაშინ ნახეთ, რა საერთო აქვთ „ტორპედო ზილსა" და დიდ თეატრს: იქიდან ისეთ „ტკბილსიტყვაობას" მოვისმენთ, თავი მართლაც სამოთხეში გვეგონებაო.

ასეა. ცხოვრება მართლაც იცვლება. თუმცა, ვისთვის როგორ. საქართველოზე არაფერს ვამბობთ, მაგრამ ნუთუ რუსეთშიც ჰგონიათ, რომ ფეხბურთი სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს?

**სოლომონ გულისაშვილი**



ცარიელი ტრიბუნების ვალს სახელმწიფო, აბა, როგორ გადაიხდის?

# VIPები შალკეს წინააღმდეგ

## ბუნდესლიგის I წრის მიმოხილვა



„შალკე“ რომ შემოდგომის ჩემპიონია, ჰოლანდიელი თავკაცის ჰუბ სტევენსის დიდი დამსახურებაა

### გერმანია

„ბაიერნი“, „ლევერკუზენი“, „დორტმუნდი“, ჰა-ჰა „ჰამბურგიც“, მაგრამ „შალკე“? არა, სეზონის წინ, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, „შემოდგომის ჩემპიონი“ გერმანიაში 1997 წლის უეფას თასის მფლობელი თუ გახდებოდა. არადა, სწორედ ასეა. ბუნდესლიგაში ნახევარზე ერთით მეტი, 18 ტური გაილია, ცხრილის სათავეში კი გელზენკირხენის „შალკეა“, გუნდი, რომლისგანაც წლეულს არც თუ ბევრს ელოდნენ.

„შალკემ“ თავიდანვე დიდებულად დაიწყო, ზედიზედ სამი მატჩი მოიგო და უმალ გალიდერდა. მერე იყო პატარა ჩავარდნა, რასაც, ცხადია, პირველი ადგილის დაკარგვა მოჰყვა, თუმცა ბოლო მატჩებში ჰოლანდიელი ჰუუბ სტევენსის გუნდი ისევ ათამაშდა და...

„ჩვენი ასეთი წარმატების გასაღები ჩვენივე გუნდია, რომელიც ძალიან მეგობრული და ერთიანია. ბიჭები მენდობიან და ჩემს დავალებას უსიტყვოდ ასრულებენ. დანიელი ებე სანდი კი ნამდვილი აღმოჩენაა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი გუნდის შექმნა მოვახერხე“ — ამბობს სტევენსი. დავსძინოთ, რომ სანდი არა მარტო გუნდის ლიდერი, 13 გოლით ბუნდესლიგის ბომბარდირიცაა.

„შალკე“ ლიდერი კია, მაგრამ მდევრებს — „ბაიერნს“ და „დორტმუნდს“ სულ ერთი ქულით უსწრებს. „სხვაობა უფრო მეტი უნდა იყოს. ხუთი ქულა მარტო მსაჯებმა დაგვაკარგინეს“ — ჩივის მწვრთნელი.

გახდება „შალკე“ ჩემპიონი, ეყოფა ეს მინიმალური სხვაობა მეორე წრეში?

ამ კითხვაზე ყველაზე ნათელი პასუხი გუნდის მენეჯერმა რუდი ასაუერმა გასცა: „ჩემპიონები, ალბათ, ვერ გავხდებით, რადგან „შალკეს“ ცხრილის სათავეში ყოფნა ბევრ გავლენიან პიროვნებას არ სურს, თუმცა ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ“. ასაუერს კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, თუმცა რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ მთავარი ეჭვმიტანილი „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერია.

„შალკე“ „შალკედ“, მაგრამ წლევანდელი ბუნდესლიგის მთავარი ამბავი მაინც „ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელის კრისტოფ დაუმის გუნდიდან სენსაციური წასვლა გახლდათ. დაუმს რომ კოკაინის მოხმარება დაუმტკიცდა, „ლევერკუზენს“ იმ დროს შინაურ და ევროპულ ასპარეზზე ცუდად ჰქონდა საქმე. მერე გუნდში რუდი ფიოლერი, გერმანიის ნაკრების დროებითი (მაშინ) თავკაცი მივიდა და... ლევერკუზენელებმა წაგება დაივიწყეს. ფიოლერი გუნდს შვიდ შეხვედრაში გაუძღვა — „ლევერკუზენს“ ერთიც არ წაუგია: უეფას თასის საგზური მოიპოვა და ბუნდესლიგაშიც ლიდერთა მარაქაში გაერია. მერე „მეფე რუდი“ წავიდა და ფოგტსის ხანა დაიწყო. ბუნდესნაკრების ექსთავკაცის დებიუტი ბრწყინვალე იყო — „ჰამბურგთან“ სტუმრად 3:1 გამარჯვებამ „ლევერკუზენი“ გაალიდერა. მაგრამ... 5 მარცხი 9 მატჩში, ბურთების შეფარდება 19:19-თან (ფიოლერს 7:1-თან ჰქონდა) — ასეთია ბერტი ფოგტსის მონაგარი. მიუხედავად ამისა, კლუბი მეოთხე ადგილზეა და „შალკეს“ სულ სამი ქულით ჩამორჩება, თუმცა უეფას თასს ბერძნულმა აეკ-მა გამოთიშა.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ გუნდს 1 იანვარს ჩავიბარებდი. მოსამზადებელ ეტაპს ერთად გავივლიდით და ბიჭებსაც უკეთესად შევეწყობოდი. მე მთავარი მწვრთნელი მაშინ გავხდი, როცა მოთამაშეები გადამწვარნი იყვნენ და ბევრს ვერაფერს მოვთხოვდი“ — თავს იმართლებს ფოგტსი.

აი, გუნდის ვეტერან თავდამსხმელ ულფ კირსტენს კი სხვაგვარად სწამს. „ჩვენ დემორალიზებულები ვიყავით: ჯერ იყო და, შარშან „უნტერჰახინგთან“ ბოლო ტურში დავკარგეთ ჩემპიონობა, ამას კი დაუმის ამბავი მოჰყვა. მოკლე ხანში სამი მწვრთნელი გამოვიცვალეთ — ამდენს ვერც ერთი გუნდი ვერ გადაიტანდა. ამიტომაც ჩვენი ბოლოდროინდელი მარცხები ლოგიკურია“ — ფიქრობს კირსტენი.

ლევერკუზენში იანვრიდან ყველაფრის თავიდან დაწყებას აპირებენ. „ბაიერმა“ უკვე შეიძინა სამი ახალი ფეხბურთელი — ლუსიო, პლასენტე და ბერბატოვი. 1 იანვრიდან დაეხმარებიან ფოგტსს პიერ ლიტბარსკი და ტონი შუმახერი. ჰოდა, აეწყობა საქმე.

საოცარია — მიუნხენის „ბაიერნმა“ პირველი წრე აშკარად ჩააგდო, მაგრამ მაინც მეორე ადგილზეა. ბავარიელებს 13 ტურის შემდეგ ხუთი წაგება ჰქონდათ, არადა, ამდენი მარცხი მიუნხენელებს მთელ სეზონში არ უგროვდებოდათ. „გუნდი ლაზარეთს ჰგავდა, ლამის ყველა ფეხბურთელი ტრავმირებული იყო. გამოჯანმრთელდნენ და „ბაიერნიც“ ათამაშდა. ახლა მოსამზადებელ ეტაპს გავივლით და იანვრიდან ძველ „ბაიერნს“ იხილავთ“ — ჰპირდება ქომაგებს მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

„სეზონი რომ განახლდება, ძალაუფლებას ისევ დავიბრუნებთ. ჩემპიონები ჩვენ გავხდებით“ — სწამს კაპიტან შტეფან ეფენბერგს. აღდგომა და ხვალეო...

პირველ წრეს ოტო რეჰაგელიც შეეწირა. რამდენიმე წარუმატებელი მატჩის შემდეგ „კაიზერსლაუტერნში“ „მეფე ოტო“ ჩამოაგდეს და ანდრეას ბრემე გაამეფეს. „რევოლუციამ“ გაამართლა. „ლაუტერნს“ ბრემემ კარგად უწამლა და გუნდმაც ხუთეულში შეაღწია, თანაც უეფას თასის მერვედფინალშიც გაიკვალა გზა. ასე რომ, ბრემეს მისამართით კლუბის ხელმძღვანელებს მხოლოდ მადლობა თუ ეთქმით.

„ასეთ შედეგს არ მოველოდი“ — ამბობს დღეს მათიას ზამერი, „დორტმუნდის“ ახალგამომცხვარი თავკაცი, რომლისთვისაც ეს სეზონი სამწვრთნელო კარიერაში პირველია. „დორტმუნდი“ მისი ხელმძღვანელობით მესამე ადგილზეა და 33 ქულა მოაგროვა. ნუ გაგიკვირდებათ და შარშან ამდენივე ქულის მოსაპოვებლად 31 (!) ტური დასჭირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დორტმუნდელებმა 18 ქულა სტუმრად აიღეს, რაც წლეულს ლიგის საუკეთესო შედეგია. ზამერი და კომპანია ქომაგებს კიდევ ბევრ სიურპრიზს ჰპირდება.

ცოტა ხნის წინ ბუნდესლიგას ბერლინის „ჰერტა“ ლიდერობდა, თუმცა ბოლო ოთხ ტურში შეძენილმა ერთადერთმა ქულამ ბერლინელები მეექვსე ადგილზე გადააგდო. აშკარაა, გუნდი ვერ გამოიყურება შარშანდელივით, რაც გარკვეულწილად იმის ბრალია, რომ მთავარი დამრტყმელი ძალა მიხაელ პრეეცი ამოვარდა ფორმიდან. 9 გოლი 18 მატჩში — შარშანდელთან შედარებით ძალიან ცოტაა. ბერლინელებიც გახსნილი სატრანსფერო სეზონის გამოყენებას და რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატებას აპირებენ.

„ჰამბურგმა“ კი სრული ფიასკო განიცადა. გუნდი, რომელმაც გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზური მიოპოვა, ახალ საუკუნეს მე-11 ადგილზე ხვდება. მთავარ მწვრთნელ ფრანკ პაგელსდორფს პრობლემები მოსძალებია: მთავარ მეგოლე განელ ენტონი იებოას სასამართლოში აქვს საქმე და გადასახადების დამალვის გამო ორი წლით ციხეში ჩაყუდება ემუქრება; სადღაც გაქრა ჰანს-იორგ ბუტის მსოფლიოს საუკეთესო მეკარეობაზე შექმნილი მითიც. ფაქტია, რომ ბუტმა, ვინც პენალტების უნაკლო შესრულებითაა განთქმული და შარშან ლამის ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირობას გამოჰკრა ხელი, მიმდინარე სეზონში ჩატარებული ლამის ყველა მატჩი ჩააგდო: რაც დაურტყეს, თითქმის ყველაფერი გაუტანეს. „ჰამბურგსაც“, „ჰერტასთან“ და „ბოხუმთან“ ერთად, ყველაზე მეტი გოლი აქვს გაშვებული.

ბოლოს კი ქართველთა გუნდებზეც ვთქვათ.

„ფრაიბურგმა“ სეზონი წაუგებელი სერიით დაიწყო, მოუგებლით გააგრძელა და ბოლოს ისევ წაუგებლით დაასრულა. 6 მოგება, 6 ფრე, 6 წაგება და მეცხრე ადგილი ფრაიბურგელთათვის არც თუ ურიგო შედეგია.

ალექსანდრე იაშვილმა 15 მატჩი ითამაშა და სამი გოლი გაიტანა, ერთხელ კი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა, რაც არც თუ კარგი მაჩვენებელია. მან მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა უმაღლეს დონეზე, თუმცა ერთიცაა — თამაშების უმრავლესობაში იაშვილის ეპიზოდურმა გაბრწყინებამ „ფრაიბურგს“ არაერთი ქულა მოუტანა.

ლევან კობიაშვილმა ტრავმის გამო ბოლო ორი მატჩი გამოტოვა, დანარჩენი შეხვედრები კი თითქმის უცვლელად ჩაატარა. უმრავლეს თამაშებში მცველის მოვალეობას ასრულებდა და წინ საერთოდ არ იყურებოდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლევანმა სულ ორი გოლი გაიტანა და ორივე პენალტით. ისე, ერთი თერთმეტმეტრიანიც გააცუდა.

ცქიტიშვილმა 14 მატჩი ჩაატარა. კობიაშვილის მსგავსად, ისიც დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული.

ამ ქართულ სამეულს იანვრიდან გიორგი კიკნაძეც დაემატება, რომელიც იმედია, გუნდს კარგად მოერგება.

არჩილ არველაძეს კი რამდენიმე შეხვედრის გამოტოვება ტრავმის გამო მოუხდა. შემდეგ ძირითადში ადგილის დაბრუნება გაუჭირდა, რადგან სანამ იგი დაშავებული იყო, „კიოლნის“ სხვა თავდამსხმელები ათამაშდნენ და გუნდსაც მერვე ადგილი გაუნაღდეს, რაც დებიუტანტის კვალობაზე ნამდვილად კარგი შედეგია. სეზონის განახლებას კიოლნელები უფრო გაძლიერებულნი შეხვდებიან. ამ დღეებში გუნდმა კონტრაქტი გააფორმა ამერიკულ ფირმა IMG-თან, რომელიც კლუბში 120 მილიონი მარკის ინვესტირებას აპირებს. ამ ფირმას ხელშეკრულებები მსოფლიოს საუკეთესო მეგოლფე ტაიგერ ვუდსთან, ჰოკეის ცოცხალ ლეგენდა უეინ გრეცკისთან და სუპერმოდელ ჰაიდი კლუმანთანაც ჰქონია.

„ეს ფული გუნდის გაძლიერებას მოხმარდება, ახალ სტადიონსაც ავაშენებთ“ — აღნიშნავს კლუბის პრეზიდენტი ალბერტ კასპერი. ასე რომ „კიოლნს“ ამბიციებიც გაეზრდება, თანაც ამას ისიც დაუმატეთ, რომ გუნდის მთავარმა იმედმა, 21 წლის კრისტიან ტიმმა „ბაიერნს“ მიწვევაზე უარი უთხრა და „კიოლნთან“ ახალი კონტრაქტი დადო.

**ვანო ოქროპირიძე**

# ფულები, თორემ ქულები...

**პრემიერლიგის** ცხრილის ბოლოსწინა ადგილზე მყოფ ისედაც გაჭირვებულ „მიდლსბროს“ ქულების ჩამოკლებით ემუქრებიან, თუ გუნდი ყოფილ ფორვარდ მარკო ბრანკას კუთვნილი 500 ათას გირვანქას იანვრამდე არ გადაუხდის. ტისსაიდურმა კლუბმა ფეხბურთელთან კონტრაქტი ნაადრევად შეწყვიტა, რადგან დაასკვნა, რომ მუხლის სერიოზული ტრავმის გამო იტალიელი უმაღლეს დონეზე ვეღარ ითამაშებდა. მაგრამ ბრანკა როგორღაც გამოჯანმრთელდა, სამშობლოში დაბრუნდა და ახლა სერია B-ს კლუბ „მონცაში“ თამაშობს.

საქმეში ფიფაა ჩარეული. ახლახან ბრანკამ მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანოსგან ოფიციალური წერილი მიიღო, სადაც დაფიქსირებულია, რომ კლუბს მისი ფული მართებს და „მიდლსბრო“ ვალდებულია, ყველა ანგარიში 2001 წლის 9 იანვრამდე გაასწოროს. 35 წლის ფეხბურთელმა პრესას განუცხადა: „თუ აღნიშნულ ვადამდე „მიდლსბრო“ თანხას არ გადაიხდის, მის წინააღმდეგ პროცესი აღიძვრება. ფიფას გადაწყვეტილებით, თავიდან კლუბი ვალდებული იყო 16-თვიანი კონტრაქტის ღირებულება აენაზღაურებინა, მაგრამ „მიდლსბრომ“ ფიფაში აპელაცია შეიტანა. იქ დაასკვნეს, რომ კლუბი დამნაშავეა, თუმცა თანხა 6-თვიანი კონტრაქტის ღირებულებამდე შეამცირეს. მე დავთანხმდი, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანია, პროცესი მოვიგო და სიმართლე დავამტკიცო.“

საინტერესოა, რომ ბრანკას თავისი ფული (10 ათასი გირვანქა) გადაუხდია, რათა ემკურნალა და კარიერა ნაადრევად არ დაესრულებინა, როგორც ეს „მიდლსბროში“ იწინასწარმეტყველეს. ახლა კლუბს ფიფას მუქარაზე არაფერი განუცხადებია. იხსენებენ სამი წლის წინ მომხდარ ამბავსაც, როცა „მიდლსბროს“ სამი ქულა ჩამოაკლეს და მაშინ გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა. მიზეზი ეს გახლდათ: „მიდლსბროს“ ფეხბურთელთა უმრავლესობა ავად გახდა, რის გამოც კლუბმა „ბლექბერნ როვერსთან“ მორიგი ტურის მატჩის გადადება ითხოვა. ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვეტილების მიღება რომ შეაგვიანა, „მიდლსბრო“ მეტოქესთან სათამაშოდ არ გამოცხადდა. ამიტომაც დაისაჯა. მაშინ ეს პრემიერლიგიდან გავარდნად დაუჯდა. წლეულსაც ასე აქვს საქმე, ამიტომ ევებ ნახევარი მილიონის გადახდა ურჩობდეს.

**ნიკა ჟუგლაძე**

### ინგლისი

#### ასოციაციის თასი
#### ოცდამეთორმეტედფინალის წილისყრა

ნიუკასლ იუნაიტედი — ასტონ ვილა; ბლექბერნ როვერსი — ჩესტერი; მორეკემბი — იფსვიჩ თაუნი; ლიდს იუნაიტედი — ბარნსლი; დერბი ქაუნთი — ვესტ ბრომვიჩ ალბიონი; უოტფორდი — ევერტონი; კარლაილი — არსენალი; უოლსოლი — ვესტ ჰემ იუნაიტედი; სუინდონი — ქოვენთრი სიტი; ბოლტონ უონდერერზი — იოვილი; საუთენდი — კინგსტონიანი; ჰადერსფილდი — ბრისტოლ სიტი; ლესტერ სიტი — იორკი; ჩარლტონ ატლეტიკი — დაგენჰემ რედბრიჯი; ბორნმუთი — ჯილინგემი; ჩელსი — პიტერბორო; უიმბლდონი — ნოთს ქაუნთი; ლეიტონ ორიენტი — ტოტენჰემ ჰოტსპური; ბარნლი — სკანთორპი; პრესტონი — სტოკპორტი; მანჩესტერ სიტი — ბირმინგემ სიტი; პორტსმუთი — ტრანმერი; ბრედფორდ სიტი — მიდლსბრო; სანდერლენდი — კრისტალ პალასი; კარდიფ სიტი — ქრიუ; საუთჰემპტონი — შეფილდ იუნაიტედი; ფულემი — მანჩესტერ იუნაიტედი; ლივერპული — როტერჰემი; უიკომბი — გრიმსბი; ნოტინგემ ფორესტი — ვულვერჰემპტონ უონდერერზი; ლუტონი — ქუინზ პარკ რეინჯერსი; შეფილდ უენსდი — ნორვიჩ სიტი

მატჩები გაიმართება 2001 წლის 6-7 იანვარს

#### ამხანაგური მატჩი

**არგენტინა 2:0 მექსიკა**

1:0 სოლარი (14), 2:0 გალეტი (82)

არგენტინა: ბურგოსი, პლასენტე, მილიტო (კუფრე 76), კრისა, ვივასი, კამბიასო, კასტრომანი, ორტეგა (გალეტი 78), სიმეონე, დელგადო (რომეო 86), სოლარი

მწვრთნელი: მარსელო ბიელსა

მექსიკა: კამპოსი, პარდო, სუარესი, დავინო, ანტონიო რუისი, ვილა (ოსორნო 46), კოიოტი, პალენსია (არელანო 70), აბუნდისი (სეპედა 46), ბორგეტი, ლუის ერნანდესი

მწვრთნელი: მანუელ ლაპუენტე

### ჰოლანდია

#### გადადებული მატჩები

**პსვ ეინდჰოვენი 1:1 სიტარდი**

1:0 კეჟმანი (45), 1:1 ვან პალსტი (90)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ნიკოფოროვ[illegible], დირქსი (კლაუდიო 33), ჰოფლანდი, ვან ბომე[illegible]ლი, ვოგელი, რომედალი (ლუსიუსი 75), კო[illegible]ლკა (რამზი 65), დე იონგი, კეჟმანი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

31 000 მაყურებელი

**გრონინგენი 2:1 ჰერენვენი**

0:1 დე დე ნოიერი (5), 1:1 უგო (34), 2:1 ვან დეიკი (80)

**როზენდალი 2:2 ტვენტე**

1:0 პერტოგი (75), 2:0 კალესი (78), 2:1 ვან დე ბ[illegible]არი (80), 2:2 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (83)

**ფეიენოორდი 2:0 ვიტესი**

1:0 კალუ (72), 2:0 ბოსველტი (78)

**ტილბურგი 2:0 ნაიმეგენი**

1:0 ბომბარდა (38), 2:0 შუკოვი (59)

**უტრეხტი 2:1 ვალვაიკი**

1:0 ცვაანცვიკი (11), 2:0 კუიტი (46), 2:1 პუმანი (7[illegible])

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 17 | 14 | 1 | 2 | 41:16 | [illegible] |
| პსვ ეინდჰოვენი | 17 | 11 | 5 | 1 | 32:12 | [illegible] |
| ვიტესი | 18 | 11 | 4 | 3 | 36:25 | [illegible] |
| აიაქსი | 18 | 10 | 3 | 5 | 45:24 | [illegible] |
| როდა | 18 | 9 | 3 | 6 | 35:25 | [illegible] |
| ტილბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:22 | [illegible] |
| ნაიმეგენი | 18 | 6 | 9 | 3 | 24:19 | [illegible] |
| უტრეხტი | 18 | 8 | 3 | 7 | 34:30 | [illegible] |
| ვალვაიკი | 18 | 7 | 6 | 5 | 19:16 | [illegible] |
| ბრედა | 17 | 7 | 3 | 7 | 24:28 | [illegible] |
| ალკმარი | 18 | 6 | 5 | 7 | 28:32 | [illegible] |
| გრონინგენი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:29 | [illegible] |
| ტვენტე | 18 | 5 | 6 | 7 | 28:33 | [illegible] |
| ჰერენვენი | 18 | 4 | 7 | 7 | 20:28 | [illegible] |
| გრააფსხაპი | 18 | 4 | 1 | 13 | 24:38 | [illegible] |
| სპარტა | 18 | 3 | 4 | 11 | 23:37 | [illegible] |
| როზენდალი | 17 | 3 | 1 | 13 | 23:45 | [illegible] |
| სიტარდი | 18 | 1 | 5 | 12 | 13:42 | [illegible] |

### ესპანეთი

#### მეორე დივიზიონი
#### XVIII ტური

**ლეგანესი 1:2 ატლეტიკო**

1:0 მაკანასი (29), 1:1 პიპიჩი (36), 1:2 სალვა (6[illegible])

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტენერიფე | 18 | 10 | 4 | 4 | 28:14 | [illegible] |
| სევილია | 18 | 10 | 4 | 4 | 27:17 | [illegible] |
| ბეტისი | 18 | 9 | 5 | 4 | 17:1[illegible] | 32 |
| უელვა | 18 | 7 | 10 | 1 | 14:6 | 31 |
| სალამანკა | 18 | 8 | 5 | 5 | 21:17 | 29 |
| ლევანტე | 18 | 6 | 9 | 3 | 24:19 | 27 |
| ალბასეტე | 17 | 7 | 6 | 4 | 17:14 | 27 |
| ესტრემადურა | 18 | 7 | 5 | 6 | 19:17 | [illegible] |
| სპორტინგი | 18 | 6 | 7 | 5 | 26:19 | [illegible] |
| ბადახოსი | 18 | 5 | 10 | 3 | 16:15 | [illegible] |
| კორდობა | 18 | 7 | 4 | 7 | 15:18 | [illegible] |
| მურსია | 18 | 6 | 6 | 6 | 26:23 | [illegible] |
| ატლეტიკო | 18 | 6 | 6 | 6 | 22:21 | [illegible] |
| ხაენი | 18 | 7 | 3 | 8 | 13:18 | [illegible] |
| ეიბარი | 18 | 5 | 8 | 5 | 14:14 | [illegible] |
| ლეგანესი | 18 | 4 | 9 | 5 | 21:19 | [illegible] |
| ელჩე | 18 | 5 | 5 | 8 | 21:27 | [illegible] |
| ხეტაფე | 18 | 4 | 6 | 8 | 17:25 | [illegible] |
| კომპოსტელა | 18 | 5 | 3 | 10 | 17:31 | [illegible] |
| ლეიდა | 18 | 3 | 5 | 10 | 20:28 | [illegible] |
| ფეროლი | 17 | 3 | 5 | 9 | 17:25 | [illegible] |
| უნივერსიდადი | 18 | 1 | 7 | 10 | 13:27 | [illegible] |

#### თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა

ხიმნასტიკა ტორელავეგა (III) — ლას პალ[illegible] ბეასანი (III) — სარაგოსა; ტოლედო (II) — [illegible] იო ვალეკანო; სან სებასტიან დე ლოს რეიე[illegible] (III) — ბილბაო; კომპოსტელა (II) — სელ[illegible] ატლეტიკო (II) — ოსასუნა; ესტრემადურა [illegible] — ვალიადოლიდი; ტენერიფე (II) — დეპ[illegible] ტივო; ბადახოსი (II) — რასინგი; ლეგანესი [illegible] — ნუმანსია; ხერესი (III) — მალიორკა; [illegible] (III) — ბარსელონა; გრანადა (III) — ვილია[illegible] ლი; გუადიქსი (III) — ვალენსია; ლევანტე (II) [illegible] ესპანიოლი; ხაენი (II) — მურსია (II)

### პორტუგალია

#### თასის V ეტაპი

**ალვერკა 1:1 ფეირერა**

**ლუზიტანუ (II) 0:0 ბენფიკა**

მატჩი მე-9 წუთზე უამინდობის გამო შეწ[illegible] და გაიმართება 2001 წლის 3 იანვარს

**მარიტიმუ 1:0 დ.დ. (0:0) ლეირი[illegible]**

**გოავიშტა 3:0 ავეში**

ლეჯა — ფარენსე დღეს გაიმართება.

სპორტინგი — ლეიოეში (II); ფამალიკაუ (II) — [illegible] ბელენენსეში; ჟილ ვისენტე — ოლივარე[illegible] (II); პენაფიელი (II) — ინფექტა (II); ბრაგანს[illegible] — ვარჟიმი (II); ფაირენსე (II) — მორეირე[illegible] (II); ფელგუერაში (II) — პორტუ

გაიმართება 30 დეკემბერს




ლორან რობერს (მარცხნივ) ამ სეზონში ხშირად ულოცავენ

# პიეროს ვარსკვლავბიჭუნა

**საფრანგეთის** ჩემპიონატში ზამთრის არდადეგები გამოცხადდა და გუნდები შობა-ახალწელიწადს დაისვენებენ. ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ბევრისთვის მოულოდნელად პარიზელი ლორან რობერი ლიდერობს 12 გატანილი გოლით. მას უკან არიან ანელკა, სონი ანდერსონი, სიმონე და სხვები, რომლებიც განთქმულნი არიან თავიანთი გოლეადორული თვისებებით. რა არის ეს? შემთხვევითობა თუ კანონზომიერება? საფრანგეთში ბევრი თვლის, რომ ახალი ვარსკვლავი იბადება, რომელიც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ გუნდში მალე მყარად დაიმკვიდრებს ადგილს. რამდენად სწორია ეს ვარაუდი, დრო გვიჩვენებს, მანამდე კი რობერს უფრო ახლოს გაგაცნობთ ინტერვიუ, რომელიც მან „ონზ მონდიალს" მისცა:

**— როგორ გრძნობთ თავს ბომბარდირთა სათავეში?**

— ყოველწლიურად გოლების პირადი რეკორდის დამყარებას ვცდილობ. მაგალითად, „მონპელიეში" ჩატარებულ ბოლო სეზონში 13 გოლი გავახერხე, ახლა კი გაცილებით უკეთ დავიწყე და უკვე 12 გავიტანე. არადა, სეზონის წინ ოდენ 15 გოლი დავისახე მიზნად. ახლა მის მისაღწევად კიდევ საკმაო დრო მაქვს. საუკეთესო ბომბარდირობას კი არ ვფიქრობდი, ამას უფრო შემთხვევითობას მივაწერ.

**— შენ ცაცია ხარ. ეს განსაკუთრებული თვისებაა?**

— წლების წინ საფრანგეთის ჩემპიონატში ცაციები ბევრნი იყვნენ, ახლა კი ცოტანი დავრჩით. ამიტომ ცაციობა ჩემთვის პლუსია, თუმცა მთავარი არა. განსაკუთრებით ძლიერი ჯარიმების შესრულებისას ვარ და ბევრი გოლიც გამაქვს. პირველ დივიზიონში პირველად სწორედ საჯარიმოდან გავიტანე. ეს ასე მოხდა: 1996 წლის 20 იანვარს „მონპელიე" „მარტიგს" სტუმრობდა. ინიციატივას ჩვენ ვფლობდით, მაგრამ გოლი არ ჩანდა. მე სარბენ ბილიკებზე ვხურდებოდი, როცა მსაჯმა „მარტიგის" კარში ჯარიმა დანიშნა. მთავარ მწვრთნელ მიშელ მეზისთან მივირბინე და ვუთხარი, ახლა შემიშვი და აუცილებლად გავიტან-მეთქი. „მართლა? კარგი" — მითხრა მან. მეც დავარტყი და შევაგდე, მეზის კი სიხარულის ნაცვლად სახეზე უდიდესი გაკვირვება ეწერა.

**— შენი კერპი ვინ არის?**

— დიეგო მარადონა და მამაჩემი. დიეგო ბურთით სასწაულებს სჩადიოდა, პიერო რობერი კი ჩვენთან, კუნძულ რეუნიონზე საუკეთესო იყო და 1978 წელს პსჟ-ც იწვევდა, მაგრამ დედამ არ ისურვა კონტინენტზე საცხოვრებლად გადასვლა, რადგან აქ ძალიან ცივა.

**— შენ რატომღა გადაწყვიტე პარიზში გადმოსვლა?**

— რა ვიცი, კონტინენტს მანამდე მივეჩვიე. ისე, სითბოს სიყვარულმა ჩემს კარიერაზეც დიდად იმოქმედა. თავიდან „ოსერი" ცდილობდა ჩემს გადაბირებას, მაგრამ მას „მონპელიე" ეცილებოდა. ამ „ბრძოლაში" გი რუმ იმარჯვა და ოსერში აღმოვჩნდი, თუმცა იქ მხოლოდ ორიოდე დღე გავძელი — ზამთარი იყო, ყინავდა და იმიტომ. ჰოდა, როცა მამაჩემმა და მონპელიელებმა მომაკითხეს, მყის გავიპარე. გი რუ საშინლად გაბრაზდა, მაგრამ მერე მაინც მაპატია.

**— მსაჯებს ხშირად ეკამათებოდი, ახლა კი შეიცვალე. თანაც უწინდებურად აღარ უხეშობ...**

— დავრწმუნდი, რომ მინდორზე მსაჯია უფროსი და მასთან ჩხუბი არავის არგია. უხეში კი არასოდეს ვყოფილვარ, უბრალოდ, ხშირად ტექნიკურ ვარდნებს ვაკეთებდი, თანაც დღევანდელი ფეხბურთელები თაღლითობენ-ხოლმე და მეც წითელ-ყვითელ ბარათებს ვაგროვებდი. სწორედ ამან მომისპო ევრო 2000-ზე მოხვედრის შანსი. მერე უფრო დაკვირვებული გავხდი და ნაკრებშიც ამიყვანეს. თურქეთის წინააღმდეგ ვითამაშე და, იმედია, კიდევ ბევრჯერ დავიცავ „ლურჯების" ღირსებას.

**გაგი გურული**

# ჰასან სალიჰამიჯიჩი: იყო დრო, საჭმელი არ მქონდა

*„დღეს რომ იგი „ბაიერნის" ვარსკვლავია, მთლიანად მისი დამსახურებაა. ყველაფერს უდიდესი შრომისმოყვარეობით მიაღწია. მისებრ მშრომელი ფეხბურთელი ბევრი არ შეგულება. მას არასდროს დაუზარებია ვარჯიში, არასდროს დაუწუწუნია. იქნებ ისეთი ნიჭიერი არ არის, როგორც სხვები, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მასზე კიდევ ბევრს გაიგონებთ" — ამბობს ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.*

*ეს ფეხბურთელი ჰასან სალიჰამიჯიჩი გახლავთ, ბოსნიის ქალაქ იაბლონიცაში დაბადებულ-გაზრდილი ბიჭი, რომელმაც თვითონ გაიკაფა გზა, თვითონ გაიკეთა კარიერა. რვა წლის წინ, როცა იუგოსლავიაში ომი მძვინვარებდა, 15 წლის უწვერულვაშო ჰასანი ავტობუსში ჩაჯდა და მარტოდმარტო გერმანიის გზას დაადგა. იქ ჩასული „ჰამბურგის" სამოყვარულო გუნდში ჩარიცხეს. ოთხ წელიწადში სალიჰამიჯიჩმა ბუნდესლიგაში პირველი მატჩი ჩაატარა, მას მერე „ჰამბურგის" ძირითადშიც დაიმკვიდრა ადგილი. ოტმარ ჰიცფელდს მისი კარგი თამაში არ გამოჰპარვია და ბოსნიელიც „ბაიერნში" აღმოჩნდა.*

*დღეს იგი ვარსკვლავია. თამაშის დროს მუდამ ალღზნეული, აგრესიული და შემართული — მინდორზე სალიჰამიჯიჩს ძალიან ადვილად იცნობთ. ცოტა ხნის წინ ჟურნალ „ბილდში" მისი ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელიც ფეხბურთს ნაკლებად ეხება.*

**— მიმდინარე სეზონში „ბაიერნის" მიერ გამართულ თითქმის ყველა მატჩში მიიღეთ მონაწილეობა. არ დაიღალეთ?**

— არა, რა დამღლის. პირიქით, ვამაყობ კიდეც, რომ ისეთი გუნდის უცვლელი წევრი ვარ, როგორიც „ბაიერნია". ყოველთვის მზად ვარ, მინდორზე გავიდე და ბოლომდე ვიბრძოლო.

**— როგორ ახერხებთ ამას?**

— ადამიანი ხანდახან, როცა საჭიროა, მხეციც უნდა იყო. დღეს მაღალ დონეზე სათამაშოდ არაადამიანური გამძლეობაა საჭირო. ძალიან ბევრი თუ არ ივარჯიშე, არაფერი გამოგივა. თან ყოველთვის უნდა გქონდეს მოტივაცია — იგი თავად უნდა მოძებნო, იპოვო, თორემ თავისით არ მოვა.

**— თქვენ სად პოულობთ ხოლმე?**

— ეს, ალბათ, ჩემს ბავშვობასთან არის დაკავშირებული. პატარობიდანვე მქონდა მიზნები, რომელთა მიღწევაც მსურდა, მოტივაცია კი სწორედ მიზნიდან გამომდინარეობს. ასე რომ, მისი პოვნა ჩემთვის ძნელი არ არის. თანაც ჩემი წარმომავლობაც ნუ დაგავიწყდებათ.

**— თქვენ ბოსნიიდან მაშინ წამოხვედით, როცა ქვეყანას უჭირდა...**

— ძალიან ცუდი დრო იყო. ბავშვი ვიყავი, 15 წლის. ჩემს სამშობლოში ომი იყო. რა უნდა მექნა, გავრისკე. გერმანიის გზას დავადექი, არადა, ენა საერთოდ არ ვიცოდი. ახლა რომ ვუფიქრდები, ვრწმუნდები, რომ გამიმართლა. სრულიად უცხო სამყაროში მოვხვდი, ქვეყანაში, სადაც მშვიდობა იყო. მართალია, არავის ვიცნობდი და არავინ მიცნობდა, მაგრამ გზის გაკვლევა მაინც მოვახერხე.

**— უკვე 23 წლის ხართ. ალბათ, თქვენი მომავალიც გაქვებათ წარმოდგენილი.**

— არა, მე ყოველდღიურობით ვცხოვრობ. მარტო ერთი ვიცი, რომ მალე მამა გავხდები. მომავალზე კი ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, როგორი იქნება იგი. დილით რომ ვიღვიძებ და ვდგები, მხოლოდ იმ დღეზე ვფიქრობ, უფრო შორს არ ვიყურები.




**— რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში ესთერს, თქვენ მეგობარ გოგონას?**

— უზარმაზარი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს ასეთი წარმატებული კარიერა მაქვს. იგი ყველა პრობლემას მიგვარებს, ცდილობს, მხოლოდ ფეხბურთზე, ჩემს საქმეზე ვიფიქრო.

**— ქორწილს რაღა უდგას წინ?**

— არც არაფერი. ჩვენ უკვე ექვსი წელია, ერთად ვცხოვრობთ. გეკითხებით, რა საჭიროა ქაღალდი და ჩვენი ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმება? თუმცა ოდესღაც ესეც მოხდება. მოვა დრო და დავქორწინდებით.

**— ცოტა ხნის წინ ლიზარაზუ და ტარნატი ტრავმირებულნი იყვნენ. ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, არ მეშინია, მე ხომ გუნდში სალიჰამიჯიჩი მყავსო...**

— ჩემთვის ამპლუა პირობითი ცნებაა. შემიძლია, ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო, ლიბეროდაც კი. თუ საჭირო გახდა, კარშიც ჩავდგები.

**— თქვენი საყვარელი საჭმელი რა არის?**

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ნოყიერ კერძებს ვერიდები. ბევრ ბოსტნეულსა და სალათებს მივირთმევ. ისე, ხანდახან „მაკდონალდსშიც" დავდივარ.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— ხანდახან დისკო-ბარებში ვერთობი, თითო ჭიქასაც სიამოვნებით ვსვამ, თუმცა ეს იშვიათად ხდება. ამ დონეზე რომ ითამაშო და ფორმიდან არ ამოვარდე, რეჟიმის დაცვა აუცილებელია. აი, შვებულებების დროს კი თავს მეტ თავისუფლებას ვაძლევ.

**— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ფული?**

— უბრალოდ, მახარებს და მაბედნიერებს ის, რომ საშუალება მაქვს, ოჯახს დავეხმარო. მაგალითად, ომის დროს იყო შემთხვევები, საჭმელიც კი არ გვქონდა. დღეს ჩემი ოჯახის წევრებს ყოფითი პრობლემები აღარ აწუხებთ. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ჩემი და სწავლობს. თითქოს ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ჩემთვის ეს საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია.

## ფეხბურთის რუპორი



**ესპანელი** მცველი სერხი ბარხუანი „ბარსელონა" — „ალავესის" შეხვედრის დროს თანაგუნდელ მარკ ოვერმარსს შეეჯახა და თავი იტკინა. მან ერთი ღამე გამოსაკვლევად საავადმყოფოში გაატარა, მეორე დღეს კი გაწერეს. „საბედნიეროდ, სერიოზული არაფერი აღმოაჩნდა, თუმც ჰოსპიტალში დაწოლა აუცილებელი იყო, რათა პროფესიონალ სპეციალისტებს გაესინჯათ" — განაცხადა „ბარსელონას" ექიმმა ხოსეპ ბორელიმ.

**ინგლისური** კლუბების — „ნიუკასლ იუნაიტედისა" და „მიდლსბროს" ყურადღება „პარი სენ ჟერმენის" მცველმა ჟიმი ალჟერინომ მიიპყრო. 29 წლის ფეხბურთელი გუნდში მწვრთნელად ლუის ფერნანდესის დანიშვნის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და „პარკ დე პრენსის" დატოვებას აპირებს. ისიც ცნობილია, რომ „ნიუკასლიდან" წასვლა დიდიე დომიმაც განიზრახა. ამბობენ, რომ იგი სწორედ „პარი სენ ჟერმენში" გადავა, ამიტომ არ არის გამორიცხული, კლუბებმა ორი ფრანგი ფეხბურთელი ერთმანეთში გაცვალონ.

**გერმანულმა** „კიოლნმა" მიუნხენის „ბაიერნიდან" ზამბიის ნაკრების მოთამაშე ენდრიუ სინკალა გადაიბირა და მასთან ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმც შეთანხმების გახანგრძლივება 2004 წლამდეა შესაძლებელი. 21 წლის ნახევარმცველი გერმანიის ჩემპიონებმა შარშან „ნჩანგა რეინჯერსიდან" შეიძინეს, მაგრამ მიუნხენელთა რიგებში მას თითქმის არც უთამაშია. სინკალა ზამბიის ეროვნულ გუნდში 15-ჯერ მიიწვიეს.

**შოტლანდიის** ფეხბურთის ასოციაციამ მეორე დივიზიონის გუნდი „არბროთი" 7,5 ათასი გირვანქით დააჯარიმა და თან დაადგინა, რომ ქვეყნის თასის პირველი ეტაპის შეხვედრა ხსენებულ გუნდსა და მესამედივიზიონურ „მონთროუზს" შორის უნდა გადათამაშდეს. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ 9 დეკემბერს, როცა „არბროთმა" „მონთროუზს" 1:0 მოუგო, განაცხადში ორი დისკვალიფიცირებული მოთამაშე — სტეფან მალანი და ჯონ მაკული შეიყვანა. მატჩი 6 იანვარს ხელახლა გაიმართება, მაგრამ უკვე დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელთა გარეშე.

**იტალიურმა** „ინტერმა" „უდინეზედან" დანიელი მარტინ იორგენსენის შეძენის სურვილი გამოთქვა. 25 წლის დანიელი უდინურ გუნდში სამი წელიწადია თამაშობს, იტალიაში კი „ორჰუსიდან" გადავიდა. „იორგენსენი კარგი ფეხბურთელია და მისით მართლაც დავინტერესდით. ტრანსფერის საკითხი იანვრის პირველი რიცხვებისთვის გადაწყდება" — განაცხადა „ინტერის" პრეს-ატაშემ. „ინტერის" მიწვევამ გამახარა, თუმც ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. სატრანსფერო ბაზრის გახსნამდე უნდა დავიცადო" — თქვა ფეხბურთელმა.

**ეგვიპტური** „ალ აჰლი" აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის საუკუნის კლუბად დაასახელა. კაიროს კლუბი აფრიკულ თასებზე 1965 წლიდან თამაშობს, მოუგია აფრიკის ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და კონფედერაციის თასები. გამოკითხვაში „ალ აჰლის" ოდნავ ჩამორჩა ასევე ეგვიპტური „ზამალეკი", რომელმაც დეკემბერში თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. კონტინენტის ამჟამინდელი ჩემპიონი, განური „ჰართს ოფ ოუქი" კი მეექვსე ადგილზე გავიდა.

**ფრანგმა** მიკაელ მადარმა ექვსთვიანი შესვენების შემდეგ „პარი სენ ჟერმენში" ვარჯიში რომ დაიწყო, ამას წინათ გაუწყეთ. ფეხბურთელი უკლუბოდ იყო და პარიზულ გუნდთან ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობდა. ახლახან კი მსურველიც გამოუჩნდა — „სტრასბური". „მადარის გადმობირება გვსურს. ის გამოცდილი ფორვარდია და ვეცდებით, ხელში რაც შეიძლება მალე ჩავიგდოთ" — აცხადებენ სტრასბურელები.

**არგენტინულ** „ბოკა ხუნიორსში" ესპანური „ვალენსიადან" განათხოვრებული დანიელ ფაგიანი მადრიდის „ატლეტიკოს" მხედველობის არეში მოექცა. ტრანსფერის თაობაზე ესპანური კლუბები მალე დაიწყებენ მოლაპარაკებას. ბუენოსაირესელთა მწვრთნელმა კარლოს ბიანკიმ განაცხადა, რომ თუ ფეხბურთელი ევროპაში გადასვლას მოისურვებს, იგი ვერაფერს გახდება, თუმც დასძინა, თუ ფაგიანი დარჩება, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვსო. ისიც ვთქვათ, რომ „ბოკა ხუნიორსის" თავდამსხმელის გილერმო ბაროს შელოტოს შეძენის სურვილი „რეალ სოსიედადმა" გამოთქვა.

**ფრანგული** „რენის" ფორვარდის სედრიკ ბარდონის გადაბირება ინგლისურ „საუთჰემპტონს" სურს. 24 წლის ფეხბურთელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და კლუბიდან წასვლას აპირებს. მისით პრემიერლიგის სხვა კლუბებიც — „მანჩესტერ სიტი" და „სანდერლენდი" დაინტერესდნენ. იუწყებიან, რომ „საუთჰემპტონი" საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრის სანაცვლოდ მილიონ გირვანქას იხდის.

**მოლდოვაში** წლის საუკეთესო მოთამაშედ ჰაიფას „მაკაბის" თავდამსხმელი სერგეი კლეშჩენკო დაასახელეს. მან წინა სეზონში ისრაელის ჩემპიონატში 21 გოლი გაიტანა და მეორე საუკეთესო ბომბარდირი გახდა. აღსანიშნავია, რომ კლეშჩენკომ მსგავსი აღიარება 1994 წელსაც მოიპოვა. წლევანდელ გამოკითხვაში კიშინიოვის „ზიმბრუს" ნახევარმცველი ბორის ჩებოტარი მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო რუსულ „სატურნში" მოთამაშე ანდრიან სოსნოვსკი მესამე იყო.

**ინგლისური** „ასტონ ვილა" კოლუმბიელი ფორვარდის ხუან პაბლო ანხელის სანაცვლოდ კლუბისთვის სარეკორდო თანხის, 9.5 მილიონი გირვანქის გადახდას დათანხმდა. იუწყებიან, რომ ბირმინგემულმა გუნდმა „რივერ პლეიტთან" შეთანხმებას უკვე მიაღწია, ფეხბურთელმა ახლა სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და ინგლისში მუშაობის უფლება მიიღოს. ვარაუდობენ, რომ იგი ინგლისში შობის დღესასწაულის შემდეგ ჩავა, ხოლო პრემიერლიგაში სადებიუტო მატჩს 30 დეკემბერს „ლესტერის" წინააღმდეგ ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილაში" აქამდე ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე სტენ კოლიმორი იყო — „ვილა პარკზე" იგი 1997 წელს 7 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა.

**შოტლანდიის** ჩემპიონატის ლიდერ გლაზგოს „სელტიკს" „ლიდს იუნაიტედის" ფორვარდის დარენ ჰაკერბის შეძენა სურს. გლაზგოელები ლიდსელებს მის სანაცვლოდ 4 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. ცნობილია, რომ „ელანდ როუდის" ბინადრები ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მოთამაშის გაშვებას ჯერჯერობით არ აპირებენ. არც ისაა გამორიცხული, რომ მათ შეთავაზებული თანხა ეცოტავათ.

**ფრანგული** „ლანსის" მცველ ვალერიან ისმაელით ინგლისური „დერბი ქაუნთი" დაინტერესდა. ფეხბურთელს ბრიტანეთში ადრეც უთამაშია, როცა 1998 წელს „კრისტალ პალასმა" 2,8 მილიონ გირვანქად „სტრასბურიდან" შეიძინა, თუმც ისმაელმა კუნძული მალე დატოვა და „ლანსში" გადავიდა. მას ახლა თურქულ „ბეშიქთაშში", „ტულუზსა" და ყოფილ კლუბ „სტრასბურშიც" ეპატიჟებიან.

# საავტომობილო ისტორიები

## ორი ფეხბურთელი მთაში, ორიც — კედელზე

***ისტორია პირველი: მომეცი ხელფასი, მოგცემ მანქანას.***

თურქული „ერზურუმსფორის“ ორი ირანელი ფეხბურთელი — სოჰრაბ ბახტიარზადეჰი და მოჰამად მომენი ოთხშაბათს კლუბის ბაზიდან გავიდნენ და აღარ დაბრუნებულან. კლუბის მესვეურნი შეწუხდნენ. წარმოდგენა არა გვაქვს, სად შეიძლება იყვნენ, ვშიშობთ, რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვათო — თქვა „ერზურუმის“ პრეზიდენტმა ქემალ პოლათმა. პრეზიდენტს შეშფოთების მეორე მიზეზიც ჰქონდა — ფეხბურთელები კლუბის კუთვნილი მანქანით წავიდნენ ისე, რომ ნებართვა არ აუღიათ, ანუ მანქანა გაიტაცეს.

სააგენტო „ანათოლიანმა“ ივარაუდა, ირანელებს რა ხანია ხელფასი არ აუღიათ და გაქცევის მიზეზიც ალბათ ეს არისო. ამაზე პოლათმა განაცხადა, ხელფასი სხვა ფეხბურთელებსაც ვერ გადავუხადეთ, მაგრამ არსებულ ფინანსურ პრობლემებს ყველა გაგებით შეხვდა, ამიტომ არა მგონია, ამ ორის გაუჩინარების მიზეზი ეს იყოსო.

როგორც ვთქვით, ეს ოთხშაბათს მოხდა, მეორე დღეს კი გაქცეულთა კვალს მიაგნიეს. ამასთანავე, ჩვენი თურქი კოლეგების ვარაუდიც დადასტურდა.

ერზურუმიდან 300 კილომეტრის დაშორებით, დათოვლილ მთებში მდებარე თურქეთ-ირანის საზღვარზე ბახტიარზადეჰმა და მომენიმ თურქ მესაზღვრეებს უთხრეს, ჩვენ სამშობლოში ვბრუნდებით და სანამ კუთვნილ ხელფასს არ მოგვცემენ და მწვრთნელი სტანისლავ კარასის არ მოხსნიან, არ დავბრუნდებითო.

ფეხბურთელთა ამ განცხადების შემდეგ პრეზიდენტი პოლათი მხოლოდ იმასღა ამბობს — კეთილი, წასულიყვნენ, მაგრამ მანქანის გატაცება სადაური წესიაო.

„ერზურუმსფორი“ თურქეთის 18-გუნდა პირველ დივიზიონში მე-16 ადგილზეა და 17 ტურის შემდეგ ოდენ თორმეტი ქულა აქვს.

***ისტორია მეორე: დავლევ, აბა, რას ვიზამ.***

მადრიდის „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფსაც ლიდერობს და დაკარგული ქულების მიხედვით პრიმერადივიზიონშიც პირველია. კლუბს ბლომად ვალები აქვს, თუმცა ფეხბურთელებს ხელფასს არ უგვიანებს და ბევრად მეტსაც უხდის, ვიდრე ზემოთ ნახსენები „ერზრუმსფორი“. „რეალმა“ სამშაბათს „რაიო ვალეკანოც“ დაამარცხა და საშობაო არდადეგებიც დაეწყო.

ჰოდა, ახლა ვიკითხოთ, გასაოცარი არ იქნება, რომელიმე რეალელს მანქანის გატაცება და მიმალვა რომ მოუვიდეს აზრად? ცხადია, საოცარი იქნება და ამას არც აკეთებენ. სამაგიეროდ, ქეიფი და დროსტარება, იცოცხლეთ, ჰყვარებიათ.

აი, ალბერტ სელადესი და ალბერტო რივერა — „რაიოსთან“ მატჩის შემდეგ (რივერას არ უთამაშია) თავი არდადეგებზე დაიგულეს, გვარიანად გამოთვრნენ და იმის გარკვევა დაიწყეს, ვინ უფრო მაგარია.



ალბერტო რივერა



ალბერტ სელადესი

ფეხბურთში რივერა სელადესს ვერ შეედრება. სელადესი „ბარსელონას“ აღზრდილია, იქიდან „სელტაში“ მოხვდა და ახლახან „რეალმა“ გადაიბირა, მინდორზეც ხშირად გადის და ესპანეთის ნაკრებშიც იწვევენ. რივერა კი 14 წლიდან „სამეფო კლუბში“ ვარჯიშობს და მხოლოდ ახლა, 22 წლისა შეიყვანეს საპრიმერადივიზიონო განაცხადში, თუმცა სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება.

მაგრამ ფეხბურთი ხომ ყველაფერი არაა — უამრავ რამეში შეიძლება გაჯიბრება, თუნდაც მანქანის მართვაში. რივერა და სელადესიც ასე მოიქცნენ და ოთხშაბათ გამთენიისას საჭეს მიუსხდნენ.

მერე რაც მოხდა, პოლიციის ოქმში ვკითხულობთ: დილის 5 საათსა და 15 წუთზე მადრიდში ავარია მოხდა. დიდი სიჩქარით მიმავალი ორი მანქანა ერთმანეთს დაეჯახა, ერთმა მიმართულება დაკარგა და კედელს შეასკდა. ორივე მძღოლს — ალბერტო რივერას და ალბერტ სელადესს ორგანიზმში ალკოჰოლის დასაშვებზე ბევრად მეტი დოზა აღმოაჩნდა (აკი ვთქვით, უგონოდ მთვრალები იყვნენო).

ფეხბურთელები პოლიციის უბანში წაიყვანეს, გამოაფხიზლეს და შინ გაუშვეს. მალე მათი საქმე სასამართლოში გაირჩევა. არც ერთი მათგანი ავარიის შედეგად არ დაშავებულა.

კლუბი წუხს, ეს როგორ შეგვარცხვინეს ჩვენმა ფეხბურთლებმა, ამ საქმეს ასე არ დავტოვებთო, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, არდადეგები უკვე დაწყებული იყო და ვინ რას აკეთებს, როგორ გავაკონტროლებდითო.

**გიორგი დარჯანია**



# ჩემი ქმარი უფრო პოშიაო

ქალბატონი ვიქტორია ადამსი წლის ყველაზე გემოვნებიანად ჩაცმულ ვარსკვლავად აღიარეს — ასეთია ჟურნალ Heat-ის მკითხველთა აზრი. „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველის დევიდ ბექემის პოშ-მეუღლე ასეთ აღიარებას პირველად ეღირსა. საინტერესოა, რომ თავად ფეხბურთელი... მესამე ადგილზე გავიდა, თუმცა გამარჯვებულმა თქვა, ჩემთვის რომ გეკითხათ, პირველობა სწორედ ჩემს ქმარს ეკუთვნოდაო. ბექემიანთ ოჯახის გარდა სამეულში მოხვედრა მხოლოდ ტელეწამყვანმა დავინა მაკკოლმა შეძლო. ისე, ფეხბურთთან მეტ-ნაკლები კავშირი ამ ტურფასაც აქვს — ერთიხანობა სტენ კოლიმორის გელფრენდი გახლდათ.

ბექემები ინდივიდუალური პრიზით არ დაკმაყოფილდნენ და „წლის წყვილის“ სახელიც დაიგდეს. ამ ბრძოლაში მათ ერთ ამერიკულ (ჯენიფერ ანისტონი და ბრედ პიტი) და ერთ შერეულ ოჯახს (მადონა და გაი რიჩი) აჯობეს. სიტყვამ მოიტანა და 42 წლის ამერიკელი პოპ-ვარსკვლავი მადონა მასზედ 10 წლით უმცროს ინგლისელ რეჟისორზე ჯვარს სწორედ დღეს იწერს ერთ პატარა შოტლანდიურ ქალაქში. ქორწილში, სხვებთან ერთად, გიჟმაჟი უელსელი ვინი ჯოუნსიცაა დაპატიჟებული. ეს კაცი ქართველებს იქიდან გვახსოვს, რომ 1995 წლის 7 ივნისს კარდიფში მიხეილ ყაველაშვილს წიხლი ჩააზილა, რისთვისაც გააძევეს კიდეც.

# ვის რა გასჭირვებია

**გაზეთ** „სანის“ ჟურნალისტთა მცდელობით კოლინ ევანსი და პაოლო დი კანიო ერთმანეთს შეხვდნენ და ეს სურათიც გადაიღეს.

პაოლო დი კანიოს განსაკუთრებული წარდგენა არც სჭირდება. ეს ის კაცია, რომელმაც „ევერტონი“ — „ვესტ ჰემის“ მატჩის ბოლო წუთზე მასპინძელთა მეკარე პოლ ჟერარი წაქცეული რომ დაინახა, კარში დარტყმა იუადრისა და თამაში შეაჩერა **(იხილეთ სვეტი მარჯვნივ)**.

რაც შეეხება კოლინ ევანსს, ის დი კანიოს კეთილშობილების მსხვერპლი გახდა. ადრეც ვწერდით, რომ მას ტოტალიზატორში ათი მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე ჰქონდა ფული დადებული და იტალიელის საქციელი რომ არა, ოთხი ათას გირვანქას იგებდა. ევანსის გაჭირვების ამბავიც გავიხსენოთ: ოთხი კვირის წინ ცოლი მოიყვანა და მთელი დანაზოგი საქორწინო მოგზაურობაში დახარჯა, ორი კვირის წინ სამსახურიდან დაითხოვეს და დი კანიომაც ოთხი ათასი დააკარგვინა. თან ევანსმა ისიც თქვა,რა ხანია ვთამაშობ და ჯერ პენიც არ მომიგიაო.

ჰოდა, შეიყარნენ. ცხადია, ფოტოს გადაღების გარდა ერთმანეთს გაესაუბრნენ კიდეც. დიდად ვწუხვარ, ეს ამბავი რომ შეგემთხვათ — უთხრა დი კანიომ — მაგრამ ხომ ხვდები, წესიერი კაცი ვარ და სხვაგვარად ვერ მოვიქცევოდიო.

კი, როგორ არ ვიცი — ამოიოხრა დაზარალებულმა — ახლაც ჩემი საყვარელი ფეხბურთელი ხარ, მაგრამ რა ვქნა, დაკარგული ფული თავიდან არ ამომდის. ოთხშაბათს დაბადების დღე მქონდა, 28 წლის გავხდი და პირდაპირ სულზე მომისწრებდა მოგებული ფულიო.

ევანსის საცოდაობამ დი კანიოს გული აუჩუყა, მაგრამ არც იმდენად, რომ ეთქვა, აჰა, ძმაო, მაგ ფულს მე მოგცემ, შენზე ალალიაო. ავტოგრაფის ჩუქებით დაკმაყოფილდა და საკუთარ პრობლემაზე ჩაფიქრდა — ვარჯიშისას თანაგუნდელ ტრევორ სინკლერთან შეჯახებისას კოჭი უტკენია და დღეს „ლესტერთან“ შესაძლოა ვერ ითამაშოს.

**გიორგი დარჯანია**




პაოლო დი კანიომ (მარჯვნივ) კოლინ ევანსს ფულის ნაცვლად ავტოგრაფი მისცა




# დი კანიოს გული

**სწორედ** რომ წინა შაბათს იყო: პაოლო დი კანიომ იმის მაგივრად, რომ კარში გადაეგზავნა, ბურთი ხელში აიღო და მოწინააღმდეგის დაშავებული მეკარისკენ გაიშვირა ხელი — წაქცეულ კაცს დაეხმარეთო. ეს იყო შეხვედრის ბოლო წამებზე, „ვესტ ჰემისა“ და „ევერტონის“ მატჩში, რომელიც ფრედ დასრულდა.

დი კანიო რომ ძალღ-კაცად არის ცნობილი, ახლა მოსაყოლი არაა. ინგლისურ ფეხბურთში ის ერთადერთი კაცია, მსაჯი რომ ხელისკვრით მინდორზე წაუქცევია. ეს მსაჯი პოლ ელკოკი იყო, დი კანიო კი მაშინ „შეფილდ უენსდიში“ თამაშობდა.

დი კანიო რომაელი ქუჩის ბიჭია, იმ ყაიდისა, წარამარა რომ თავის კაი ბიჭობასა და კაი ფეხბურთელობაზე ლაპარაკობს. ცხოვრებაში არაერთ მწვრთნელს შეტაკებია და არაერთხელ უთქვამს, ჩემმა პარტნიორებმა თამაში არ იციანო.

ამ თავისთავად საუცხოო ფეხბურთელმა კარიერაში ბევრ დარტყმას გაუძლო, თუმცა ეს დარტყმები თავის უხიაგობის გამო მიიღო. ყოველთვის მეგონა, რომ დი კანიო ერთი ქაჯი, მაგრამ ალალი ბიჭია. ვთქვათ, გეორგე ჰაჯისგან განსხვავებით, რომელიც ქაჯია და ქაჯი, სიალალისა არაფერი სცხია.

დი კანიოსგან ყოველთვის მოსალოდნელია ბრწყინვალე სათამაშო ილეთი და ყოველთვის მოსალოდნელია მოულოდნელი არასათამაშო ილეთი. ჯენტლმენობისა მას არასდროს არაფერი ეცხო. მაგრამ რას ვერ წაართმევდი „ვესტ ჰემის“ ფორვარდს და გულიანობას. გულიანი ბიჭი გახლავთ და კაპიტნობას კი ჩამოართმევ, მაგრამ ამ გულიანობას ვერა.

იმას, რაც გასულ შაბათს გააკეთა დი კანიომ, ჯენტლმენობა უწოდეს, ფიფამ კი საგაისო „ფეირ პლეისთვის“ ჩაინიშნა. მე თუ მკითხავთ, აქ ჯენტლმენობა არაფერ შუაშია. ჯენტლმენობა აღზრდა გახლავთ და თუ ჯენტლმენი ჯენტლმენურად იქცევა, საკვირველი სულაც არ არის. დი კანიოს საქციელი მისი გულიდან მოდის. გულიანი კაცია და მორჩა. გულმა კი ტვინს მისცა ნიშანი.

აკი თვითონაც თქვა, რაც პირველი მომივიდა თავში, ის გავაკეთეო.

გააკეთა და ლამაზიც იმიტომ გამოვიდა, რომ თავში პირველად მოსული ამბავი იყო და არა ჯენტლმენური წესით გადადგმული ნაბიჯი.

„ევერტონ“ — „ვესტ ჰემის“ მატჩში მომხდარი ამბავი იმითაც იყო ლამაზი და ღირსეული, რომ იგი დი კანიომ მოახდინა. მოახდინა და მოსახდენი იყო.

პაოლო დი კანიო ისე ლამაზად თამაშობს ფეხბურთს, რომ არ შეიძლება ისეთი ცუდი იყოს, როგორიც ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაუმარჯოს ავტობუსს!

## ბიჭიები დაგვეხმარნენ

**ახალი** საუკუნის პირველ სპორტულ სეზონს ხელბურთელები გახსნიან. საქართველოს ვაჟთა ნაკრები 4 იანვარს ანკარაში ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩს გამართავს.

ჩვენს ბიჭებს თურქთა გარდა ჯგუფში მეტოქეებად ბოსნიისა და საბერძნეთის გუნდებიც ჰყავთ. კონკურენტები დაუძლეველთა კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნებიან, თან შანსს ისიც ზრდიდა, რომ გათამაშების შემდგომ ეტაპზე ორი საუკეთესო გადიოდა. მაგრამ ეს იმედი ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გადაგვეწურა, მიხვდებით, ჩვენი უშუქო-უსითბო-უფულო ყოფის მიზეზით.

მოწინააღმდეგე გუნდისა და სამი მსაჯის ორი-სამი დღით გამასპინძლება არცთუ მცირე თანხა ჯდება, მაგრამ არც იმდენი, ნორმალური ქვეყნის ფედერაცია ვერ შესწვდეს. გათბობისა და შუქის პრობლემაც ჩვენს გარდა, მგონი, აღარავის აწუხებს. ერთი სიტყვით, უკვე მერამდენედ, სავალალო მდგომარეობაა — სტუმრებს თბილისის გაყინულ სპორტის სასახლეში ვერ მივიღებთ და საქართველოს ნაკრები საშინაო მატჩებსაც მეტოქეთა მოედნებზე გამართავს. კიდევ კარგი, არც ისე დაშორებულ ქვეყნებში ავტობუსით წასაჩაქჩაქებელი ფული მაინც გამოიძებნა, თორემ ესეც რომ ვერ გაზერხებულიყო, ერთ-ორწლიანი დისკვალიფიკაცია და ფინანსური სანქცია არ აგვცდებოდა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ მოსამზადებელ შეკრებაზე 17 მოთამაშეს უხმო. მათგან ოთხი ლეგიონერია, დანარჩენები კი ეროვნულ პირველობაში წვალობენ: როლანდ ერაძე („ვალური“, ისლანდია), ლევან გელაშვილი („ვრილისია“, საბერძნეთი), გიორგი თურქია („შტრალზუნდი“, გერმანია), სერგო დათუკაშვილი („მეტალოპლასტიკა“, იუგოსლავია), ალეკო ბოყოჩაძე, ტიტე კალანდაძე, ბექა ორჯონიკიძე, გიორგი ქობელაშვილი, გიორგი გვაზავა, შოთა თევზაძე, რევაზ ჭანტურია, ომარ ყიფიანი, ზაზა ფერაძე, მამია კობახიძე, ლაშა სიხარულიძე (ყველა — სტუ), ელნარ ქარცივაძე („მენავთობე“), გიორგი ოთარაშვილი („თელავი“). ყოველდღიური ვარჯიში, ტრადიციულად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში მიმდინარეობს.

ბარემ მთელ „საევროპო“ კალენდარსაც გაგაცნობთ: თურქეთი — საქართველო 4 და 7 იანვარი; საბერძნეთი — საქართველო 11 და 13 იანვარი; ბოსნია — საქართველო 19 და 21 იანვარი.

მომავალ თამაშებისთვის მზადებას მიეძღვნა გუშინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გამართული პრესკონფერენცია. ბატონმა ზაზამ აღნიშნა, რომ მძიმე პირობების მიუხედავად, ბიჭებს ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ წვრთნა. თავიდან ორიოდე კვირა მძლეოსნობის მანეჟში ემზადებოდნენ, მერე კი სტუ-ს დარბაზში გადაინაცვლეს. მწვრთნელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კალანდაძის ნებისყოფას. ტიტემ რამდენიმე თვის წინ მხრის ურთულესი ოპერაცია გადაიტანა, კარგა ხანს ბურთს ხეირიანად ვერც კი ტყორცნიდა, მაგრამ როგორც პროფესიონალს შეჰფერის, ფარ-ხმალი არ დაუყრია, უმძიმეს ტრავმას მოერია და ახლა სხვებთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

ცნობილი ვეტერანების მხარდამხარ ასეთი დონის თამაშებში მონაწილეობა 15-16 წლის ჭაბუკებისთვის მშვენიერი სკოლა იქნება, მათ ხომ გაისად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში ასპარეზობა ელით.

ბოლოს ორიოდე სიტყვით უცხოურ ამბებზეც. პორტუგალიის საკურორტო ქალაქ ეშტორილში სამ დღეს გაგრძელდა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის 28-ე კონგრესი. დღის წესრიგში ოცამდე საკითხი იდგა, მათ შორის უმთავრესი ახალი პრეზიდენტის არჩევა იყო.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის გენერალური მდივანი თამაზ თევზაძე. ფედერაციის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჩვენი მძიმე ეკონომიკური ყოფა, ყურად იღო ასოციაციის თხოვნა და მინიმალური საწევრო გადასახადი დაგვიწესა, ამჯერად კი სულაც თავად დაგვიფარა ორწლიანი დავალიანება. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა ჩვენს წარმომადგენელს საკითხების განხილვისას ხმის უფლება.

დიდი ვნებათაღელვა გამოუწვევია მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნების შერჩევის საკითხს. ქალთა პირველობის ჩატარების პატივი ჰოლანდიელებს ხვდათ. კონკურენტ ხორვატებს მათ მხოლოდ ხუთხმიანი სხვაობით 59-54 აჯობეს. ვაჟთა ტურნირი პორტუგალიაში გაიმართება. კონგრესის მასპინძლებმა აშკარა უპირატესობით (87-25) სძლიეს სანქტპეტერბურგელ მეტოქეებს.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციას 16 წელი ავსტრიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ერვინ ლანსი თავკაცობდა. ახალ პრეზიდენტად კი ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, 55 წლის ეგვიპტელი ჰასან მუსტაფა აირჩიეს, რომელმაც სამი პრეტენდენტი ჩამოიტოვა უკან.

**გია ახალაძე**





ვინუს უილიამსი

# ვინუსი — სუპერბონუსი

**იმას,** რაზეც ბოლოხანს საჩოგბურთო წრეებში ბევრს და ნერწყვის ყლაპვით ჭორაობდნენ, ხუთშაბათს უკვე ოფიციალური სახე მიეცა: ვინუს უილიამსმა ფირმა „რიბოკთან“ ქალთა სპორტისთვის სარეკორდო, 40 მილიონდოლარიან სარეკლამო კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ეს ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია“ — განაცხადა ყურებამდე მომღიმარმა 20 წლის ჩოგბურთელმა, რომელმაც შარშან ტრიუმფალური შეტევით დაიპყრო უიმბლდონი, აშშ-ის ღია პირველობა და სიდნეის ოლიმპიადა და ივნისიდან ოქტომბრამდე ზედიზედ 35 მატჩი მოიგო.

„მთელი ჩემი ოჯახისთვის ეს უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია. ბოლო ხანებში არაერთი ოცნება ამისრულდა“ — დაუმატა შავკანიანმა ვენერამ, რომელიც ნარკოვაჭრებითა და სიღარიბით განთქმულ ლოს ანჯელესის გარეუბან კომპტონში გაიზარდა, ახლა კი ფლორიდაში, უზარმაზარ საკუთარ ვილაში ცხოვრობს.

უფროსი უილიამსი საჩოგბურთო მწვერვალებზე ფიქრის გარდა სწავლისთვისაც პოულობს დროს. ის ამჟამად ტანსაცმლის დიზაინის ხელოვნებას ეუფლება და 2002 წლიდან „რიბოკთან“ ერთად თავადაც იმუშავებს სპორტული მინიკაბების კოლექციის შექმნაზე. ცოტა ხნის წინ კი მოდელადაც მოსინჯა თავი და უმცროს დაიკო სერენასთან ერთად ქალთა პოპულარული ჟურნალის, „ელის“ ყდაზეც გამოიჭიმა.

უილიამსის ჯიბის გასქელებას მეტად დადებითად გამოეხმაურა ქალების უფლებებისთვის მებრძოლი ლეგენდარული ჩოგბურთელი ბილი-ჯინ კინგი: „ეს მარტო ვინუსისთვის კი არა, მთელი სპორტის, განსაკუთრებით ქალთა სპორტისთვის გამორჩეული დღეა. ბოლოს და ბოლოს, ყველამ აღიარა მისი შესაძლებლობები და მოქნილობა. ვინუსის ცქერა, მხოლოდ კორტზე ყოფნაც კი ერთი სიამოვნებაა“.

უილიამსს პრესკონფერენციაზე ნამდვილი პროფესიაც არ დავიწყებია: „ამჟამად მსოფლიოს მესამე ჩოგანი ვარ, იმედი მაქვს, გაისად კიდევ წავიწევ. ისე, ყველაზე მნიშვნელოვანია, ბედნიერი და ჯანმრთელი ვიყო“.

და რას აპირებს სერენა, რომელიც უფროსმა დამ დაჩრდილა და ფირმა „პუმასთან“ გაცილებით ნაკლებად სარფიანი კონტრაქტი აკავშირებს? „არა მგონია, ჩემი მაინცდამაინც შემშურდეს, თუმცა მალე მალაზიებში, ალბათ, მხოლოდ მე გავინავარდებ“ — ასეთი იყო ვინუსის პასუხი.

**ავთანდილ სვანიძე**

# დედალი ავაზა და ვეფხი-მოყმე



მარიონ ჯონსი



ტაიგერ ვუდსი

**ამერიკელი** სპრინტერი მარიონ ჯონსი ფრიად იქადნიდა, სიდნეის ოლიმპიადაზე ხუთ ოქროს მედალს მოვიპოვებო, მაგრამ სამით დაკმაყოფილდა და... სააგენტო „როიტერის“ ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. აქვე, ინგლისურის მცოდნე მკითხველთან ბოდიშს ვიხდით და განვმარტავთ: სპორტსმენის ნაცვლად, ქართულად უხერხულად რომ არ ჟღერდეს, წესით სპორტსვუმენი უნდა დაგვეწერა, რადგან ლაპარაკია ქალთა შორის საუკეთესოზე.

„როიტერის“ გამოკითხვაში ქულათა მაქსიმუმი 250-ის, რომელთაგან ჯონსმა 171 მიიღო და მეორე ადგილზე ავსტრალიელი მძლეოსანი კეტი ფრიმენი დატოვა (120 ქულა). მესამეზე ჰოლანდიელი მოცურავე ინგე დე ბრუინი (103) გავიდა.

მეოთხე ადგილი ხვდა „უიმბლდონის“, ამერიკის ღია პირველობისა და ოლიმპიადის ჩემპიონ ჩოგბურთელს ვინუს უილიამსს, რომელმაც 97 ქულა მიიღო, მეხუთე კი 31 ქულიანი ავსტრალიელი მეგოლფე კერი ვებმა დაიკავა.

ზემოთ მარიონ ჯონსის მოგებული სიდნეური ოქროები ვახსენეთ. ისინი მძლეოსანმა 100 და 200 მეტრზე სპრინტსა და 4X400 ესტაფეტაში მოიპოვა.

გამოკითხვაში 37 ქვეყნის ჟურნალ-გაზეთთა 50 გამომცემელი და ჟურნალისტი მონაწილეობდა.

მეორე ადგილზე გასული ფრიმენი ის აბორიგენი გახლავთ, რომელმაც ჯერ, ოლიმპიადის გახსნაზე, ჩირაღდანი აგიზგიზა, შემდეგ კი 400 მეტრზე ოქროს მედალი მოიგო. თუ გავითვალისწინებთ, რომ მწვანე კონტინენტზე აგერ უკვე 200 წელია ფერადკანიანები თეთრკანიანებს თავიანთ უფლებებს ედავებიან და ეს დავა საყოველთაო დემოკრატიითა და თანასწორობით დასრულდა, შეიძლება ითქვას, რომ იმ 120 ქულიდან, ფრიმენის გვარის გასწვრივ რომ ჩაიწერა, ბევრი სპორტულის გარდა პოლიტიკური მიზეზითაც გახლდათ „დარიცხული“.

რაც შეეხება ბრუინს, მას სიდნეიში სამი ინდივიდუალური ოქრო ერგო და სამივე მსოფლიოს რეკორდის დამყარებით მოიპოვა...

„როიტერი“, ბუნებრივია, საუკეთესო სპორტსმენის (ანუ კაცი-სპორტსმენის) ვინაობითაც დაინტერესდა და პასუხად მეგოლფე ტაიგერ ვუდსი მიიღო. ჩვენში გოლფი, მართალია, დიდი პოპულარობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ინგლისურენოვან სამყაროში (რომელსაც სააგენტო „როიტერი“ წარმოადგენს) ის ძლიერ საყვარელი და მდიდარი სახეობაა. მეგოლფეთა ჰონორარებს ქვეყნად არაფერი შეედრება, ხოლო მათ შორის ტაიგერ ვუდსს ვერ შეედრება ვერავინ. დედით ტაილანდელმა და ამიტომაც აზიური გარეგნობის ამერიკელმა 2000 წელს გაიმარჯვა როგორც აშშ-ის, ასევე ბრიტანეთის ღია პირველობებზე და PGA-ს ჩემპიონატში.

ტაიგერ ვუდსის დაგროვებულ ქულათა რაოდენობა 139-ის ტოლი იყო, მეორე ადგილზე გასული გერმანელი ავტომრბოლის მიხაელ შუმახერისა კი 73-ის, მესამე ადგილი ბრიტანელმა ნიჩბოსანმა სტივ რედგრეივმა მიიღო (67 ქულა), მეოთხე ჰოლანდიელმა მოცურავემ პიტერ ვან დენ ჰოგენბანდმა (56), მეხუთე კი ფრანგმა ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა (48).

**ტუტა სიხარულიძე**



# ანანდმა ტახტისკენ გაიბიჯა

**ფიდეს** მსოფლიოს პირველობის ფინალში მეორე პარტია გათამაშდა, რომელიც ვიშვანათნ ანანდმა ალექსეი შიროვს მოუგო და ექვსი პარტიისაგან შემდგარ სერიაში 1,5:0,5 დაწინაურდა. პარტია გრძელი გამოდგა. ესპანურ დაცვაში შიროვმა ის თეორიული დისკუსია გააგრძელა, რომელიც ვიშის წინააღმდეგ ნახევარფინალში მაიკლ ადამსმა დაიწყო. დებიუტისშემდგომი რამდენიმე სვლა ორივე მხარემ უხადოდ გააკეთა, შემდეგ კი შიროვმა ორი შეცდომა დაუშვა, რითაც ინდოელმა კარგად ისარგებლა და ფიგურების გონივრული გაცვლებით მოსაგები ეტლების ენდშპილი მიიღო, თავად გამსვლელი პაიკი ჰყავდა, ხოლო შავების პოზიციას გაორებული პაიკები ერთობ აფუჭებდნენ. შიროვი ვა-ბანკზე წავიდა და მეტოქეს ორი პაიკი დაუთმო. დაფაზე თეთრი ეტლი ორი პაიკის თანხლებით დარჩა, შავი — ეულად, სამაგიეროდ, შავი მეფე ჩანდა რიგიან ადგილას (თეთრ კოლეგას პაიკებისკენ გზას ულობავდა), ამიტომ ყაიმის შესაძლებლობაც იყო, მაგრამ შიროვი კრიტიკულ მომენტში ერთხელაც შეცდა და ანანდმა 64 სვლის შემდეგ ანგარიშში დაწინაურება გაიფორმა. თეირანში ინდოელი საქმეს დღის რიხით აგრძელებს.

**დავით გულუა**

**გუშინ**

*ვიშვანათან ანანდმა ფინალის მესამე პარტიაც მოიგო და მისი მსოფლიოს ჩემპიონობა აღარავის აეჭვებს. სამ დარჩენილ პარტიაში მას ქულაც ჰყოფნის.*




ალექსეი შიროვი ვიში ანანდის მომგები არა ჩანს

# შავი ბუმბერაზის ამბები

**დედამიწის სიმაღლით მეხუთე ცათამბჯენ მაკალუს (8470 მ) შეჭიდებულ პოლონელთა ექსპედიციიდან, რომელშიც თბილისელი გია თორთლაძეცაა, ძუნწი ინფორმაციები მოდის. ექსპედიციის პრესატაშე მონიკა როგოზინსკა სატელიტური ტელეფონით განმარტავს, ეს დოლარების სიმცირით აიხსნებაო.**



კშიშტოფ ვიელიცკი




მაკალუ და საბაზო ბანაკი

### კარვები ქარს დაუქცევია

ექსპედიციის მსვლელობაზე ბოლო ინფორმაცია 20 დეკემბერს მოგაწოდეთ, როცა გია თორთლაძემ გვაცნობა, 6800 მეტრის სიმაღლეზე მდებარე მეორე ბანაკიდან გირეკავთ, ზემოთ კი კშიშტოფ ვიელიცკი თავის პარტნიორთან ერთად ავიდა და 7000 მეტრის სიმაღლეზე თოკებს კიდებსო.

თორთლაძის ვარაუდით, დღეისთვის 7200-7300 მეტრის სიმაღლეზე მესამე ბანაკი უნდა მოწყობილიყო, მაგრამ გუშინ პოლონელთა სატელიტური ტელეფონით მათი შინ ნაუბარი „დავიჭირეთ“ და გაირკვა, რომ ექსპედიციისთვის სტიქიას „ჩაწყობილი კარტები“ გვარიანად აურევია.

მანამდე ექსპედიციის წევრ პიოტრ ტრიბალსკისგან ისეთი ამბებიც შევიტყვეთ, რომლებიც თორთლაძისგან არ ვიცოდით. ჯერ იყო და საბაზო ბანაკისკენ მიმავალ ექსპედიციას მებარგულებთან რაღაც პრობლემები გაჩენია. მერე, როცა საბაზო მოუწყვიათ, დასავლეთის ქედზე პირველი საიერიშო ბანაკიც დაუციათ, მაგრამ ბოლოს ისევ აუყრიათ, საბაზოში ჩამოუტანიათ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქედზე გადაუტანიათ. იქ ძალიან ცოტა თოვლი ყოფილა, ზოგან კი სულაც მოშიშვლებული ადგილები დახვედრიათ.

პიოტრ ტრიბალსკი იმასაც ამბობდა, მშრალი, უთოვლო სეზონია. თოვლი ზემოთ, დიდ სიმაღლეზეაო.

ასეა თუ ისე, გუშინ ტრიბალსკისაგან გავიგეთ, რომ მაკალუს ფერდობებზე ძლიერი ქარი ამოვარდნილა. ამის გამო მეორე ბანაკში მყოფი მთამსვლელები საბაზოში დაბრუნებულან. ექსპედიციის ზოგი წევრის (არ აკონკრეტებს) კარავი განადგურებულა. მათ პრობლემები ჰქონიათ ჯანმრთელობის მხრივაც, თუმცა ახლა ყველაფერი რიგზეა და მეორე ბანაკში ასვლას 25 დეკემბერს ვაპირებთო.

რაკი გია თორთლაძის მონაწილეობა ამ ექსპედიციაში მის წევრთა და მაკალუს მიმართ ჩვენი მკითხველის ინტერესს აორმაგებს, თავად ამ ბუმბერაზის უკეთ გასაცნობად მის გარეგნულ სახეზე ოთხშაბათის „სარბიელში“ გესაუბრეთ, ახლა კი მის სახელწოდებაზე, პირველ ლაშქრობებზე, ცოტაოდენ სტატისტიკაზე და პოლონელთა გუნდის მეთაურზე შევჩერდებით.

### მაკალუ

ამ მწვერვალის სახელწოდების წარმომავლობა ბურუსითაა მოცული. ერთნი რომ ერთს ამტკიცებენ, მეორენი მეორეს ამბობენ. ტიბეტურ ლიტერატურაში მაკალუ ითარგმნება როგორც „შავი ბუმბერაზი“, რაც ყველაზე მიღებულ თარგმანად ითვლება. ამასთან, ეს სახელი ზუსტად შეეფერება მაკალუს „პორტრეტს“.

მაკალუს სახელის ერთ-ერთი მკვლევარი ვიტოზი ფიქრობს, რომ ამ მწვერვალის სახელწოდება წარმომდგარა ინდოელთა ღმერთ შივას დამახინჯებული სანსკრიტული სახელიდან მაჰა-კალა-დან, რაც ასე უნდა ითარგმნოს — „დიადი დრო“.

გიუნტერ ოსკარ დერენფურტს — ცნობილ მთამსვლელსა და ჰიმალაის დიდ მკვლევარს მაკალუს სახელთან დაკავშირებით ლაბირინთში შევყავართ. იგი ამბობს, რომ სახელწოდება „მაკალუ“ მყინვარ „კანჩუნგიდან“ გამონაჟურ მდინარე კამას ან კამა-ჩუს სახელიდან მომდინარეობსო. მისი აზრით, დროთა განმავლობაში მარცვლები გადაადგილებულა და „მაკალუ“ მიგვიღია.

იმავდროულად, დერენფურტის აზრით, სწორი იქნებოდა, თუ მაკალუს მასივს კამლუნგცზეს ვუწოდებდით, რაც ამგვარად უნდა ითარგმნოს — „კამას ველზე აღმართული მთა“.

ახლა გავიხსენოთ „კამას ველზე აღმართულ“ „შავ ბუმბერაზზე“ პირველი ასვლების

### „დიადი დრო“

მიუხედავად იმისა, რომ მაკალუ მეტად ლამაზი, ბუმბერაზი და ფრიად შთამბეჭდავია, თანაც იგი მშვენივრად მოსჩანს დარჯილინგიდან, ხოლო დედამიწის უმაღლეს პიკზე მოიერიშენი ხშირად უცქეროდნენ ამ მწვერვალს და ფირზეც აღბეჭდავდნენ, მასზე ასვლა რატომღაც არავის უცდია. არადა, რვაათასიანთაგან უდიდესი ხუთეულის პირველ სამ მწვერვალზე იერიშების ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია არსებობდა იმ დრომდე, როცა მაკალუზე ასვლა განიზრახეს.

1954 წელს, მაკალუთი ერთბაშად სამი ქვეყნის სამი ექსპედიცია დაინტერესდა და შეესივნენ კიდეც.

მაშინ ამერიკელებმა 7100 მეტრამდე აღწიეს, ახალზელანდიელებმა 7700, ხოლო ფრანგებმა 7800 მეტრამდე.

მომდევნო წელიწადს ფრანგთ ექსპედიციის რვავე მთამსვლელმა ჟან ფრანკოს მეთაურობით შერპ გიალცენ ნორბუსთან ერთად გადმოიხედა მწვერვალიდან. ეს იყო პირველი და მრავალი წლის განმავლობაში ერთადერთი შემთხვევა, როცა რვაათასიან მწვერვალზე ექსპედიციის მთელი შემადგენლობა ავიდა.

მას შემდეგ ამ მწვერვალზე მრავალი ექსპედიციის 156 წევრი ავიდა (2000 წლის 1 იანვრის მონაცემებით), მათ შორის 5 ქალი. ასორმოცდათექვსმეტივემ მიზანს საგაზაფხულო ან საშემოდგომო სეზონში მიაღწია, ზამთარში კი დღემდე ვერავინ ასულა.

რაკი მაკალუს სტატისტიკაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ მწვერვალის ფერდობებზე 19 მთამსვლელი დაღუპულა.

მიაღწევს თუ არა ამჟამინდელი ექსპედიცია მიზანს, ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ პოლონელთა სტატისტიკას გადავხედავთ, მას წარმატების საკმაო შანსი აქვთ. პოლონელებს ჰიმალაის 10 რვაათასიანიდან 7 ზამთარში დაულაშქრავთ. ამასთან შვიდივე ზამთრის ასვლა პირველებმა მათ განახორციელეს.

პოლონელთა ლიდერია ამჟამინდელი ექსპედიციის მეთაური კშიშტოფ ვიელიცკი.

### პირველი

კშიშტოფ ვიელიცკი, თუ მიზანს მიაღწევს, ელიტარულ მთამსვლელთა ჯგუფში მოხვდებაო, ამბობს ექსპედიციის პრესატაშე მონიკა როგოზინსკა, თუმცა ეს კაცი მრავალი წელია ისედაც იქ არის.

კშიშტოფ ვიელიცკი არის შვიდიდან ერთ-ერთი ის მთამსვლელთაგანი, რომელიც დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანზე ასულა. ახლა იგი მეორედ უტევს მაკალუს, ოღონდ ზამთარში. წელიწადის ამ დროს კი მასზე მიუხედავად არაერთი ცდისა, არავინ ასულა. ასე რომ, მიზნის მიღწევის შემთხვევაში ვიელიცკი თანაგუნდელებთან ერთად, ან მათ გარეშე, გახდება პირველი, ვინც ამ ბუმბერაზიდან ზამთარში გადმოიხედავს. ამასთან, იგი გახდება პირველი, ვინც ამ მწვერვალზე მეორედ ავიდა.

სხვათა შორის, დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (8848 მ. ჯომოლუნგმა, საგრმატხა) განმეორებით (მეორედ და მეტჯერ) 299 კაცი ასულა (2000 წლის 1 იანვრის მონაცემებით), ჩვენი პლანეტის სიმაღლით მეშვიდე პიკ ჩო ოიუზე (8153 მ) - 92.

მაგრამ კშიშტოფ ვიელიცკიმ ამჯერად მიზანს რომ ვერ მიაღწიოს, მის დამსახურებათა ნუსხაში არაერთხელ შეიძლება მოვუხმოთ ამ სიტყვას — „პირველი!“ მაგალითად, ვიელიცკი პირველია, ვინც ლჰოცზეზე (8501 მ) ზამთარში ავიდა, თანაც მარტოდმარტო. მას შემდეგ 12 წელიწადი მიილია, მაგრამ ამ მწვერვალზე ზამთარში ვეღარავინ ასულა.

ვიელიცკი პირველია, ვინც შიშა პანგმას (8013 მ) სამხრეთის კედელზე ახალი მარშრუტი გაკვალა, თანაც ისევ და ისევ მარტოდმარტო. ასევე იყო დჰაულაგირზე ლაშქრობისას, როცა ამ გიგანტის აღმოსავლეთის კედელზე ახალი მარშრუტით 16 საათში აირბინა.

ამ ორი სოლო ლაშქრობისას ვიელიცკი, მართალია, ექსპედიციის წევრად ითვლებოდა, მაგრამ მის გარდა ყველა დანარჩენი მთამსვლელი ორივე შემთხვევაში მწვერვალზე სულ სხვა მხრიდან ადიოდა.

ეს კაცი პირველია, ვინც თანამემამულე ეჟი კუკუჩკასთან (ასევე ყველა რვაათასიანის დამპყრობი, დაიღუპა ლჰოცზეზე განმეორებითი ასვლის დროს) ერთად ხუთთავიანი კანჩენჯანღა ზამთარში დაიმორჩილა (1986 წელს).

პირველია, ვინც ბროუდ პიკზე (8047 მ) ერთ დღეში ავიდ-ჩამოვიდა. მაშინაც, 1984 წელს, იგი ექსპედიციის წევრად ითვლებოდა, მაგრამ მწვერვალზე ისევ სოლო ასვლა, უფრო სწორად, გარბენი განახორციელა. მწვერვალის კენწერომდე მიღწევას სულ რაღაც 16 საათი მოანდომა, ჩამოსვლას კი — 6.

1996 წელს მან დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ ჩოგორიდან (8611 მ) გადმოიხედა, მერე კი „სიკვდილის მთად“ წოდებულ ნანგა პარბატზე (8126 მ) სრულიად მარტოდმარტო გავარდა და ისიც დაიმორჩილა. სწორედ ნანგა პარბატი აღმოჩნდა ბოლო მწვერვალი, რომლითაც დალაშქრული თოთხმეტივე რვაათასიანის კოლექცია დაავგვირგვინა, ამგვარ ნუსხაში კი პირველი იყო დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, სადაც 1980 წელს, მართალია „გატკეპნილი“ კლასიკური მარშრუტით, მაგრამ ზამთარში ავიდა, რაც პირველი ზამთრის ლაშქრობა იყო.

ახლა, ამ ზამთარში, კშიშტოფ ვიელიცკი რვაათასიანებზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე წრის დასაწყისშია.

**ავთანდილ გურასაშვილი**



# გრუბერის ალპური ზალპი




კრისტოფ გრუბერი

**ხუთშაბათს** იტალიურ ბორმიოში გამართული გიგანტური სლალომის ეტაპი მეტად მოულოდნელად დასრულდა — პოდიუმის პირველ-მეორე ადგილებზე ისეთმა მოთხილამურეებმა ამოყვეს თავი, მსგავს პატივს ჩვეულნი რომ არ არიან.

სტელა ალპინას ტრასაზე ჩამოწოლილ სქელ ნისლში ყველაზე უკეთ გზა ავსტრიელმა კრისტოფ გრუბერმა გაიკვლია. საუკეთესო დრო მას არც პირველ ცდაზე უჩვენებია და არც მეორეზე, სამაგიეროდ, კოლეგებისგან განსხვავებით, არც დიდი შეცდომა დაუშვია სადმე და საბოლოოდ საერთო შედეგით 2.12,33 წუთი პირველი აღმოჩნდა.

24 წლის გრუბერი თავის დროზე ერთ-ერთი საუკეთესო იუნიორი იყო, გიგანტური სლალომისა და კომბინირებული დაშვების მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ პროფესიონალებს შორის დამკვიდრება ძალიან გაუჭირდა და შარშანაც მსოფლიოს თასზე კი არა, შედარებით დაბალ ლიგაში — ევროპის თასზე ასპარეზობდა. იქ ტიტულის მოპოვებამ გრუბერს ავსტრიის ნაკრებისკენ გზა გაუხსნა. კარიერაში ერთადერთხელ მსოფლიოს თასის ეტაპის პოდიუმზე აქამდე ავსტრიელი ნოემბერში, ბივერ კრიკში წამოჭიმულიყო. სუპერ-გიგანტში იქ მან მეორე ადგილი დაიკავა.

სამაგიეროდ, ამერიკელი ერიკ შლოპი, რომელიც ბორმიოში მხოლოდ გრუბერს ჩამორჩა, აქამდე მსგავსი პატივის ღირსი არასოდეს გამხდარა. პირველი ცდის შემდეგ ლიდერ, შვედ ფრედრიკ ნუბერგს მან 0,24 წამით აჯობა.

როგორც ყოველთვის, უფათერაკოდ არც ამ ეტაპს ჩაუვლია. ბობოლები — ავსტრიელი ჰანს კნაუსი და ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტი თავიდან ვინძლო გამარჯვებასაც გეგმავდნენ, მაგრამ მეორე ცდაზე თხილამურები ვერ დაიმორჩილეს და ტრასიდან განზე გაისეირნეს. ამას ცოტათი გადაურჩა დისკვალიფიკაციამოხსნილი „ჰერმინატორი“ ჰერმან მაიერი, თუმცა მესამედან საბოლოოდ მეათე ადგილზე გადაბარგდა.

**დავით ხარზიანი**

**მსოფლიოს თასი**

ბორმიო. იტალია
გიგანტური სლალომი

კაცები
1. კრისტოფ გრუბერი 2.12,33
2. ერიკ შლოპი 2.12,52
3. ფრედრიკ ნუბერგი 2.12,76
4. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 2.12,94
5. კენეტ სივერტსენი (ნორვეგია) 2.13,12

**საერთო ჩათვლა**

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 657 ქულა
2. ლასე კიუსი (ნორვეგია) 441
3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 417
4. ფონ გრუნინგენი 412
5. ჰაინც შილხეგერი (ავსტრია) 399



ფილადელფიელმა რიკ ტოკეტმა (92) სანხოსელთა მეკარე ევგენი ნაბოკოვს ორჯერ გაუტანა

# ტოკეტის კეტი ეშმაკებს

21 დეკემბერი

**კოლორადო — ლოს ანჯელესი 5:2**

2:1 0:0 3:1

0:1 სმოლინსკი 0'56 (10); 1:1 საკიკი 10'27 (17); 2:1 ტანგეი 10'59 (12); 3:1 ჰინოტი 47'04 (3); 3:2 შნაიდერი 50'42 (8); 4:2 საკიკი 55'28 (18); 5:2 საკიკი 58'05 (19)

**ბოსტონი — ტორონტო 4:0**

2:0 2:0 0:0

1:0 როლსტონი 4'49 (5); 2:0 ელისონი 11'33 (18); 3:0 ელორანტა 23'15 (5); 4:0 კოვალენკო 25'32 (10)

**ბუფალო — ვაშინგტონი 1:3**

1:0 0:1 0:2

1:0 რეი 3'12 (3); 1:1 კონოვალჩუკი 24'12 (9); 1:2 ბონდრა 46'21 (13); 1:3 ნიკოლიშინი 49'21 (17)

**კოლუმბუსი — ოტავა 3:3**

0:1 1:2 2:0 0:0

0:1 იორკი 5'45 (4); 0:2 მაკიჩერნი 21'34 (10); 1:2 სანდერსონი 24'56 (12); 1:3 ჰოსა 26'58 (17); 2:3 ჰიუარდი 43'50 (5); 3:3 ობენი 45'12 (5)

**ფილადელფია — სან ხოსე 4:3**

2:1 2:2 0:0

1:0 ლენგკოუ 8'15 (7); 1:1 მარლო 10'10 (15); 2:1 ტოკეტი 14'22 (6); 3:1 პრიმო 22'21 (11); 3:2 მარლო 30'42 (16); 4:2 ტოკეტი 34'33 (7); 4:3 კოროლიუკი 37'33 (3)

**მონრეალი — ნეშვილი 4:2**

1:0 2:1 1:1

1:0 კილგერი 18'11 (6); 1:1 ჩელბერგი 23'33 (5); 2:1 კოივუ 27'44 (5); 3:1 ლინდენი 39'55 (6); 4:1 ლინდენი 44'58 (7); 4:2 ბერეზოვსკი 48'59 (2)

**აილენდერსი — დალასი 1:3**

0:0 1:2 0:1

0:1 ნუინდაიკი 27'58 (13); 0:2 მატვიჩუკი 33'22 (1); 1:2 ჩერკავსკი 37'08 (9); 1:3 მატვიჩუკი 59'02 (2)

**ტამპა — პიტსბურგი 1:1**

1:0 0:0 0:1 0:0

1:0 ასტაშენკო 16'48 (1); 1:1 იაგრი 40'20 (19)

**ჩიკაგო — ვანკუვერი 6:4**

0:3 3:0 3:1

0:1 ჟოვანოვსკი 0'36 (5); 0:2 ჟოვანოვსკი 8'26 (6); 0:3 კესელსი 10'14 (10); 1:3 სალივანი 31'33 (15); 2:3 ნიულანდერი 32'50 (10); 3:3 ამონტე 35'48 (15); 3:4 ნესლუნდი 40'11 (19); 4:4 სალივანი 47'29 (16); 5:4 ჟამნოვი 55'04 (10); 6:4 სალივანი 59'36 (17)

ხულიგნობა და არასპორტული საქციელი არავის შეჰფერის, მით უმეტეს, ამბიციურ გუნდებს. ტორონტოს, რომელიც წლეულს აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, ეს ნამდვილად არ ეკადრებოდა. მაგრამ კანადელები, ალბათ, იმან გააბოროტა, რომ 7-მატჩიან იღბლიან სერიას (მათ 38 შაიბა გაიტანეს) სამი წაგება მოჰყვა და მდგომარეობა ვერც ბოსტონთან გამოასწორეს. „დათვებმა" მაიკ კინენის თავკაცობით ისე ითამაშეს, როგორც არასდროს და პირველივე პერიოდში თავიანთი აშკარა უპირატესობა ორ გოლად აქციეს. სტუმრებს ნერვებმა მაშინ უმტყუნა, როცა მიკო ელორანტამ სხვაობა სამამდე გაზარდა. თავიდან ცნობილმა ჩხუბისთავმა ტაი დომიმ უფრო პარტნიორთა გასამხნევებლად გამოიწვია ბოსტონელი ვან იმპი მუშტი-კრივში, მაგრამ როცა ამ ხერხმაც არ გაჭრა, ტორონტოელებმა მასპინძელთა ლიდერებზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს. მათი თავხედობა ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა და მატჩის დარჩენილი დრო გაწევ-გამოწევასა და შეხლა-შემოხლაში გაილია. „მსაჯებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს" — თქვა მატჩის შემდეგ ტორონტოს თავკაცმა პეტ ქუინმა, მაგრამ ეს მისი შეგირდების გასამართლებლად როდი გამოდგება.

დეტროიტთან ლამაზი მოგების შემდეგ სან ხოსე არც ფილადელფიასთან გამარჯვებაზე იტყოდა უარს, მაგრამ ამჯერად ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს გაცილებით მძიმე ბრძოლა გადახდა. ახალი თავკაცის, ბილ ბარბერის ხელში აგრესიულად ათამაშებულ „მფრინავთა" ძლიერ ზეწოლას ველარ გაუძლო სტუმართა მეკარე ევგენი ნაბოკოვმა, რომელმაც პირველ 23 წუთში 10 დარტყმიდან მხოლოდ 7 მოიგერია. იგი შეცვალეს, „ზვიგენებმა" კი ანგარიშის მხოლოდ მინიმუმამდე შემცირება მოახერხეს. ფილადელფიელთა ახალმა მწვრთნელმა განსაკუთრებით მატჩის გმირის, ვეტერან რიკ ტოკეტის თამაში მოიწონა. „მფრინავებმა" 4 გოლიდან 3 რიცხვმრავლობაში გაიტანეს, ხოლო დეიმონ ლენგკოუმ (1+2) ბოლო 4 შეხვედრაში 10 ქულა დააგროვა.

კოლორადოელთა წამყვანმა დუეტმა, ჯო საკიკმა და პეტერ ფორსბერგმა, 4 უქულო მატჩი იკმარა. საკიკმა პირველ პერიოდში ანგარიშის გახსნას ლოს ანჯელესთან შეხვედრის ბოლოს გატანილი 2 გოლიც დაამატა, რითაც თავისი გუნდის გამარჯვებაც უზრუნველყო და კარიერაში მე-10 ჰეთ თრიქიც შეასრულა. თანაც სამივე შაიბა პეტერ ფორსბერგის დახმარებით შეაგდო. მათმა კიდევ ერთმა პარტნიორმა, რეი ბურკმა კი 2 პასი მიითვალა და 1136 პასით წლეულს მცველთა შორის საუკეთესო, ლიგის ისტორიაში კი მეორე მეპასე გახდა. დღის კიდევ ერთი ჰეთ თრიქის ავტორის, სტივ სალივანის მიღწევით კი მისმა ჩიკაგომ იხეირა, ვანკუვერთან თითქმის წაგებულ მატჩში გარდატეხა შეიტანა და შინ არცთუ ხშირი, მეოთხე მოგება იზეიმა.

ოდესღაც დიადი მონრეალი კი პირველი გამარჯვებით ხარობს. 8 უხეირო თამაშის (+0=2-6) შემდეგ კანადელებმა ნეშვილს სძლიეს, რაც უკვე აღარ არის იოლი საქმე. მოგებაში ლომის წილი მიუძღვის ტრევორ ლინდენის, ოლეგ პეტროვისა და ახალშეძენილი ჩედ კილგერის ახალ სამეულს. ამ უკანასკნელმა მონრეალის რიგებში პირველი შაიბა შეაგდო.

პიტსბურგმა კი, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ლემიეს დაბრუნებამდე თავი არ შეიწუხოს და 5 მატჩში მხოლოდ 3 ფრეს დასჯერდა, ამჯერადაც ქულა ტამპას მეკარის, კევინ უიქსის ერთადერთი შეცდომის წყალობით მოიპოვა.

ვაშინგტონმა ბუფალოსთან ზედიზედ მეორე შეხვედრაში მოგება მიითვალა და კლუბის რეკორდების ნუსხაც გაამდიდრა. ამჯერად მეკარე ოლაფ კოლციგი გამოირჩა, რომელმაც კარიერაში 128-ე გამარჯვება მოიპოვა და „კეპიტალსის" რეკორდსმენს, დონ ბოპრეს გაუტოლდა.

ოტავამ კი ქულების ფლანგვა ტრადიციად აქცია. ამჯერად „სენატორებმა" ორშაიბიანი უპირატესობა გაუშვეს ხელიდან, დებიუტანტმა კოლუმბუსმა კი ბოლო პერიოდის ერთ წუთში გატანილი ორი გოლის ხარჯზე მეტად მნიშვნელოვანი ქულა შეიმატა.

**სამველ ლარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 33 | 19 | 6 | 0 | 8 | 106:74 | 44 |
| ტორონტო | 34 | 17 | 4 | 3 | 10 | 111:84 | 41 |
| ბუფალო | 32 | 17 | 3 | 1 | 11 | 89:82 | 38 |
| ბოსტონი | 34 | 12 | 4 | 3 | 15 | 88:112 | 31 |
| მონრეალი | 35 | 10 | 4 | 0 | 21 | 83:103 | 24 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 32 | 16 | 5 | 0 | 11 | 106:80 | 37 |
| ფილადელფია | 34 | 15 | 7 | 0 | 12 | 95:96 | 37 |
| პიტსბურგი | 34 | 14 | 6 | 1 | 13 | 96:99 | 35 |
| რეინჯერსი | 35 | 16 | 1 | 0 | 18 | 122:129 | 33 |
| აილენდერსი | 33 | 10 | 4 | 2 | 17 | 73:97 | 26 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 34 | 14 | 7 | 1 | 12 | 84:85 | 36 |
| ატლანტა | 33 | 13 | 6 | 1 | 13 | 97:109 | 33 |
| კაროლინა | 31 | 12 | 4 | 1 | 14 | 73:89 | 29 |
| ტამპა | 32 | 10 | 4 | 2 | 6 | 87:110 | 26 |
| ფლორიდა | 33 | 6 | 7 | 5 | 15 | 73:97 | 24 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 30 | 22 | 4 | 0 | 4 | 109:59 | 48 |
| დეტროიტი | 36 | 19 | 3 | 2 | 12 | 108:96 | 43 |
| ნეშვილი | 35 | 12 | 6 | 1 | 16 | 76:93 | 31 |
| ჩიკაგო | 34 | 12 | 2 | 2 | 18 | 87:105 | 28 |
| კოლუმბუსი | 35 | 10 | 3 | 2 | 20 | 72:107 | 25 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 34 | 22 | 5 | 0 | 7 | 105:77 | 49 |
| ვანკუვერი | 34 | 17 | 4 | 3 | 10 | 117:94 | 41 |
| ედმონტონი | 36 | 17 | 4 | 1 | 14 | 103:99 | 39 |
| კალგარი | 36 | 11 | 6 | 4 | 15 | 84:103 | 32 |
| მინესოტა | 34 | 9 | 6 | 2 | 17 | 69:81 | 26 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 32 | 21 | 4 | 0 | 7 | 96:68 | 46 |
| დალასი | 33 | 18 | 4 | 1 | 10 | 88:73 | 41 |
| ფინიქსი | 32 | 15 | 8 | 1 | 8 | 82:71 | 39 |
| ლოს ანჯელესი | 34 | 15 | 7 | 1 | 11 | 118:107 | 38 |
| ანაჰაიმი | 36 | 13 | 4 | 3 | 16 | 91:109 | 33 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*



# ჟურდენი შობას პირველი იზეიმებს

**რეგატა** „ვენდი გლოუბი" სადაცაა, ავსტრალიის დასავლეთ ნაპირის გრძელზე გავა, ხოლო ათასიოდე მილის შემდეგ მეზღვაურები ნახევარი გზის გალევას აღნიშნავენ. სწორედ ამ საზეიმო წუთებისა და უფრო საზეიმო კათოლიკური შობის მისადგომებთან „ვენდი გლოუბს" ახალი ლიდერი ჰყავს, ივ პარლესა და მიშელ დეჟუაიეს შემდეგ და მათსავით ფრანგი — როლან ჟურდენმა რბოლის ინდოეთისოკეანური ნაწილი ყველაზე ჯიგრიანად ჩაატარა — ჯერ ლიდერთა დუეტის მიმყოლ ჯგუფს გაექცა, შემდეგ პარლეს მარცხის გამო მეორე გახდა და გუშინწინიდან კი პირველია, თუმცა რამდენ ხანს გასტანს მისი ზეობა, ძნელად ვინმე თუ იტყვის. მეტეოროლოგიური სურათი ამ დღეებში ისე დაიხატა, სწორედ მდევარ ჯგუფს შეუწყო ხელი. ჟურდენი და დეჟუაიე ოთხშაბათს ანტიციკლონის დასავლეთ საზღვარს მიადგნენ და შიგ შეჭრილებმა სამხრეთის ქარი იგრძნეს, სიჩქარეს უკლეს, ამ დროს კი დანარჩენები სამხრეთ-დასავლეთიდან მოსულ ჰაერის მასებით სარგებლობდნენ და ნელ-ნელა ეწეოდნენ ლიდერებს. დღეს საღამოსთვის ანტიციკლონი სამხრეთით ჩაინაცვლებს და რეგატის გზაზე სრული ზურგქარი იქნება. მდევრებმა იქამდე უნდა იხეირონ.

ივ პარლე კი წვალებას განაგრძობს. დამსხვრეული ანძის სანაცვლოდ რაღაც სათადარიგოსავით აღმართა და იალქნიანობას უმატა. იტყობინებიან, ერთ მომენტში 8,57 კვანძი განავითარაო, მაგრამ ძვირფასი დრო იკარგება და კვირის წინ ლიდერი ფრანგი ახლა მეცხრეა, თუმცა ფინიშამდე ცურვას ჯიუტად აპირებს, ხოლო უახლოეს ავსტრალიურ ნავსადგურში მის ნაცვლად ესპანელი ხავიერ სანსო შეუხვევს. მისი „ოლდ სპაისი" ინდოეთის ოკეანემ იმდენად შებერტყა, წყნარში ცურვა აღარ შეუძლია. სანსო განერვიულებულა, ლე საბლ დოლონში ოჯახი უნდა დამხვედროდა და დედამიწის შემოვლა მათთვის უნდა მიმეძღვნა საჩუქრადო, მაგრამ ხანდახან თავს იმშვიდებს და მომავალ „ვენდი გლოუბზე" უეჭველ გამოსვლას გეგმავს. სანსო მეექვსე უილბლოა, ვინც რეგატა უდროოდ დატოვა. უიღბლო უნდა ეწოდოს ბრიტანელ მაიკლ გოლდინგსაც, ფავორიტი რომ იყო და ტექნიკურმა პრობლემებმა ცხრა დღით შეაფერხა.

**დავით გულუა**



ივ პარლეს „აქუიტან ინოვასიონზმა" სვლას უკლო

VENDEE GLOBE
2000 2001
LES SABLES D'OLONNE

**რეგატა «ვენდი გლოუბი»**

22 დეკემბრის ვითარება
პირველი ხუთეული

1. როლან ჟურდენი („სილ", საფრანგეთი) 12820 საზღვაო მილი ფინიშამდე
2. მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) +91
3. ელენ მაკარტური („კინგფიშერ", დიდი ბრიტანეთი) +187
4. თომა კოვილი („სოდებო", საფრანგეთი) +225
5. ტიერი დიუბუა („სოდებო", საფრანგეთი) +380



# ლემონდი ველოზურჭშაა

**ორიოდ** დღის წინ ცნობილმა ველომრბოლმა, „ტურ დე ფრანსის" სამგზის გამარჯვებულმა, ამერიკელმა გრეგ ლემონდმა ველოსპორტში დაბრუნება გადაწყვიტა. ოღონდ, მას რბოლებში მონაწილეობა კი არ მონატრებია, ამერიკული გუნდის „მერკურის" თანამფლობელი გახდა. ლემონდს ადრე თავისი გუნდის დაარსებაც სურდა, მაგრამ ახლა მეორედივიზიონელ „მერკურიში" გადაწყვიტა ფულის დაბანდება. მისი მისვლით „მერკურის" ბიუჯეტს, შესაძლოა, 4 მილიონი ამერიკული დოლარი შემატოს, რადგან ერთ-ერთ ინფორმატიკულ ფირმას გამოუთქვამს ლემონდის გუნდის სპონსორობის სურვილი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფიქრობს, რომ „მერკური" 2002 წლიდან მოყოლებული ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება, მანამდე კი ძირითადი აქცენტის გაკეთებას კლასიკურ რბოლებზე აპირებს და ამისთვის გუნდის ლიდერად შარშანდელი „ფლანდრიის ტურის" გამარჯვებული, ბელგიელი პეტერ ვან პეტეგემი შეუგულებია. ეს შენაძენი „მერკურის" არაფერი დასჯდომია, რადგან ვან პეტეგემის გუნდმა — „ფარმ ფრაიტსმა" ამ სეზონის ბოლოს არსებობა შეწყვიტა.

ახლა შემოკლებით გთავაზობთ სააგენტო „ფრანს-პრესის" მიერ ლემონდისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუს.

**— გრეგ, როგორ შეაფასებდით ველოსპორტის სამყაროში დღეს შექმნილ ვითარებას?**

— ველოსპორტი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მაგრამ გეტყვით, რომ ამჟამად ძალიან ცუდი პერიოდი უდგას და ეს უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. 90-იანი წლები რთული გამოდგა ველოსპორტისთვის. მან თავისი ეშხი დაკარგა და სახელიც შეებლალა. მაყურებლების ნდობის ხელახლა მოპოვებაა საჭირო.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს კრიზისის დასაძლევად?**

— ყველა იმ ორგანიზაციამ უნდა ითანამშრომლოს, რომელთაც კორუფციისა და დოპინგის აღმოფხვრა შეუძლიათ. არ მინდა, ძალიან კრიტიკულად გამომივიდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მთლად სუფთა არ უნდა იყოს. ველოსპორტი სოკ-ისა და ვსკ-სგან (ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი) ცოტა შორს უნდა დადგეს. ამ შემთხვევაში გარემო უფრო დაიწმინდება.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია?**

— რა თქმა უნდა, თუ მხარეები შეთანხმდებიან. მე სუფთა, უსკანდალო ველოსპორტი მინდა.

**— როგორ შეაფასებდით ლენს არმსტრონგის მიერ „ტურ დე ფრანსისთვის" ბოიკოტის გამოცხადების სურვილს?**

— ჩემთვის ეს გაუგებარი და არალოგიკურია. ვიცი, რომ ლენსი შეწუხებულია ამჟამად მიმდინარე მოვლენებით, მაგრამ ეს არაა მსოფლიოს უმთავრესი ტურნირის ბოიკოტისთვის საკმარისი მიზეზი. თუ ის ფიქრობს, რომ ჟურნალისტთა ინტერესი სკანდალებისადმი ერთი წლის შემდეგ შემცირდება, ძალიან ცდება. საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების საუკეთესო საშუალება „ტურში" მონაწილეობაა. იმედი მაქვს, რომ მისი გუნდის მენეჯერის, გორსკის აზრი, რომელიც ბოიკოტის წინააღმდეგია, გაიმარჯვებს.

**— სამშაბათს „მერკურისთან" დადეთ შეთანხმება. რას გრძნობთ ახლა, როცა ექვსწლიანი შესვენების შემდეგ ველოსპორტს დაუბრუნდით?**

— უდიდეს სიამოვნებას. მართლაც უზომოდ კმაყოფილი ვარ ჩემი გადაწყვეტილებით. ოღონდ თუ ვერაფრის შეცვლა ვერ მოვახერხე, შეიძლება ერთი წლის შემდეგ წავიდე.

**გაგი გურული**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

## კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ინგლისი. პრემიერლიგა. მე-19 ტური
23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 002 | ლივერპული-არსენალი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 003 | ჩარლტონი-ევერტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 004 | ჩელსი-ბრედფორდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 005 | ჩელსი-ბრედფორდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 006 | დერბი-ნიუკასლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 007 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 008 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 009 | მანჩესტერი-იფსვიჩი | 1,35 | 3,3 | 8,0 |
| | 010 | მანჩესტერი-იფსვიჩი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 011 | სანდერლენდი-სიტი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 012 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1,35 | 4,0 | 6,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 24-ე ტური
23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 015 | ბირმინგემი-ქუინზ პარკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 016 | ბირმინგემი-ქუინზ პარკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 017 | ბარნლი-ბოლტონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 018 | ქრიუ-ფულემი | 4,4 | 3,2 | 1,65 |
| 19.00 | 019 | ნორვიჩი-ბარნსლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 020 | პორტსმუთი-შეფილდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 021 | პრესტონი-გრიმსბი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 022 | პრესტონი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 023 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 024 | ტრანმერი-უიმბლდონი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 025 | უოტფორდი-ჰადერსფილდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 026 | ვესტ ბრომვიჩი-ნოტინგემი | 2,0 | 3,0 | 3,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 22-ე ტური
23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 030 | უიგანი-სტოკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 031 | ბორნმუთი-მილუოლი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 032 | ბრენტფორდი-ოლდემი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 033 | ბერი-სუინდონი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 034 | ნოტსი-რექსემი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 035 | პიტერბრო-ნორთჰემპტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 036 | რედინგი-ლუტონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 037 | რედინგი-ლუტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 038 | უოლსოლი-კემბრიჯი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 039 | უიკომბი-სუონსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 22-ე ტური
23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | კარდიფი-მაკლსფილდი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 045 | დარლინგტონი-ლინკოლნი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 046 | ჰალიფაქსი-პლიმუთი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 047 | ჰარტლპული-ბარნეტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 048 | ჰალი-კიდერმინსტერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 049 | ლეიტონი-როჩდეილი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 050 | სკანთორპი-ჩელტენემი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 051 | ტორკი-ჩესტერფილდი | 3,2 | 3,1 | 2,0 |

### იტალია. სერია A. მე-12 ტური
23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 054 | ატალანტა-ინტერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 055 | ბრეშა-ლეჩე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 056 | ფიორენტინა-ვერონა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 057 | მილანი-პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 058 | მილანი-პერუჯა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 059 | ნაპოლი-პარმა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 18.00 | 060 | რეჯინა-ვიჩენცა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 061 | უდინეზე-ბოლონია | 1,9 | 2,8 | 4,2 |

### იტალია. სერია B. მე-17 ტური
23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 062 | კალიარი-სიენა | 1,4 | 3,3 | 7,5 |
| 18.00 | 063 | კიევო-ვენეცია | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 064 | ჩიტადელა-სალერნიტანა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 065 | კროტონე-ჯენოა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.00 | 066 | ემპოლი-მონცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 067 | პისტოიეზე-კოზენცა | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 068 | რავენა-ანკონა | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 069 | სამპდორია-პიაჩენცა | 1,85 | 2,5 | 4,7 |
| 18.00 | 070 | ტორინო-პესკარა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 071 | ტრევიზო-ტერნანა | 2,4 | 2,4 | 3,4 |

### იტალია. სერია C1/ა. მე-16 ტური
23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 072 | არეცო-ლუმეცანე | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 17.30 | 073 | კარარეზე-ალესანდრია | 1,55 | 3,0 | 7,0 |
| 17.30 | 074 | კომო-სპეცია | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 075 | ლივორნო-ალძანო | 1,55 | 2,9 | 7,5 |
| 17.30 | 076 | ლუკეზე-ალბინოლეფე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 077 | მოდენა-ბრეშელო | 1,35 | 3,6 | 8,0 |
| 17.30 | 078 | რეჯანა-პიზა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 079 | სპალ-ჩეზენა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 080 | ვარეზე-ლეკო | 1,8 | 2,6 | 5,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია C1/ბ. მე-16 ტური** | | | |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 17.00 | 082 | ტორესი-ასკოლი | 2,3 | 2,4 | 3,5 |
| 17.30 | 083 | აველინო-დი სანგრო | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 084 | ბენევენტო-ატლეტიკო | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 17.30 | 085 | კატანია-ფ.ანდრია | 1,4 | 3,2 | 8,0 |
| 17.30 | 086 | ფერმანა-ვიტერბეზე | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 17.30 | 087 | ლოდიჯანი-პეზარო | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 17.30 | 088 | პალერმო-ნოჩერინა | 1,55 | 2,8 | 7,0 |
| 17.30 | 089 | სავოია-მესინა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| | | **ბელგია. მე-2 დივიზიონი. მე-18 ტური** | | | |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 090 | სტრომბეკი-მოლენბეკი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 22.30 | 091 | გეელი-ტურნჰაუტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 092 | ინგელმუნსტერი-მაასლანდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 093 | რუზელარე-ლომელი | 4,7 | 3,1 | 1,65 |
| | | **თურქეთი. მე-18 ტური** | | | |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 15.30 | 099 | იოზგათი-ბეშიქთაში | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 15.30 | 100 | გაზიანთეფი-ბურსა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 101 | გაზიანთეფი-ბურსა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 16.00 | 102 | ანთალია-იეთფა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 21.00 | 103 | გალათასარაი-დენიზლი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 104 | გალათასარაი-დენიზლი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **შოტლანდია. 22-ე ტური** | | | |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 105 | დანდი-აბერდინი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 106 | დანფერმლაინი-კილმარნოკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 107 | ჰართსი-დანდი იუნაიტედი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 108 | ჰართსი-დანდი იუნაიტედი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 109 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 110 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 111 | სენტ ჯონსტონი-მოზერუელი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 112 | სენტ მირენი-სელტიკი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | | **პორტუგალია. თასის მე-5 ეტაპი** | | | |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 113 | ლეცა-ფარენსე | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | | **კალათბურთი** | | | |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 04.30 | 811 | ატლანტა-ინდიანა | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 04.30 | 812 | შარლოტი-სან ანტონიო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 813 | დეტროიტი-ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 814 | ნიუ ჯერსი-მაიამი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 04.30 | 815 | ორლანდო-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 816 | მინესოტა-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 817 | ჰიუსტონი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 818 | მილუოკი-ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 06.00 | 819 | ფინიქსი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.00 | 820 | პორტლენდი-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.30 | 821 | კლიპერსი-ვანკუვერი | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 07.30 | 822 | საკრამენტო-სიეტლი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | | **25 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 823 | ინდიანა-ორლანდო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 01.30 | 824 | ლეიკერსი-პორტლენდი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 906 | რეინჯერსი-ნეშვილი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 22.00 | 907 | ფილადელფია-კაროლინა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 23.00 | 908 | ოტავა-ჩიკაგო | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 909 | ბოსტონი-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.00 | 910 | ბუფალო-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 911 | მონრეალი-ტორონტო | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.00 | 912 | აილენდერსი-კოლუმბუსი | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 04.00 | 913 | ვაშინგტონი-ფლორიდა | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.30 | 914 | პიტსბურგი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 915 | ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 05.00 | 916 | სენტ ლუისი-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 07.00 | 917 | კოლორადო-ვანკუვერი | 1,6 | 4,0 | 3,0 |

**28 დეკემბრიდან 5 იანვრამდე საშობაო-საახალწლო არდადეგებთან დაკავშირებით კროკო არ იმუშავებს**

*მუშაობის ბოლო დღე - 27 დეკემბერი*

*მუშაობის განახლების პირველი დღე - 5 იანვარი*

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## საქართველოს ჩემპიონატი

# ანონსი

| | |
|---|---|
| | 24 დეკემბერი. ვერის ბაღი. 11.00<br>ვითა — შევარდენი |
| 23 დეკემბერი. ვერის ბაღი. 12.00<br>სსუ — თსუ | 24 დეკემბერი. ვერის ბაღი. 12.45<br>დინამო — სტუ |
| 23 დეკემბერი. ვერის ბაღი. 13.45<br>მაკაბი — შევარდენი | 24 დეკემბერი. ვერის ბაღი. 14.30<br>აზოტი — სსუ |
| 23 დეკემბერი. ვერის ბაღი.15.30<br>აზოტი — ვითა | 24 დეკემბერი. ვერის ბაღი. 16.15<br>მაკაბი — თსუ |

# საუკუნის ბოლო ინტრიგა

**პირდაპირ** ვთქვათ და, ვფიქრობთ, საკამათოც არაფერია: ეს უქმეები უდავოდ გამოსარჩევია სხვათაგან და ამის ორი მიზეზი არსებობს. ერთი, რომ დღესხვალ მეორე წრის, წლისა და და მეოცე საუკუნის ბოლო მატჩები გაიმართება. მერე კიდევ, მიმდინარე ჩემპიონატის ინტრიგამ კულმინაციას უწია.

სწორედ რომ ასეა. ამ შაბათ-კვირას, გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, ის ექვსი გუნდი უნდა გამოვლინდეს, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. „ბასკოს“, „აზოტს“, სტუ-სა და „მაკაბის“, რომელთაც უკვე განაღდებული აქვთ ელიტაში ყოფნა, ორი გუნდიც უნდა დაემატოს. ამ უფლების მოსაპოვებლად კი ერთბაშად ოთხი კლუბი იღვწის — „დინამო“, თსუ, „შევარდენი“ და „ვითა“.

გადავხედოთ მეტოქეთა შანსებს და აღმოვაჩენთ, რომ ექვსეულში შეღწევა ყველაზე მეტად თსუ-ს ხელეწიფება. უმთავარმწვრთნელოდ დარჩენილი საუნივერსიტეტო გუნდი დღეს ბოლოადგილოსან სსუ-ს ეთამაშება და, ცხადია, ორი ქულა უნდა ვიწინასწარმეტყველოთ. სოხუმელებთან მოგებით თსუ-ს 22 ქულა მოუგროვდება და კვირას „მაკაბისთან“ რომც წააგოს, უშუალო მოცილეთათვის მაინც მიუწვდომელი იქნება.

რაკი თსუ-სსუ-ს მატჩში ყოველგვარი სენსაცია გამოვრიცხეთ, გამოდის, რომ ამთავითვე ექვსეულში დავიგულოთ უნივერსიტეტელები. მაშასადამე, ვაკანტური ერთი ადგილია, რომელზედაც დანარჩენი სამი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. აი, მათი საკითხი კი გაცილებით ბუნდოვანია.

„დინამოს“ მარაგში ერთი შეხვედრაღა აქვს და ისიც მესამეადგილოსან სტუ-სთან. ამ მატჩში, ვფიქრობთ, წასაგებადაა განწირული ლევან მოსეშვილის გუნდი, რადგან სტუ ყველა ღონეს იხმარს, რომ თავის შვილობილ „ვითა“-სტუ2-ს ექვსეულისკენ გზა გაუკვალოს. დინამოელთა გამარჯვების შემთხვევაში, „ვითას“ მაინც რჩება შანსი, თუმც ძალიან გაცრეცილი — წულაძის გუნდმა „შევარდენსაც“ უნდა მოუგოს და „აზოტსაც“, რაც, დამეთანხმებით, ძნელი წარმოსადგენია.

„შევარდენისთვის“ „მაკაბისთან“ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ გუნდმა ღლევანდელი მატჩი აუცილებლად უნდა მოიგოს, რადგან წაგების შემთხვევაში მთლიანად „დინამო“-სტუ-ს შედეგზე იქნება დამოკიდებული. დავუშვათ, მეორე დღეს „დინამომ“ სტუ-ს სძლია, მაშინ „მაკაბისთან“ დამარცხებული „შევარდენი“ განზე დარჩება.

ერთი სიტყვით, „დინამოს“ მოგება სტუ-სთან შესაძლოა „ვითასთვისაც“ და „შევარდენისთვისაც“ დამღუპველი აღმოჩნდეს. და თუ მოსეშვილის გუნდმა წააგო, მაშინ ყველაფერს კვირა დღის „ვითა“-„შევარდენი“ გადაწყვეტს. თუ ამ მატჩში „ვითამ“ იძალა, წინა დღეს კი „შევარდენი“ „მაკაბისთანაც“ დამარცხდა, ექვსეულში სწორედ „ვითა“ ამოყოფს თავს, რადგან სტუ-სთან სავარაუდოდ წაგებულ „დინამოს“ წულაძის გუნდი ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლით გაუსწრებს.

დაგვრჩა კიდევ ერთი ვარიანტი, რომლის შედეგადაც სამივე გუნდს თანაბარი ქულები დაუგროვდება. სტუ-სთან წაგებულ „დინამოს“ 21 ქულა ექნება, ამდენივეს დააგროვებს „შევარდენი“, თუ „მაკაბის“ მოუგო და „ვითასთან“ დამარცხდა. მათ გაუთანაბრდება „აზოტთან“ წამგები და „შევარდენის“ დამმარცხებელი „ვითაც“.

ვის ერგება ამ შემთხვევაში ექვსეულის თამაშის პატივი? ამას ჩვენ წინასწარ ვერ განვჭვრეტთ, რადგან არ ვიცით, „ვითა“ — „შევარდენი“ როგორ დამთავრდება. სამივე გუნდის თანაბარქულიანობის შემთხვევაში მეტოქეთა ურთიერთშეხვედრები, ჩაგდებულ-გაშვებულ ბურთთა ბალანსი დაჯამდება და ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც ამის შემდეგ მოეფინება ნათელი.

მოკლედ ასე, გვარიანად ჩახლართული საქმეა და ამაზე მეტად არც ღირს სალაპარაკოდ. ესოდენი ინტრიგა რომ არა, არც თქვენ შეგაწუხებდით ზედმეტად. თუმცა რა, ექვსეულის ბედი წყდება, ხუმრობა ხომ არ არის...

ჩვენც ისღა დაგვრჩენია, ათასწლეულის ბოლო ანონსს მომავლის იმედით დავუსვათ წერტილი. დამდეგი შობა-ახალწელიწადი და კარსმომდგარი ოცდამეერთე საუკუნე ჩვენი კალათბურთის წინსვლის საწყისი ყოფილიყოს.

**გიორგი გიძაყმილი**



პირველი წრის შევარდენი — მაკაბი 75:73. გიორგი ჩხეიძეს (ბურთით) მაკაბელი დიდიე დაჩუმი გადაელობა

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიამ ლამის იხსნა...

21 დეკემბერი

**მილუოკი 80:78 ნიუ ჯერსი**

**მილუოკი:** კასელი (14), ალენი (16), რობინსონი (13 ქულა, 11 მოხსნა), კეფი (11 ქულა, 11 მოხსნა), პოუპი (3); ტომასი (16), ჰანტერი (5), ს. ვილიამსი (2), ჯონსონი, კერსი, ალსტონი

**ნიუ ჯერსი:** მარბერი (12), დუგლასი (10), გილი (8), მარტინი (10), ა. ვილიამსი (11); ჰარისი (12), სტეფანია (7 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი), ჯეკსონი (6), ემმეიერი (2), ნიუმენი, მაკილვეინი



მილუოკი — ნიუ ჯერსი. მილუოკელმა ტიმ ტომასმა ევან ეშმეიერი გადათამაშა

ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსი ნეთსმა“ მორიგი შეხვედრა წააგო. ამაში განსაკუთრებული არაფერია, „ნეთსი“ აუტსაიდერია და მის მარცხს სასწაულად არავინ აღიქვამს. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, მოეგო, თუმც რომ წააგო, ამაში „ბადეების“ ქართველ ლეგიონერს ვერავინ დაადანაშაულებს. პირიქით, ვოვამ ყველაფერი გააკეთა მოსაგებად და ტყული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ნიუ ჯერსის“ რიგებში და იქნებ მთლიანად პროფესიულ კარიერაში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. არ ვაჭარბებთ, ჩვენებურს 7 ქულაზე მეტი არაერთხელ ჩაუგდია და არც 5 მოხსნაა მისი შესაძლებლობების ზღვარი, მაგრამ თავისი გუნდისთვის იმდენი სარგებელი მაინც არ მოუტანია, რამდენიც ხუთშაბათს საღამოს „მილუოკისთან“ შეხვედრაში.

თანმიმდევრობით მივყვეთ. „ნიუ ჯერსიმ“ საშინლად დაიწყო, აღმავლობის გზაზე მდგარი „მილუოკი“ პირველივე წუთებიდან ბეჯითად შეუდგა მის რბევას. განსაკუთრებით არავინ გამოირჩეოდა, მასპინძლები ერთობლივად, გუნდურ თამაშში ჩაგრავდნენ უხეირო მეტოქეს და უკვე საწყისი თორმეტწუთეულის შემდეგ რვა ქულის სხვაობით, 25:17 იგებდნენ. მეორე მეოთხედში „ნეთსი“ კიდევ უფრო ჩამორჩა. მასპინძლებმა ამ დროს სტუმრები ოდენ 12 ქულას დააჯერეს, თავად კი 26-ს მოუყარეს თავი და მოწინააღმდეგესთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდეს. მომდევნო, მესამე თორმეტწუთეულს არც ერთი გუნდისთვის არაფერი მოუტანია. „მილუოკი“ თავს ქუდში გრძნობდა და ძალებს ზოგავდა. ისეთი პირი უჩანდა, „ნიუ ჯერსი“ 23-ქულიანი დეფიციტის აღმომფხვრელი არ იყო და მილუოკელები ერთმანეთს წინასწარ ულოცავდნენ გამარჯვებას. გუნდებმა ბოლო, თითქოსდა არაფრისმთქმელ მეოთხედში 70:47 ანგარიშით შეაბიჯეს. თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო და როგორც ჩანს, ასე თვლიდა სტუმართა თავკაცი ბაირონ სკოტიც. მან სასტარტო ხუთეული მთლიანად შეცვალა, „ნაჯაფარი“ ძირითადები „დაასვენა“ და მოედანზე სათადარიგოებს, მათთან ერთად სტეფანიასაც უხმო. მათგან სასწაულს არავინ ელოდა და, ალბათ, ვერც სტეფანია იფიქრებდა, რომ რაიმე განსაკუთრებულს მოიმოქმედებდა.

დაიწყო მეოთხე მეოთხედი. ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ სტუმართა სათადარიგოებს თამაში წაუვიდათ, ვეება სხვაობამაც თანდათან იკლო. თავიდან ჩვენებურმა ოდნავ მღელვარედ დაიწყო და საწყის ორ წუთში ორი პერსონალურიც მიიღო. სკოტი მას ბოლომდე ენდო, შანსი მისცა და ვოვამაც სრულიად გაუმართლა. მეოთხედის შუაწელში მან თანაგუნდელი ჯეკსონის აცილებული სამქულიანი მოხსნა, იქვე დაამატა და სხვაობა რვა ქულამდე დაიყვანა — 70:62 (შენიშნეთ, მილუოკის“ ექვს წუთში ქულა არ ჩაუგდია). როგორც ჩანს, ამ ბურთმა ქართველს საკუთარი თავის რწმენა შემატა და ლამის გუნდის წამყვან მოთამაშედ აქცია. ჩვენებური ფარქვეშ ყოჩაღად ირჯებოდა, მან მეტოქის ფარზე ხუთიდან სამი ბურთი მოხსნა, რითაც თავის გუნდს გვარიანად შეეშველა. შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე საშუალო მანძილიდან იმარჯვა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა — 72:71, ერთი წუთის შემდეგ კი კაუჭით ბურთს მეტოქის კალათში მიუჩინა ადგილი, შეხვედრაში პირველად გაათანაბრა ანგარიში — 74:74 და ისედაც გაოგნებული ათასობით მილუოკელი ქომაგი სულ დაადუმა. ქართველმა ლამის იხსნა, ფაქტობრივად, წაგებული თამაში, მან ლომის წილი დაიდო მეოთხედის 31:10 მოგებაში, თუმც მისი გუნდი მარცხს მაინც ვერ ასცდა. სტეფანიას ბოლო ჩაგდების შემდეგ მეტოქე გამოცოცხლდა და წუთნახევრიანი მონაკვეთი 4:1 მოიგო. ბოლო წუთზე ქართველი შეცვალეს კიდეც, მაგრამ სტუმრებს მაინც მიეცათ შეხვედრის ხსნის შანსი. 5,9 წამით ადრე „ნეთსის“ ლიდერმა სტივენ მარბერიმ, რომელსაც მანამდე ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, სამქულიანი ჩააგდო და 78:78 გაათანაბრა. ყველა ელოდა, რომ შეხვედრა ოვერტაიმში გაგრძელდებოდა, მაგრამ დარჩენილი დრო მასპინძელ რეი ალენისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა მოედანი დრიბლინგით გადაეჭრა და ზედ საფინალო სირენასთან ერთად გამარჯვების ბურთი ჩაეგდო.

„ნიუ ჯერსიმ“ ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგო, თუმც სკოტს შეგირდებზე, განსაკუთრებით სათადარიგოებზე, რომელთაც ერთი დღის წინ გუნდიდან გაყრით ემუქრებოდა, ამჯერად ცუდი არაფერი დასცდენია. პირიქით, შეაქო კიდეც ისინი და თქვა, ბედმა გვიმტყუნაო.

ჩვენ საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ სტეფანიამ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა სასტარტო ხუთეულისკენ. მილუოკური გადასახედიდან ეს არც ისე შორს ჩანს, თან „ნიუ ჯერსის“ ხომ ხეირიანი ცენტრი არცა ჰყავს.

„ნიუ ჯერსი“ მომდევნო შეხვედრას შინ, „მაიამისთან“ 23 დეკემბერს გამართავს, აქ კი ვოვას სერიოზული გამოცდა ელის. „მაიამის“ არ ჰყავს ალონზო მურნინგი, მაგრამ იქ თამაშობს ბრაიან გრანტი. ტანხმელი ქართველი ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე ჯანიან მეფარეს შეებმება, ვნახოთ...

**ნიუ იორკი 86:92 ბოსტონი**

**ნიუ იორკი:** რაისი (32), სპრიუელი (19)

**ბოსტონი:** პირსი (31), უოლკერი (23 ქულა, 15 მოხსნა)

**ჰიუსტონი 94:99 ლეიკერსი**

**ჰიუსტონი:** ტეილორი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (45), ონილი (25 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი)

**ორლანდო 99:88 ჩიკაგო**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (31), გარიტი (19), არმსტრონგი (18)

**ჩიკაგო:** მერსერი (25), ბრენდი (19 ქულა, 10 მოხსნა)

„ჰიუსტონს“ სულ ცოტა დააკლ... ჩემპიონი „ლეიკერსის“ გასამწარებლად... დღეს არც „ლეიკერსის“ ჩავარდნა ... ცებთ და არც კობი ბრაიანტის 45 ქუ... ლა. ბრაიანტი ნბა-ში თავის მეხუ... და საუკეთესო სეზონს ატარებს, ბომ... ბარდირთა დავაშიც პირველობას არა... ვის უთმობს, თუმც ჩემპიონები ჩემპი... ონურად ნამდვილად არ გამოიყურები... ან. კობიმ თვით შაკილ ონილი, ... სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, და... რდილა და გუნდის მოტორად ქცე... ლმა არცთუ საუკეთესო ფორმაში მყო... თავის გუნდს უკვე მერამდენედ ლამ... მარტომ მოუტანა მორიგი გამარჯვება... კობის ქება-დიდებას უკვე აღარც მის... დამრიგებელი ფილ ჯეკსონი ერიდებ... რომელიც არც მანამდე ამადლიდა ყმა... წვილ შეგირდს კეთილ სიტყვას ... მას ნიჭიერ, მაგრამ ჩამოუყალიბებე... მოთამაშედ მოიხსენიებდა, დღეს... ობით კი: „კობი ლიგის უძლიერე... უკანახაზელია“ — ამბობს ჯესონი...

„ბოსტონ სელტიქსმა“ ნიუ იორკ... უცნობილეს „მედისონ სკვერ გარდე... ნში“ ბოლოს მაშინ მოიგო, როცა პო... პირსი სკოლის მერხს უჯდა, დღე... პირსი დაჩიავებული „ბოსტონის“ ლი... დერია, იგი ურიგო კალათბურთელი ნა... მდვილად არ გახლავთ, თუმც ნიუ იო... რკში „ბოსტონის“ გამარჯვება და პი... რსის გაბრწყინება ერთგვარი მოულო... დნელობაა. იმ დღეს იგი შეუჩერებელი... იყო განსაკუთრებით მატჩის შუაწელ... როდესაც ფაქტობრივად გადაწყდა შე... ხვედრის ბედი. ბოლო მეოთხედის ... წურულს პირსმა ერთი მონაკვეთი „სე... ლტიქსს“ 9:0 მოაგებია, მესამეს და... წყისში კი მარტომ მიითვალა ზედ... ზედ შვიდი ქულა, რის შემდეგაც „ბო... სტონი“ 14 ქულით მოსწყდა მეტოქ... და ლიდერობა აღარც დაუთმია.

კიდევ ერთი სენსაცია მწიფდებო... ორლანდოში, სადაც იქაურმა „მეჯ... ქმა“ პირველი მეოთხედი პირწმინდ... წააგო ლიგის უსუსტეს გუნდ „ჩი... გოსთან“. მასპინძლებმა დროზე უშვე... ლეს თავს. ტრეისი მაკგრეიდიმ სტუ... მრებს სულ ბღლვირი აღინა და თავ... სიანები შერცხვენას გადაარჩინა.

**ირაკლი ფირყმილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვა მურათ წინასწარმეტყველმა... მოიგეთ ბრკიჩისთვის!

## სუპროლიგა

SuproLeague

ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 20-21 დეკემბერი

### A ჯგუფი

**ვილერბანი 72:80 ცსკა**

ვილერბანი: ბილბა (5), ბლომი (3), ფრიგუ (4), ჰოფმანი, ლონგი (14), პაშუტინი (16), პლუვი (11), სკიარა (12), სტივენსი (7)
ცსკა: ალანოვიჩი (6), დომანი (5), ეინიკისი (11), ფეტისოვი (20), კირილენკო (11), კუდელინი, ლარუ (14), მორგუნოვი, პადიუსი (2), პეტრენკო (11)

**რაანანა 68:82 პანათინაიკოსი**

რაანანა: გუდესი (11), გრინი (10), იცხაკი (6), კანტორი (4), მაკარტი (15), სელტერსი (11), სავანოვიჩი (4), სტანოევიჩი (7)
პანათინაიკოსი: ალვერტისი (8), ბალოიანისი, ბოდიროგა (22), ბერკი (17), ფოცისი (6), ჯენტილე, კალაიძისი, დ. მიდლტონი (8), როჯერსი (21)

**სპლიტი 83:80 ლიეტუვოს რიტასი**

სპლიტი: ბადჟიმი (7), გრეგოვი (2), გრგურევიჩი (15), ლენდი (13), პოლიაკი (2), რენჩერი (7), სუბოტიჩი (4), ვუიჩიჩი (23), ჟიჟიჩი (10)
ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (9), გედრაიტისი (9), გრანტი (11), იარუტისი, რ. იავტოკასი (11), კაზლაუსკასი (4), მასიაუსკასი (13), შესტოკასი (9), შიშკაუსკასი (14), სლეზასი

**ულქერი 68:73 სიენა**

ულქერი: ერდენაი (7), ერდოგანი (8), გოლიოვიჩი (7), გონლუმი, გიულერი (4), ჰენდლოგტენი (24), ლოლისი (13), სარიჯა (3), ილდირიმი (2)
სიენა: ალბერტი (2), ბუსკა (11), კიაჩიგი (7), ბ. ევანსი (10), გორენცი (9), გრეი (6), მეისი, როუენი (22), სკარონე (6)

**ალბა 86:78 ცეპტერი**

(ძირითადი დრო 73:73)

ალბა: ალექსისი (17), გარისი, კოტუროვიჩი (27), ოზთურქი (6), პაპიჩი (2), ფელსი (8), როდლი (10), შულცე, ტომიჩი (14), ტორვარტი (2)
ცეპტერი: ადომაიტისი (14), ავლიაში (7), ბაიერი, ციელებაკი (3), ჯემისონი (6), კოსციუკი (5), მიგლინიეკსი (7), ტომჩიკი (9), ვოიციკი (19), ზიელინსკი (8)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 6 | 2 | 640:594 | 14 |
| ულქერი | 8 | 5 | 3 | 636:609 | 13 |
| ვილერბანი | 8 | 5 | 3 | 598:588 | 13 |
| სპლიტი | 8 | 5 | 3 | 623:606 | 13 |
| პანათინაიკოსი | 8 | 5 | 3 | 655:594 | 13 |
| ალბა | 8 | 4 | 4 | 641:626 | 12 |
| ცეპტერი | 8 | 4 | 4 | 647:646 | 12 |
| რაანანა | 8 | 3 | 5 | 586:623 | 11 |
| ლიეტუვოს რიტასი | 8 | 2 | 6 | 659:714 | 10 |
| სიენა | 8 | 1 | 7 | 576:661 | 9 |

### B ჯგუფი

**ირაკლისი 92:85 მაკაბი**

ირაკლისი: ხაძივრეტასი (16), ხრიზანტოპულოსი, ჰუპმანი (7), კამარიოტისი (4), კარაგუტისი (18), კარასიოვი (21), მარკოპულოსი, ნაკიჩი (9), პაპადოპულოსი (10), პაპაიოაკეიმი (7)
მაკაბი: ბრისკერი (16), ბურშტეინი, ჩურჩიჩი (7), ჰენფელდი (12), ჰაფმანი (6), მაკდონალდი (5), პარკერი (22), შარფი (17)

**სკავოლინი 82:80 ეფესი**

სკავოლინი: ბუკერი (14), გიგენა (14), ჯონსონი (13), მაჯოლი (8), მანიფიკო (5), ლ. მიდლტონი (7), პეჩილე, ტრაინა (3), ტუშეკი (10), ძანელი (8)
ეფესი: ბეშოქი (2), ბიბო, პ. დრობნიაკი (22), მულაომეროვიჩი (16), ოქური (16), ონანი, შჩეპანოვიჩი (18), ილმაზი (6)

**პლანია 88:87 ოსტენდე**

პლანია: აულანდერი (7), ფრედრიკსონი (3), ლუნდალი (5), ნიკოლასი (2), პარნი (22), პატიეიუნასი (10), პეტერსონი (10), რონდალი, ტომასი (29)
ოსტენდე: ბეგინი (2), ბიგსი (13), დოილი (6), ჰოლდენი (19), კულამი (18), პრაშკევიჩუსი (22), ვან დენ შპიგელი (7)

**კრკა 73:77 პო ორტეზი**

კრკა: ანზულოვიჩი (4), არაპოვიჩი (16), ჩაპინი (6), დევისონი (16), დონჩიჩი (4), დ. დრობნიაკი (9), გრუმი (14), იევტოვიჩი (2), შჩეკიჩი (2), ტარანიში
პო ორტეზი: კარი (16), დიავი (3), დიუბო (5), ესტელერი (24), დ. გადუ (5), ლოუსონი (5), მურეშანი (15), პერიაკი, ფ. პიეტრუსი (4), მ. პიეტრუსი

**პარტიზანი 108:99 ბაიერი**

პარტიზანი: ბერიჩი (31), ბულატოვიჩი (3), ჩანაკი (20), გლინტიჩი (2), მარკოვიჩი (14), მილისავლიევიჩი (18), პეტროვიჩი (14), ვარდა
ბაიერი: ჩ. ევანსი (15), გისეკი, გნადი (19), ჰანსენი (22), ჰენიაკი (2), ჰაჩისონი (6), კოვაჩევი (2), ლოხმანჩუკი (24), ვებერი (9)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 8 | 6 | 2 | 706:635 | 14 |
| პარტიზანი | 7 | 6 | 1 | 591:560 | 13 |
| ოსტენდე | 8 | 5 | 3 | 677:665 | 13 |
| სკავოლინი | 8 | 4 | 4 | 661:624 | 12 |
| ირაკლისი | 8 | 4 | 4 | 674:681 | 12 |
| ეფესი | 7 | 4 | 3 | 548:530 | 11 |
| პო ორტეზი | 8 | 3 | 5 | 619:640 | 11 |
| კრკა | 8 | 3 | 5 | 601:621 | 11 |
| ბაიერი | 8 | 2 | 6 | 710:752 | 10 |
| პლანია | 8 | 2 | 6 | 600:679 | 10 |

**სტამბოლის** „ულქერს“ მართლა ჭკვიანი მწვრთნელი ჰყავს. მურათ დიდინი რიგიანი სპეციალისტია, გუნდის მომზადებისა და თამაშის წაყვანის გარდა, მოვლენების წინასწარ განჭვრეტაც შეუძლია.

ორშაბათს მურათ ბეიმ სუპროლიგის და თურქეთის ჩემპიონატის ცხრილებს ჩახედა და აღმოაჩინა, რომ მისი „ულქერი“ ორივეგან პირველ ადგილზეა. მერე მოთამაშეებს გადახედა და აღმოაჩინა, რომ წარმატებამ ისინი, ცოტა არ იყოს, გააყოყოჩა. მიხვდა ის კაცი ყველაფერს და ორშაბათიდანვე ალაპარაკდა: „ხუთშაბათს სუპროლიგაში „სიენას“ ვხვდებით. აუცილებლად წავაგებთ, რადგან მოთამაშეებს მოტივაცია დაკარგული აქვთ. ვცდილობ, ისინი დავარწმუნო, რომ სერიოზული მომზადება ნებისმიერი მატჩისთვის საჭიროა, მაგრამ არაფერი გამომდის“. მწვრთნელი ამას ყოველდღე იმეორებდა, მაგრამ ვინ ათხოვა ყური: „ულქერი“ მორიგი გამარჯვების მოლოდინში იყო.

წესით, რა ჰქონდათ სტამბოლელებს სანერვიულო? თავად კარგ ფორმაში იყვნენ, ხოლო „სიენას“ სუპროლიგაში თამაში არ მოეგო. „ულქერს“ ევროპული საზომით კარგი კალათბურთელები ჰყავს, „სიენას“ — არავინ გამორჩეული. ერთი სიტყვით, ხუთშაბათი მოვიდა და გუნდები მოედანზე გამოვიდნენ.

„ულქერმა“ კარგად დაიწყო და მეშვიდე წუთზე 24:11 იგებდა. ტრადიციულად, ამერიკელი ცენტრი ბენჯამინ ჰენდლოგტენი მძლავრობდა. ფარზე მას თვისტომი კვადრე ლოლისი (13 მოხსნა) მიეხმარა. ამ ორის წყალობით „სიენას“ ცენტრი რობერტო კიაჩიგი თავიდან დაიჩაგრა.

უეცრად, ულქერელთა შეტევები დაჩლუნგდა, ხოლო სიენელებმა ჩაგდებას მოუხშირეს და შვიდწუთიანი მონაკვეთი 18:3 მოიგეს. მე-14 წუთზე წინ უკვე იტალიური გუნდი იყო — 29:27.

მასპინძლებმა მოახერხეს პირველი ტაიმის მოგება (41:35), მაგრამ შესვენების შემდეგ მათი თამაში მოიშალა. „ულქერს“ შეტევაში არაფერი გამოსდიოდა, ხოლო დაცვა მთლად გაერღვა. „სიენას“ ირლანდიელი ფორვარდი, 37 წლის რონ როუენი შეუჩერებელი იყო. მან და ამერიკელმა ფორვარდმა ბრაიან ევანსმა დაარბიეს მასპინძელთა კალათი და თავიანთ გუნდს მესამე მეოთხედი 21:10 მოაგებინეს. ულქერელი ჰენდლოგტენი კი ლამის უსაქმოდ იყო: თანაგუნდელებმა ბურთი ხეირიანად ვერ მიაწოდეს.

დასკვნით მეოთხედში „ულქერი“ ზონურ დაცვაზე გადავიდა და ერთ ქულამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა (67:66). მხოლოდ კარგი დაცვა საკმარისი არ აღმოჩნდა: სტამბოლელებმა ბევრი სროლა გააცუდეს. „სიენას“ კი როუენი ჰყავდა, რომლის მონდომებამაც იტალიელებს სუპროლიგაში ზედიზედ შვიდი წაგების შემდეგ პირველად გაამარჯვებინა. „ულქერი“ კი შინ ბოლოს 2000 წლის 9 თებერვალს დამარცხდა (ზაგრების „ციბონასთან“, 71:72).

სუპროლიგაში თურქულ-იტალიური დაპირისპირება ოთხშაბათს დაიწყო პეზაროში, სადაც „სკავოლინიმ“ სტამბოლის „ეფესს“ უმასპინძლა. თურქებს არ ჰყავდათ ტრავმირებულები, უკანაზაზელი ქერემ თუნჩერი და ფორვარდი მირსად თურქჯანი, მაგრამ მატჩი მათი უპირატესობით დაიწყო. „ეფესი“ ერთხანს 19 ქულით იგებდა: მულაომეროვიჩი, შჩეპანოვიჩი და პრედრაგ დრობნიაკი უშეცდომოდ ესროდნენ. ტაიმიც სტამბოლელთა უპირატესობით დასრულდა (48:37).

მეორე ტაიმში „ეფესმა“ კიდევ უფრო მოუმატა და „სკავოლინის“ თითქოს აღარაფერი უშველიდა. მოულოდნელად, სტუმრებმა აურიეს, რამდენიმე ბურთი დაკარგეს, ხოლო მასპინძლებს ძალა მიეცათ, რაც ქულებში გარდასახეს: გიგენამ და ძანელიმ სამქულიანები ჩააგდეს, მაჯოლიმ 24 წამის გასვლასთან ერთად შედეგიანად დაასრულა გარღვევა, ხოლო იმავე გიგენამ თავისივე მოხსნილი ბურთი ჩაუშვა კალათში. მესამე მეოთხედის ბოლოს „ეფესი“ სამ ქულასღა იგებდა — 60:57.

„სკავოლინის“ მწვრთნელმა პილასტრინიმ შერეული დაცვის ხერხს მიმართა: ოთხი მოთამაშე ზონაში ჩააყენა, ხოლო შჩეპანოვიჩს პერსონალურად მორიგეობით მეურვეობდნენ გიგენა და ძანელი. ეს უკანასკნელი შეტევისთვისაც იცლიდა და ზედიზედ ხუთი ქულა გააკეთა. მაჯოლიმ 62:62 გახადა, რასაც გიგენამ ეგრევე დაურთო სამქულიანი და „სკავოლინი“ პირველად დაწინაურდა. მალე ჯონსონმა დრობნიაკს მეხუთე პერსონალური მიაღებინა, ხოლო თავად ორ წუთში ექვსი ქულა მიითვალა. მასპინძლები რვა ქულით გაიჭრნენ წინ და, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ ბურთი დაკარგეს, მაინც გაიმარჯვეს.




პარტიზანი — ბაიერი. ნიკოლა ბულატოვიჩი (მარცხნივ) და ბაიერელი მაიკ ჰანსენი




ვილერბანი — ცსკა. ვლადან ალანოვიჩი (№10) და ვილერბანელი ლორან სკიარა

„მოიგეთ ბრკიჩისთვის!“ — მთელი თამაშის განმავლობაში გაჰკიოდა პირთამდე სავსე ბელგრადის „პიონირი“. „პარტიზანი“ — „ბაიერი“ წუთიერი დუმილით დაიწყო: კალათბურთელებმა პატივი მიაგეს წინა კვირაში მოკლულ „პარტიზანის“ უკანახაზელ ჰარის ბრკიჩს. ბელგრადელებმა ძალიან კარგად ითამაშეს და „ბაიერს“ ლოხმანჩუკი და გნადი რომ არ ჰყოლოდა, მეტი სხვაობით მოიგებდნენ. მატჩის საუკეთესო მოთამაშე პარტიზანელი მიროსლავ ბერიჩი იყო, რომელმაც 31 ქალასთან ერთად ხუთი პასიც გააკეთა. ამასთან, მესამე მეოთხედის ბოლოს ბერიჩმა ზედიზედ ათი ქულა გააკეთა და „პარტიზანი“ 78:63 დააწინაურა.

სალონიკის „ირაკლისმა“ სასწაული მოახდინა და შარშანდელი ევროლიგის ფინალისტი, თელ ავივის „მაკაბი“ შინ დამარცხებული გაისტუმრა. ტაიმის ბოლოს მაკაბელები 47:27 იგებდნენ, ხოლო მესამე მეოთხედის დამთავრებისას ცხრა ქულით იყვნენ წინ (64:55). მერე აიწყვიტა „ირაკლისის“ რუსმა ვასილი კარასიოვმა და ერთ წუთში ექვსი ქულა გააკეთა. პაპადოპულოსმა ხუთი პერსონალურით რიგრიგობით გაისტუმრა სათადარიგოთა სკამისკენ ჰაფმანი და ჩურჩიჩი. მალე მათი ბედი მაკდონალდმაც გაიზიარა. ბრისკერს, პარკერს და შარფს ოთხოთხი პერსონალური ჰქონდათ, ამიტომ ირაკლისელებს შეტევაში ხელ-ფეხი გაეხსნათ და ერთი მონაკვეთი 12:1 მოიგეს, თანაც პირველად მატჩში დაწინაურდნენ (67:65).

ამის შემდეგ „მაკაბიმ“ ერთხელ მოახერხა წინ გასვლა (ბრისკერი, 80:79), მერე კი ფრანკო ნაკიჩის ჯერი დადგა. „ირაკლისის“ 29 წლის ფორვარდმა ზედიზედ ორი სამქულიანით მეტოქე ფსიქოლოგიურად გატეხა, ხოლო თანაგუნდელებს რწმენა შემატა. მაკაბელები უთავბოლო სამქულიანების სროლაზე გადაერთვნენ, რამაც სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.

მოსკოვის ცსკა-მ დაიბრუნა ორი ტურის წინ დაკარგული ლიდერობა. ფრანგული „ვილერბანი“ მესამე მეოთხედის ბოლოს ათი ქულით უგებდა არმიელებს (60:50), მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. ფეტისოვმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, ლარუ ფარქვეშ შეიჭრა და დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე „ვილერბანი“ ერთი ქულითღა იყო წინ (63:62). ფრანგული გუნდის რუსმა ზახარ პაშუტინმა და ამერიკელმა ლონგმა კი იყოჩაღეს, მაგრამ ცსკა-მ 7:0 მოიგო მომდევნო ორწუთხანევრიანი მონაკვეთი და ვილერბანელებს საშობაო ზეიმი წაუხდინა.

სამაგიეროდ, ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ იმარჯვა მეორე ფრანგულმა გუნდმა, „პო ორტეზმა“. ნოვო მესტოს „კრკამ“, ასე თუ ისე, გადაჭრა პოელთა რუმინელი ცენტრის გეორგე მურეშანის პრობლემა, სამაგიეროდ ვერაფერი მოუხერხა ესპანელ როჯერ ესტელერს. თავი გამოიდო ამერიკელმა კორი კარმა, რომელმაც ბოლო ორ წუთში ცხრა ქულა შესძინა „პო ორტეზს“.

სუპროლიგაში ორკვირიანი არდადეგები გამოცხადდა. მოთამაშეები შობაახალ წელს იზეიმებენ და 4 იანვარს მოედნებს დაუბრუნდებიან.

**მერაბ რატიშვილი**

## ევროლიგა

Euroleague

ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 29-21 დეკემბერი

### A ჯგუფი

**ფორტიტუდო 81:66 ლუგანო**

**ზადარი 80:72 ესტუდიანტესი**

**ჟალგირისი 86:73 პერისტერი**

*სატურნირო მდგომარეობა: პერისტერი 14 ქულა, ფორტიტუდო 14, ესტუდიანტესი 12, ჟალგირისი 12, ზადარი 10, ლუგანო 10*

### B ჯგუფი

**შარლერუა 89:97 აეკ**

**პეტერბურგი 92:90 ციბონა**

**კინდერი 76:73 ტაუ**

*სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 15 ქულა, აეკ 14, ტაუ 13, ციბონა 11, პეტერბურგი 10, შარლერუა 9*

### C ჯგუფი

**რეალი 116:94 ოვარენშე**

**ჰაპოელი 76:104 ბენეტონი**

**ოლიმპიაკოსი 82:70 ოლიმპია**

*სატურნირო მდგომარეობა: ოლიმპიაკოსი 14 ქულა, ოლიმპია 14, ბენეტონი 13, რეალი 13, ჰაპოელი 10, ოვარენშე 8*

### D ჯგუფი

**ბუდუჩნოსტი 101:80 ლონდონ თაუერზი**

**სკაილაინერზი 73:80 პაოკ**

**ბარსელონა 96:84 მიულერი**

*სატურნირო მდგომარეობა: ბარსელონა 14 ქულა, ბუდუჩნოსტი 14, მიულერი 13, პაოკ 13, ლონდონ თაუერზი 9, სკაილაინერზი 9*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განაჩენის წინ და შემდეგ

ფოტოზე რომ დუეტია, იმ ხალხის რესტორანში ყოფნისა და მხიარული ღიმილის მიზეზი გაუგებარია: როგორც მოსალოდნელი იყო, სულ მალე ფრანგული ლილის სასამართლომ ბრუნო რუსელს (მარცხნივ) ერთი წელი ციხე და 50 ათასი ფრანკი ჯარიმა გამოუწერა, ვილი ვოეს შესაბამისად — 10 თვე და 30 ათასი. ხმაურიანი „ფესტინას საქმის" კიდევ ერთი ბრალეული, ველორბოლის მთების ლომი, რიშარ ვირანკი მოსამართლემ გაამართლა.








# ორი დრამა ყინულზე

*კოლუმბუსელმა ჯემი პუშორმა რომ ოტაველ „სენატორს" ანდრე რუას ჯები სთხლიშა, იმას უეჭველად ეტკინა, მაგრამ ლოსანჟელესელი „მეფე" ჯემი სტორი ბევრად უფრო საცოდავია — სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობს. სტორს ქებულმა ჯო საკიკმა ჰეთ თრიქი შეუსრულა და გულმოსულმა მაყურებელმა, ტრადიციისამებრ, ლინჩის წესი იხმარა: მეკარეს კეპები დააყარა.*

# სანტა, სერფინგი, ნიაგარა

სანტა კლაუსის ტრანსპორტი მარხილი გაგვიგია, სერფინგი — არა, მაგრამ ამ ფოტოს ირგვლივ სხვაც არის საინტერესო: კანადის მოქალაქე, ჯონ ფულტონი სანტა კლაუსად გადაცმული მდინარე ნიაგარაზე მიცურავს, ხოლო სადღაც იქვე ჩანჩქერია, მტრისას! სანტა, ფრთხილად იყავი...





# ჩამოიტოვა...

*ამერიკული ფეხბურთის მატჩი მიდის. ტენესელმა „ტიტანმა" ედი ჯორჯმა ბურთი მოიგდო და გავარდა, რაც არ მოეწონა დეილონ მაკატჩენს, კლივლენდელ „ყავისფერთა" მობურთალს და მეტოქის ფეხებში წვდომა სცადა, მაგრამ ამაოდ. ასე იყო ეს ამბავი, მოკლედ და კონკრეტულად...*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge